

ლიტერატურული გაზეთი

№2(186) 27 იანვარი - 9 თებერვალი 2017

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

პროზა

პოეზია

რეცენზია

პორტრეტი

რანაწერი

ინტერვიუ





ეგვიპტე

საუზმე

გამთენიისას ჩაფრინდით ამბროლაურში. თვითმფრინავმა დაშვებისას გვარიანად შეგვაშინა, მაგრამ როცა ფეხი დავდგი მიწაზე, მივხვდი, რომ ადამიანს ყველა შიში მალე ავინყდება და ამიტომაცაა, საკუთარ შეცდომებზეც რომ ვერ სწავლობს ჭკუას.

აეროპორტში სულ სამი თანამშრომელი დაგვხვდა. სამივეს ნათელი, მშვიდი სახე ჰქონდა, როგორც რაჭველებს აქვთ ხოლმე ზოგადად. მშვიდობიანი დილა გვისურვეს და ცხელი ყავა შემოგვთავაზეს. კანადა გამახსენდა. ერთხელ, ამერიკაში ფრენისას, საგანგებო დაშვება კანადის რომელიღაც პატარა ქალაქში მოგვიხდა. იქაც ასეთი პატარა დასახლება იყო, სულ ორი კაცი მუშაობდა და ისეთი თვალებითა და სიხარულით შეგვხვდნენ, თითქოს მარსზე წასულ ექსპედიციას მოსაკითხად ოჯახები ეწვივნენ.

კანადის Town-ისგან განსხვავებით, ამბროლაურში მეტი ფრენა იყო ხოლმე, ტურისტული სეზონი ჯერ არ გახსნილიყო, მაგრამ დამსვენებლები კანტიკუნტად მაინც მოძრაობდნენ რაჭაში. იაპონელ მხატვართან ერთად ვიყავი, ნოემბრის ბოლოს ამსტერდამში გამოფენას მართავდა. ნამუშევრების ნაწილის დამთავრება საქართველოში გადაწყვიტა. კიონ ძიო ნლევის წინ სწორედ იმ აუცილებელი დაშვებისას გავიცანი კანადის აეროპორტში. მაშინ სრულიად უცნობი მხატვარი იყო, ამერიკაში ბედის საძებნელად მიდიოდა და ფრენის ეშინოდა კატასტროფულად. სულ სამი სიტყვა ვიცოდი იაპონურად, ჩემმა ცოლისძმამ მასწავლა და სწორედ კიონზე გამოვცადე მაშინ. ეს სამი სიტყვა საკმარისი აღმოჩნდა, რომ მშობელი მამა ვგონებოდი და გადარჩენის იმედად დავესახე. გვერდიდან არ მომცილებია, სანამ დავეშვებოდი, მერე კი დავმეგობრდი.

ჩიტებს ხატავდა. ჩემი აზრით, ყოვლად გაუგებარსა და მახინჯს, მაგრამ მხატვრობის მოყვარულებს რას გაუგებ — პირველი ტილო 800 დოლარად გაყიდა, მეორე სამმაგ ფასში, მერე კი 30 000 დოლარზე ნაკლებად არც ერთი ნამუშევარი აღარ გაუყიდა.

როდესაც დამირეკა, საქართველოში მინდა დავხატო საგამოფენო ნამუშევრების ბოლო სამი ნახატიო, არჩევანის წინაშე დავდექი — სვანეთი, თუმეითი ან რაჭა უნდა მეჩვენებინა. თვითონ მესამე აირჩია, უფრო მოკლე სახელია და მირჩევნიაო, რას გაუგებ მხატვრებს?

სასტუმრო „შაორის ამეთვისტო“ შაორის ტბაზე იყო. ტბის შუაგულში ხელოვნურ, ნახევარმთვარის ფორმის კუნძულზე სამიოდე წლის წინ გააშენა ირანელმა ბიზნესმენმა და მისმა ცოლმა, რომლის შავი არაგვიით ბნელი თვალების სანახავად და უგემრიელესი სამზარეულოს დასაგემოვნებლად დედაქალაქიდან დადიოდა ხალხი.

როგორც ამბობენ, ქართველი იყო წარმოშობით. ქართველებმა ხომ, როგორც ყველა მცირე ერმა, ასე ვიცით — დედამინის ზურგზე ყველა კარგს ჩვენად ვასაღებთ. იქნებკი, მართლა იყო ქართველი. ტრადიციულ ქართულ პურმარის ისეთი დახვეწილი გემოთი ამზადებდა, ბარბარე ჯორჯაძე სიამაყით საფლავეში ცმუკავდა.

სწორედ „შაორის ამეთვისტო“ მქონდა რვა ღამით დაჯავშნილი. შვიდი მომცრო ზომის ნომერი ჰქონდათ, ერთი მათგანი სასტუმროსა და რესტორანის მთავარი შენობიდან ყველაზე მოშორებით. სწორედ ის ოთახი ავიღე კიონისთვის.

უთენია მივადექით. მასპინძელი მიმდებარე სოფლის გლეხობას ხვდებოდა ახალი პროდუქტის მისაღებად, კუნძულზე რამდენიმე მოახლდა და ჯუჯა ადმინისტრატორი დაგვხვდნენ.

ბატონი წასულია, ქალბატონს სძინავს, საუზმე ორ საათში იქნება — გვითხრა აღმოსავლეთის ხალხისთვის დამახასიათებელი მორჩილებით ჯუჯამ. საოცრად მახინჯი ადამიანი იყო, მაგრამ ის შემადრწუნებელი შიში, რასაც მისი დანახვა იწვევდა, ფიზიკურ ნაკლის ბრალი ნამდვილად არ იყო. მინახავს ასეთი ადამიანები, ბავშვები, ჩვილები მინახავს. რთული საყურებელია განუვითარებელი ტანი, ჩვენი თვალისთვის სრულიად უცხო, სხეულის

ანომალიური ნაწილები, მაგრამ შიში არასოდეს მიგვრძნია, ადმინისტრატორს კი რალაც ჰქონდა ისეთი, რაც გველის დანახვასავით გაქვავებდა.

ნომრებში გავნაწილდით და ცოტა ნავუძინე კიდევც.

საუზმეზე ჩასულს დარბაზი ნახევრად სავსე დამხვდა. როგორც ჩანდა, სტუმრების ნაკლებობას არ უჩიოდნენ. თერთმეტი მაგიდიდან ექვსი დაკავებული იყო, მეშვიდესთან ჩვენ ვისხედით.

დიასახლისი არ ჩანდა. სასტუმროს მენეჯერებს ჩვევად ჰქონდათ სტუმრებთან გამოლაპარაკება. მეც სიამოვნებით ვნახავდი მის გემრიელ, ოდნავ დახრილი ფორმის თვალებს, თხელ წელსა და მუდმივად აპრეხილ ძუძუსთავებს, ზამთარ-ზაფხულ უმოწყალოდ ვინრო კოფთიდან რომ იმზირებოდნენ.

საუზმე ტრადიციულად ნოყიერი იყო — ნაბლის წვნიანი, თევზის კოტლეტი და პიურე, ომლეტი ლიხეთურად (ღვინოში შემწვარი კვერცხი), ოსპის გუფთა, ხონჭიორისა და ზედა შავრას ცხიმინი ხაჭო, ზედა თლულისა და ქვემო ღვარდიას მანონი და ქვედა თლულისა და ზედა ღვარდიას არაჟანი ჰქონდათ.



გურამ მეგრელიშვილი

ალტერნატიული საქართველოს ამბები

სასადილო ოთახიდან სამზარეულო მოჩანდა, სადაც შუშის მიღმა რამდენიმე მზარეული და ახალგაღვიძებული, ჯერაც მსუბუქად აფუებული დიასახლისი ქვიშარსა და ლადოში მოყვანილ ფქვილზე გამომცხვარ მარცხენა ხელს აკრავდა, რომელსაც სხვაგვარა და ძირაგულში დაკრეფილი ტკბილი მსხლის მურაბას თუ მოსახამდი, იქნებ დედამინის ყველა უბედურება დაგვიწყნოდა ადამიანს.

გვერდით მაგიდასთან ორმოცდაათ ნელს გადაცილებული კაცი იჯდა. ჩემი ვარაუდით, ნორვეგიელი უნდა ყოფილიყო. შვედი აღმოჩნდა. მეგობართან და მის ცოლ-შვილთან ერთად საქართველოში მოგზაურობდა. უზარმაზარი ტანის კაცი იყო. ჭამითაც გემრიელად ჭამდა, ახალგაზრდას ვარაუდობდა. ერთ ლუკმაზე ყვავადა და შუშის იქით მდგომ დიასახლისს ხელით ანიშნებდა, კიდევ მომიტანეო. როგორც ჩანს, დამეგობრება მოესწროთ.

დიასახლისმა ჩვენი მაგიდისკენაც გამოიხედა. ნამით დავინახე მისი ნისლიანი თვალები და მზერა ამაროდა.

შვედი ეიოლფ ადნილსონი აღმოჩნდა. „Apti Networks“-ში ტექნიკური დირექტორი იყო. პარალელურად მოხალისე მწვრთნელად მუშაობდა ფრენბურთელ გოგონათა გუნდში. ძალიან მხიარული და გულლია კაცი მომეჩვენა. უჩვეულოდ სხარტი იუმორი ჰქონდა. საქართველოზე რაღაცების ნაკითხვა მოესწრო და ცდილობდა, ეს ცოდნა არადემონსტრაციულად წარმოეჩინა. სანამ კიონ ძიო კარგად გამოიძინებდა, შვედთან ერთად ყველაფერი ვჭამე, რისი ერთ ჯერზე მონელებაც 81 კილოიან ადამიანს შეუძლია, მერე კი კუნძულზე ფეხით გავლა გადავწყვიტესტერეოტიკი, თითქოს უზომო რაოდენობით საჭმლის ჭამის შემდეგ ფეხით სეირნობა წონის მომატებას ხელს უშლიდა, ჩემშიც ცოცხლობდა. კარგა ხანია, ვიცოდი, რომ გემრიელად საუზმის, სადილის, ვახშმის მერე სეირნობა მინიმუმ 1 საათი არ შეიძლება, მაგრამ მჭამელებსა და მწ-

ველებს ჩვენი ახსნა გვაქვს მსგავსი საკითხებისა.

პირსთან შვედი დამხვდა, ჯუჯა ადმინისტრატორს ელაპარაკებოდა. ვცადე, თავი ამერიდებინა, მაგრამ არ გამომივიდა, ხელი დამიქინა და მეც მივედი.

ჯუჯა ადგილობრივი ღვინოების სიკეთეზე ესაუბრებოდა. როგორც ყველა ჩრდილოელს, შვედსაც სასმელი უყვარდა. ჯუჯას მძიმე ბარიტონი ჰქონდა და ძალიან დინჯად ყვებოდა, როგორ იწურება წულუკიძის თეთრა და ხვანჭკარა, რომელიც სტალინის საყვარელი სასმელი ყოფილა, თურმე მოტკბო არასწორი დაღულებების გამოა. სადილსა და ვახშამზე ღვინოს გამოვიტანთ და დააგემოვნეთო, პირდებოდა შვედს.

არ ჩავრეულვარ მათ საუბარში. აღელვებულ წყალს ვუსმენდი და მეორე ნაპირზე მდგომ მეთევზეებს გაყვურებდი. შაორის ტბა შიგნიდან უფრო ლამაზი სანახავი ყოფილა. წყალი იმდენად ღურჯი და ამავე დროს გამჭვირვალე იყო, პეშვით ამოიღებდი და დაღვედი.

დროდადრო პატარა თევზები კუდებს ატყლაშუნებდნენ და ახალამოსული მზის სხივები მათ ფარფლებზე ირეკლებოდა.

გასმული ენერგეტიკა მოდიოდა ათლეტური ტანი ჰქონდა და სახარტად მოძრაობდა. ეტყობოდა, რომ ფიზიკურად შრომა მისთვის უცხო ნამდვილად არ იყო. თავადვე გადმოტვირთა პროდუქტი და პირსზე დაანყო. მერე ხელთათმანები წაიძრო და ორივეს თანმიმდევრობით ჩამოგვართვა ხელი.

ისე შეგვათვალეირა, მივხვდი, ადამიანების ცნობა არ უჭირდა. როგორც მდიდარ ადამიანებს სჩვევიათ, თავისუფლად გველაპარაკებოდა, განსაკუთრებული ცერემონიების გარეშე. აღმოსავლეთის კაცისგან ეს ცოტა უცნაური კი იყო, მაგრამ ამ ირანელს იმდენივე შემოჩვენოდა მშობლიური, რამდენიც ტყიბულს კომუნისტური ეპოქისა.

პირსზე დადებული ნაჭრის უზარმაზარი ჩანთისკენ გაიშვირა ხელი და, დღეს ნანადირევი გვექნება სადილადო, გაგვიმზილა. თუ თქვენ ნიამორის ორთქლში ჩაშუშული თირკმელები არ გაგისინჯავთ, რაჰას ვეტყვი და სპეციალურად თქვენთვის მოამზადებსო, გვითხრა და უცერემონიოდ დაგვტოვა.

სადილი

კიონ ძიო სადილზეც არ გამოჩნდა. მარტო ჭამა კი ქართველისთვის ყველაზე დიდი მისჯაა მსოფლიოში. რაკი ირანელმა მასპინძელი ნიამორის თირკმელებს შეგვპირდა, მე და ეიოლფი ერთ მაგიდას მივუსხედით.

აპერიტივად შემწვარი ხახვის ბურთულები ნიგვზით და გოგრის სანებელი მოგვიტანეს. ჭაჭა ჯუჯამ მოგვართვა, მასპინძლის მარნისაა, ნაყიდი არ გეგონოთო. რბილი, არომატული სუნი და გემო ჰქონდა, ჩემი ვარაუდით, ატამი და კომში ერია.

სანამ მობრანულ თხლად დაჭრილ ვაშლს გოგრის სანებელში ვანობდით, შვედი ცოლ-ქმარიც, შვილთან ერთად, შემოგვიერთდა. ქალს ცივი სახე ჰქონდა და რატომღაც ალისა ერქვა. ჩემი წარმოდგენით, ასეთი ქალები პროკურატურაში ბუღალტრებად მუშაობენ. კაცი უფრო რბილი ვინმე ჩანდა, ნაკლებად რბილი სახელით — ალფონს. სასმელზე თვალის გუგები გაუფართოვდა, ცოლმა კი გადაკრა თუ არა, მისცხო და მისცხო.

გოგონა იქნებოდა თხუთმეტი-თექვსმეტი წლისა. ემმა ერქვა. ძალიან დაძაბული იჯდა და ცდილობდა, არაფერი ეჭამა, რადგან, როგორც მივხვდი, დედა წონასთან დაკავშირებით მუდმივ შენიშვნებს აძლევდა. ოდნავ სრული გოგო იყო. ამ ასაკში ხშირია წონის მცირედი მომატება, რადგან პრომონალური ბალანსი მცირედად არეულია და გარდატეხის ასაკში მეოფი სხეული ქაოსს ალაგებს. ძალიან თეთრი ფერის კანი ჰქონდა, თითები კი სხეულთან შედარებით უცნაურად მოკლე. სანამ ჩვენ ვსადილობდით, ხმა არ ამოუღია.

რაჰამ საკუთარი მშვენიერი ხელებით გამზადებული ნიამორის თირკმელები მას მერე მოგვიტანა, რაც ტიბანური, გუდის, ჭყინტი ყველი, ჭარხლის სალათი, ხზოს ღვიძლი ნივრით, ვარია ქინძს მარინადაში და საქონლის ენა დავაგემოვნეთ. ემმას არაფერი უჭამია და ეიოლფმა მისთვის წვნიანი შეუკვებია. ამიტომ, სანამ უფროსები ხორციანი საჭმლით მუცლებს ვიყორავდით, გოგონა გოგრიკელს ჭრებალოურად (მთლიან გოგრაში ბოსტნეულის სუპი. გოგრა თევზის მაგივრად გამოიყენება) ხვრეპდა ევროპელებისთვის დამახასიათებელი ხმაურით.

ეიოლფი ჩემზე მჭამელი აღმოჩნდა. მან სრულიად დაუნდობლად შენთქა ორაგული კომში (მთლიანად), ტყემლის ტყლაპში მოხარშული ლოქოს წვნიანი ცოცხალი მწვანელითა და ბოსტნეულით, შემწვარი ქვირითი წინაპით (ცოტა უწილად ემმას მშობლებს), სამეფო ჭანარი (ილმაზლოსთან დაჭერილი), ისპანახის ბურთულები კიტრის ფაფაში (კვირიკენმინდიდან), კალმარი ალექსანდროულის საკმაზით (საკმაზი ჩორჯოდან მოქონდათ გლეხებს), შემწვარი ბიბილოები (თლულისა და ჯვარისას მამლებს), ჭვიშტარი (ნესაკაოში მოყვანილი სიმინდის ფქვილისგან), გებუალია (მაცხოვრისკარის სულგუნით), სულგუნში გახვეული ნადული (ყველი იგივე სოფლის, ნადული კი შუა კრისში მოწველილი შვეიცარიული ძროხის რძისგან კეთდებოდა), კუპატი



(ყოშხადან), ბურვაკი ნიგვზით (აქ კი, დიდი ბოდინი, ჩავეზიარეთ. ლიხეთის ბურვაკი იყო), აფხაზურა (ლეძაძამედან), კომბოსტოს მწნილი (ზედა ღვარდიადან), კიტრ-პომიდვრის მუჯვე (ჭოპორტიდან), პრასის მწნილი (კორბოულიდან), აფხაზური აჯიკა (ოკვინორედან), ღანძლი, ჯონჯოლი (კორტანეთის).

ალფონსი გაუთავებლად ლაპარაკობდა, სანამ მე, ეიოლფი და ალისა მუცლებს ვიყოფოდით, ის მსოფლიო პრობლემებზე წუხდა. UN-ის იმწლებადელ მონაცემებს იშველებდა, აფრიკის მოსახლეობის 49% დღეში 1.26 დოლარზე ნაკლებს მოიხმარსო. გულანთებული აქტივისტები რომ არიან, ნებისმიერ პრობლემაზე წუხილში რომ აიყოლიებ, სწორედ ეგეთი ტიპი იყო. ყურადღებით შევათვალე იყოლფი, ალფონსი და ალისა. ვცდილობდი, გამოემეცნო იყო თუ არა ეს კლასიკური „შვედური ოჯახი“. არაფერი მსგავსი არ შემიმჩნევია — მეტიც, ეიოლფი სულაც არა ცდილობდა, საჭმელი ალისასთვის გაენაწილებინა, ეს კი სექსუალურ პარტნიორებსა და მოფლირტავე ადამიანებში ყველაზე ადვილი შესაძენია.

ოდესმე თუ ჩანანები გამოვაქვეყნე ჭამისა და ხასიათების კორელაციაზე (ერთი ცდა უკვე მქონდა ჭამისა და სექსის მსგავსებაზე და „კამა სუფრა“ ერქვა), აუცილებლად დავწერ ამ ფრაზას: ჩრდილოეთში იმაზე ბევრს ჭამენ, ვიდრე სამხრეთელები, ამის მიზეზი სიცივეა ალბათ, რადგან ორგანიზმი ენერგეტიკული ბალანსის აღდგენას საჭმლით ახერხებს, რაც სამხრეთელ ხალხს მომატებული შვის ენერჯის გამო არ ჭირდება.

ჭამა და ჭამის მანერა ზოგადად მართლა საინტერესო საკითხია. ამაზე მას მერე ვფიქრობ, რაც აღმოვაჩინე, რომ ჩემნაირად 90-იანი წლებამოვლილმა ადამიანებმა „მუდმივი შიმშილი“ ვიცით. მე, მაგალითად, თევზზე საჭმლის დატოვება ფიზიკურად არ შემიძლია, დანაყრებულზეც კი „ნავიციციქნა“, თითქოს მარაგს ვიღებ. ეს კომპლექსი — „კონსერვეების კომპლექსი“ — ჩვენი, პოსტსაბჭოთა რევების ქვეშ მოყოლილი ჰომო რალა-ცავეტიკუსების მთავარი პრობლემაა. ჭამი იმაზე მეტი, ვიდრე გჭირდება — აი, მსოფლიოს პრობლემის ათეულში რიგით (ვთქვათ) მერვე პრობლემა.

ალფონსი, შეიძლება ითქვას, რომ მშინი დარჩა. ურავში მოსული გოგრის გულსგან შემწვარი წერეთლის მწვადის მეტი არაფერი უჭამია. ამან ეჭვი გამიჩინა, რომ მაღიან ალისას მთლად შესაფერისი სალოგინსნორტოლი პარტნიორი არ ჰყავდა და კიდევ ერთხელ, უფრო ყურადღებით დავათვალე მისი და ეიოლფის თვლების ტრაექტორია — მსგავსი არაფერი შემინიშნავს.

დესერტად მოხარული გოგრა თაფლით (თაფლი ხოტევისა იყო და წელიწადში სულ 50 კილო მოყავდა ოჯახს, ვისგანაც ჩვენი მასპინძელი ყიდულობდა), გოზინაყი (ნიგოზი ცახის, თაფლიც) და წანდლი თეთრი ზლით (ნაადრევი გოგრა ბალი სოფელი წესის იყო) მოგვიტანეს. მართონს ყველა გამოვეთიშეთ ალისასა და ეიოლფის გარდა. მართალია, კაცმა ლამის ორჯერ მეტი ჭამა, ვიდრე ყველამ ერთად, მაგრამ ალისას შემართება მაინც აღსანიშნავი იყო. მე თეთრას ვწრუპავდი და ერთი სული მქონდა, გარეთ გავვარდნილიყავი სიგარეტის მოსანევიად, ზრდილობის გამო სადილის ბოლომდე არ ავმდგარვარ და თანაც, მაინტერესებდა, რამდენის ჭამას და დალევას (ცალკე აღსანიშნავია, რომ დალია 4 ჭიქა ნამანევის ჭაჭა, 1 ზოთი მერე ტეობაში დაწურული, ჩამოსხმული ალექსანდროული, ნახევარი ხელადა გორული მწვანე, ცდოში ჩამოსხმული ლუდი „მნარე“ და ახლა ყვარელში ჩამოსხმულ კონიაკ „ხუნძებს“ აყოლებდა დესერტს) შეძლებდა ეიოლფი.

ალისა თავლიან გოგრას დანებდა. სანამ ალფონსი თავისივე თეორია აღიზიანებდა (მიაჩნდა, რომ მსოფლიოს კიდევ ერთი უმთავრესი პრობლემა კერძო საკუთრებაა. საერთო ცოლი, ქონება და სხეულები კი მისი ვარაუდით კაცობრიობის გადარჩენის ერთადერთი შანსი იყო. ამ აზრმა მერე გააღიზიანა და მტკიცება დაიწყო, როგორ ცდებოდა) და განერვიულებული, გაოფლიანებული თითებს იმტერვდა, ეიოლფმა საკუთარი წილი დესერტი დაამთავრა და ადგა: ხომ არ მოვწინოთ, მეგობრებო?

ნამდვილი კუბური სიგარა აღმოაჩნდა. ან შეიძლება მე ვერ ვერკვევი სიგარებში და როგორც ხდება, რეკლამამ იმუშავა. გემრიელად გავაბოლეთ და დაახლოებით ხუთწუთიანი დუმილი სადღაც უწერასკენ ხელის გაშვებით დავასრულეთ: აი, იქით არის სოფელი, რომელმაც მარტო ერთ საუკუნეში კომუნისტურ საბჭოეთს ჩვიდმეტი აკადემიკოსი მისცა!

ეს უცერემონიო შესავალი კი ნაღდად ქართულად გამომივიდა. ეიოლფმა გამომხედა და სცადა, ჩემ თვლებში ამოეკითხა, რიცხვი რამდენად გავიადებული იყო. კითხვით კი სულ სხვა რამე მკითხა: კომუნისტმა მაგრად დაგაზარალათ?

ცხადია-მეთქი, ვუთხარი, მაგრამ ისე ვუთხარი, რომ ეგრძნო, ჩვენ ისეთი მაგრები ვართ, კომუნისტები კი ფეხებზე გვეკიდა-მეთქი. მინდოდა, ნაღდი სამხრეთელი გამოგჩენილიყავი. ამჯერად სანინაღმიდგო მიმართულებით გავიშვირე თითი და მოვუყევი ამბავი, რომელიც თავის დროზე მეც ერთმა რაჭველმა კაცმა, დანიელმა მომიტხრო. მგონი ყორღანოს მთაზე დიდი ანძა მდგარა, რომელთან ახლოსაც აკრძალულ ტელეარხებს იჭერდა გაგანია კომუნისტის დროს. რაჭველი ბიჭები ჩემად ადიოდნენ მთაზე და პირველ აკრძალულ ხილს აქ ეცნობოდნენ. მეო, 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატი სწორედ ამ მთაზე ვნახე სრულადო. კარგად ახსოვდა ურუგვას და ინგლისის, დასავლეთ გერმანიისა და არგენტინის, პორტუგალიისა და უნგრეთის, სსრკ-სა და ჩრდილოკორეის ჯგუფებიდან გასვლაც და მოთამაშების გვარებიც. ჩვენ ოფიციალურად მხოლოდ სსრკ-ს თამაშებს გვაჩვენებდნენ, მაგრამ ყველაზე დიდი რაჭველი ბიჭები პირველები ვუყურებდით მსოფლიოს საუკეთესო გუნდების თამაშს.

თითონ არგენტინის გულშემატკივარი იყო.

ეიოლფზე ამ ამბავმა განსაკუთრებული შთაბეჭდილება ვერ მოახდინა, ამიტომ რაჭის სხვა ღირსშესანიშნაობებზე ჩამოვუგდე სიტყვა. ბუნების მშვენიერებით შვედის გაკვირვება ადვილი არაა, მაგრამ ეტყობოდა, არც მისმენდა, სულ სხვა რამეზე ფიქრობდა.

ნომერში დავბრუნდი და კიონ ძიო მოვიკითხე. შეზარბოშებულმა და წელს-ზევითშიშველმა გამომხედა. გახარებული იყო, სამი ნახატი გავამზადე. სულ რვა საათია, რაც ჩამოვედი. აქედან ხუთი ეძინა. სამ საათში სამი ნახატი! შეგვიძლია, თანამედროვე მსოფლიო მხატვრობის ტენდენციებზე რალაც გარკვეული შთაბეჭდილება შევიქმნათ, გავიფიქრე და ნომერში შევყევი.

ტუკანი (Toucan), ბალის მინა (Mynah), კაკაო (Strigops habroptilus) — სერიას ერქვა „ნითელი“ და აი, ჩიტები, რომლებიც ნახატზე იყო (ძიო ამ ასე მითხრა ყოველ შემთხვევაში). ნახატის აღწერა რთულია, მაგრამ კომპოზიციური სიმარტივიდან გამომდინარე ვეცადებ:

ტუკანი — ეს იყო ერთი ნითელი ჰორიზონტალური ხაზი, რომელსაც სამი ვერტიკალური მოკლე მსხვილი ჩამოსმა კვეთდა.

ბალის მინა — ნარინჯისფერი ნერტილი, რომელიც შავი ფერის წრეწირში ჩახატა. წრეწირის გარშემო იაგუნდისფერი, მღვრიე მტკვრისფერი და მდარეხარისხის ჩინური ტანსაცმლის ნითელი ათობით ხაზი ირეოდა.

ყველაზე საინტერესო კაკაო იყო — მხატვარმა ტილოდან ორი-სამი ნაბიჯი უკან დაიხია და საღებავები (ფირუზისფერი, შროშის მინისფერი, ნარცისისფერი და ჯანმრთელი კაცის ვენური სისხლისფერი) მიახსა (ამას იატაკზე დაწუნული ფერებით მივხვდი).

რომელი მომწონდა და რასაკვირველია, სწორედ ეს, მიწუნებული.

კიონ ძიო ძალიან კმაყოფილი იყო, კმაყოფილი ვიყავი მეც. მითხრა, რომ დასახატი კიდევ 6 ნახატი ჰქონდა და ამ სერიას 200 ათასად გაყიდდა.

— რამეს მეტყვი? — მკითხა ისეთი ინტერესით, ჩემი აზრის მოსმენა აშკარად ძალიან აინტერესებდა.

ტუჩების მიმდებარე წვერ-ულვაში გადავისწორე და რამდენადაც შემეძლო ისეთი სერიოზული და მძიმე ტონალობით ვუთხარი: პირველმა ტილომ, ემოციურად მაგალი მომიტანა, სტილისტურად კუსამას კიდევ უფრო თანამედროვე ვარიან-

ტია (Yayoi Kusama მისი კერპი იყო, ერთხელ მითხრა და ახლა ეს ფაქტი სრულიად უსინდისოდ გამოვიყენე), მეორე ნამუშევარს მურაკამის გავლენა აქვს, ოღონდ არა ტაკამისა (Takashi Murakami), არამედ სწორედ რომ ჰარუკისა. დიახ, ჩემო მეგობარო, შენ არ მოგესმა, მხარზე მაგრად დავკარი ხელი. ეს ნამდვილი პროზაა, შენი ნახატი რალაც მომეტში ტოვებს სტატიკას და იწყებს შინაარსობრივ მოძრაობას უძრაობიდან დინამიკამდე, ემოციიდან აზრის განვითარებამდე და მინდა გულწრფელად მოგილოცო — საკუთარ თავსაც აჯობე!

ერთი პირობა დავფეთდი, ემანდ, ხომ არ გადავამალა-მეთქი, ისეთი ეჭვიანი თვლებით დამაკვირდა ჩემი იაპონელი მეგობარი, მაგრამ ჩემი გულწრფელი გამომეტყველება, რაც ბუნებამ ჩემ ფენოტიპს საჩუქრად მისცა, აშკარად მეხმარებოდა. ისედაც წვერილი თვლები სულ დაუვიწროვდა და კმაყოფილებით გაილოკა ტუჩები.

ჩემო ძიო, აი, მესამე ნახატზე კი საყვედური უნდა გითხრა, ახლოს მივედი ტილოსთან და 40 წამი ისე გავიწინდე, Chamaeleo Chamaeleon-ს შემურდებოდა. ძიოც ჩუმად სუნთქავდა, არ უნდოდა, ჩემი ფიქრები გაენყვიტა.

გესმის? — ვკითხე ისე წყნარად, რომ ჩემმა სიმშვიდემ შემამინა კიდევც.

არა! ნუთუ არ გესმით? აი, ხმა, მუსიკის ხმა, გესმით?

კიან ძიომ ფანჯრისკენ შეაბრუნა თავი, მე კი ყური ტილოს დავადე. აქ, ნახატში გესმით ხმა? სტრაინსკის ურთხეული გაზაფხული, დდნ, დდნ. მოდის. მუსიკა მოდის, ავუმალე ტონს, მოჩქევს, მოედინება, დანგრევს ამ მშვენიერ შენობას, გესმით? — უკვე ვღრიალებდი და შეშფოთებული მხატვარი უკან-უკან იხევდა. ჩემმა ალგუნებულმა თვლებმა ცოტა დააფრთხო, მეც ტონს დავუწინე.

მუსიკა, მუსიკა! — რამდენჯერმე ჩავილაპარაკე და შეკრობილი რომ ეგზორციზმის მერე წყნარდება, ისე დავმშვიდდი.

ასე ვიდევით სამიოდე წუთი. მერე ფანჯარასთან მივედი, ნიკონმინდის მხრიდან ნამოსულ მოვარდისფრო ნისლს თვალი გავუშტერე კიონ ძიოს კითხვაზე, კიდევ რას იტყვიო, სრული ინერტულობით ვუპასუხე:

— ვჭამოთ!

სამხარი

ზემო ჟოშხაში დაკრფილი ნუშის ყვავილის წვინანი თხმორული სოკოთი და კიტრით ოდნავ უმარალო მეჩვენა, სვანური მარილი მწიკვით ჩავყარე და შედეგის მაგიდას გავხედე. ეიოლფი და ალფონსი ისხდნენ. ემმა და ალისა არსად ჩანდნენ. ზორბა შევიდისევე გამალებით ჭამდა. კარტოფლის რულეტი კურდღლის (კლდისუბანში მოკლული) ხორციით მთლიანად დაედო თევზზე და გემრიელად ნთქავდა. ალფონსი კიბორჩხალიან მჭაუნის წვინანს (რომელიც მოკრეფილი იყო ჩორჯოში, ველევში, ზედა ღვარდიამი, იქნებ გორისუბანში, ანდაც აბანეთში, ან სულაც ქელიაღელესა თუ ხიმში, ჯანდაბას, რამინიშველესა ჰქონდა ამას) ხერვდა. ისეთი ზიზლით მიერთმევედა, როგორც უმალო ბავშვი ჭამს საბავშვო ბაღში მანის ფაფას. პირველად გავიფიქრე, ნეტავ რისთვის ჩამოვიდნენ ამ ქვეყანაში-მეთქი. დილის მერე ვუყურებდი და ეზოშიც კი ეიოლფის გარდა არცერთი ვაჭორი.

კიონ ძიო ისევე არ ჩამოსულა. ჩვენმა დიასახლისმა მორიდებით მკითხა, თქვენი თანამგზავრი ცუდად ხომ არ გრძნობს თავსო, სასტიკად ვიუარე. ასეც რომ ყოფილიყო, ამ მშვენიერ ქალს ვერ შევბედავდი სიმართლის თქმას.

წინსაფარი ძალიან უხდებოდა. წარმოვიდგინე, როგორი ფეხები ექნებოდა იმ გრძელი, მოშრიალე კაბის ქვეშ. ალბათ, როგორ უმართლებს ხოლმე მის ქმარს გვიანი შემოდგომის ან ადრეული გაზაფხულის იმ საღამოობით, როცა სასტუმრო ცარიელია და კანტიკუნტი სტუმრებიც კი ჯერ არ ჩამოსულან, მიშვლები რომ იწევიან ბოლო სართულის შუშისჭერიან ნომერში. კაცი ალბათ აღმოსავლელი პოეტების ლექსებს ეტყვის, ქალი კი ალტაცეზას ჰუმუსტავების უნებური დაბურცვით გამოხატავს.

ცოლ-ქმარზე ამბობდნენ, და-ძმანი არიან, ამიტომაც გამოიქცნენ საჯარო თველოში. მაღალი სოციალური წრის წარმომადგენელი იყვნენ და მამის რისხვას ასე გადაურჩნენო. მე ის ვარიანტი უფრო მომწონდა, ქალი რომ ქართველი იყო. ვინ იცის?

სამხარზე სამჯერ მოვიდა ჩემ მაგიდასთან. ერთხელ ძიო იკითხა და ვაზის ფოთლოში გახვეული ტოლმა და კამჩის მანონი დამიდგა წინ. მეორედ მომიბოდიშა, იმდღევანდელ მენიუში ჩანერილი კალმახის შტრუდელი არ გვექნება, ვერ მოვასწარიო (მე ვუთხარი, რომ მეზიზღება კალმახის შტრუდელი და ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ვერ მოასწრო), მესამედ აჩმა მომართვა და მკითხა, კმაყოფილი ვიყავი თუ არა მათი სასტუმროთი.

ენაზე მომადგა ათასგვარი საქებარი სიტყვა, რაც შეიძლებოდა, მისი სილა-ამახის ტოლფერი ყოფილიყო, მსურდა, სწორედ აღმოსავლურად, შეფარული აგრესიით, მაგრამ ნაზად კი ჩამეჩურჩულეხინა, როგორი ჯერაც ქორფაა მისი მშვენიერი სხეული, როგორი ვარდისფერი და სისხლსავესე ტუჩები აქვს, როგორ მოძრაობს აღმოსავლეთის ნიავივით და რომ (შუასაუკუნეების პოეტებს თუ მიგბა-ცავდი) შემიძლია, მისი გონჯი ქმარი ამა-ღამვე მოვკლა. მაგრამ სულ სხვა რამე ვთქვი:

— იცით, სუპს მარილი აკლდა!

მის ბოდინში იყო უფრო მეტი თავნებობა და ამპარტავნება, ვინემ რომ ის ჩემი დაწუნებული სუმი თავზე დაესხა. თეფში გამომიცვალა, კაჩათიდან ჩამოტანილი ყველისა და პომიდვრის წვინანი შემომთავაზა. მე სტუმრისა და გადამხდელის უპირატესობით ვისარგებლე და ტუჩები დავბრიცე. ხელიც კი ავიქნიე უარის ნიშნად. ჩვენ, ვინც ირანული კულტურა შორიდან ვიცით, რატომღაც გვგგონია, რომ ქალი იქ ისეთივე დაჩაგრულია, როგორც ამას ფილმებში და არასამთავრობო ორგანიზაციების მოხსენებებში გვეუბნებიან. სინამდვილეში, ჰიჯაბისა და ბურქას მიუხედავად, ირანელი ქალები თანასწორნი და იქნებ უპირატესნიც კი არიან თავიანთი ქმრების მიმართ, როგორც ურთიერთობაში, ისე საწოლში.

დიასახლისის გამოხედვამ ამაში კიდევ ერთხელ დამარწმუნა, თვალი არ მომიშორებია, მინდოდა, გამებრაზებინა, რადგან გაცილებით ადვილია გაბრაზებული ქალის მოთაფვლა, ვიდრე ზედმეტად დამშვიდებულის.

მხიარულად გამიღმა და გამეცალა.

სამხარი ტკიბილი ზნაკური „კაკულქე-ბითა“ და ჭკადისური ქადით დავასრულედეს კიდევ რომ შევჭამო, შეიძლება რომაელად გადავიქცე, გავიფიქრე და გადავწყვიტე, აღარ მევახშმა. უჯუჯას ტბაზე გასეირნება ვთხოვე და ძრავიანი ნავის გასაღები გამოვართვი.

არ ვიცი, რამდენს უნახავს შაორის ტბა ნისლში, ქელიშის მონასტრის მხრიდან ნამოსული სქელი საბანი რომ გადაეფარება წყალს, როცა თევზებიც კი უსაფრთხოდ გრძნობენ თავს და ჰაერზე ამოიხედავენ ხოლმე. ამ დროს დაამიანს შიში, სასონარკვეთა და მერე კი სინანული იპყრობს. ალბათ ეს სინანული ყველას თავისებური აქვს — ვის მეგობრის ღალატი ახსენებს თავს, ვის მშობლის წყენინება. ნამიერად (განსაკუთრებით წელიწადის ამ დროს) ბუნებაც კი ჩუმდება, ისმის მხოლოდ ნისლის ჩუმი ხმა, წყალზე რომ მიმოიარება წმინდა სულოვით. ამბობენ, ადამიანი სხვადასხვა ასაკში სხვადასხვა სინიშის ხმაურს აღიქვამსო, ალბათ მე ჯერ კიდევ იმ ასაკში ვიყავი, ხმაური რომ ესმით, მაგრამ სინდისი რომ არ თრგუნავთ — ვაჟკაცურად გავძელი და როცა პირველმა იმემა, სასტუმროდან ნამოსულმა შორსმამუქის სხივმა, ნისლმა გამოაღწია, მივხვდი, რომ ვახშამზე უარის თქმა სულელური ფიქრების ნაწილი იყო.

ვახშამი

საკლავს სხვადასხვანაირად აქნიან აღმოსავლეთ, დასავლეთ, ჩრდილოეთ და სამხრეთ საქართველოში. რაჭაში კი ეს ამბავი კიდევ უფრო განსხვავებულად ხდება.



კიდობნის საშვი

— ნოე, როდესაც შეკრავ კანოეს,
დროს რომ განიშნებს
მაჯის ტისოტი,
როცა უფალი გაგასათნობს,
მონახავ ადგილს პოეტისათვის?..

შენ ახლა უკვე
ცაზე ციმციმებ,
ალბათ წარღვნაზე ფიქრსაც მოეშვი,
გთხოვ, მომიტევეო კითხვის სიმძიმე:
— იჯდა პოეტი შენს კანოეში?..

წყალს რომ მიჰქონდა ფორტეპიანო,
ქნარის საშველად
ალბათ გამიშვი,
არ მინდა ვალი დაგიგვიანო
და მინდა მოგწვდეს ბგერა კლავისის.

როგორც დიეზი შორის დო, რე-სი,
წარღვნა. გრაფიკა, გუსტავ დორესი,
ანილვრება უცბად მდორესი,
როგორც ღიმილი მამა ტორესის, —
უცელქესი და უნეტარესი,
ელავს ვარსკვლავი ცაზე ნოესი,
ნადღეგრძელები ძველი O.C.-ით...
უახლოესი და უშორესი,
უშორესი და უახლოესი.

არ გაცემულა კიდობნის საშვი
და ტალღებს მისწვდა
მდორე უარი,
წილად ხვდა პოეტს ბობოქარ წყალში
თავაზიანი ორეუარი.

და ლამის კლუბში შერჩნენ მარტონი
მღელვარე ზღვა და
მგოსნის ყისმათი...
თუმცა ვერც კლუბში ბრძენი პლატონი
ვერ ხედავს ადგილს პოეტისათვის.

— ჰე, ათენელნო,
მამ მშვიდობაში!
ტალირანი და ჟოზეფ ფუშე,
და კიდევ ბევრი ჯურის ოღრაში
გიმრავლოთ დიად სახელმწიფოში.

მამ მშვიდობაში,
ბრძენო პლატონო,
ქვეყნად ულექსოდ ყოფნის გულისთვის,
ცა ულექსობით უკაბადონო
და გალექსილი ავანტიურისტი.

გიდგენთ კიდობნის ლოცმანს და კაპრალს,
პატაკს, თუ საშვის გახადეთ ღირსი,
პოეტი გაშლის მომწვარულ აფრას,
მისი სუნთქვა და
ფილტვები მისი.

რომ აბზინდება წყალზე კარატი,
ვინ ილიდინოს ძველი მოტივი...
რომ გამოჩნდება
მთა არარატის,
ქვეყნად ერთადერთ მოქმედ პორტივით.

ვინ მისცემს კედელს
საბუდედ მერცხალს,
ვინ გაპოვნინებთ მშობლიურ უბანს,
დღის წესრიგიდან გაქცეულ ზეცას,
დღის პრობლემებში დაკარგულ უფალს.

ვინ დაგვიამებთ გახსნილ იარას,
ვინ გაპოვნინებთ შვიდ დღეში მერვეს,
და ხემს შეახებს
სიმებს კი არა,
დეკაზე ფრთხილად დაძაბულ ნერვებს.

და მოვა წვიმად
და დარეკს ზარებს,
როცა ზაფხული გვალვაში გადის...
და მშობელ მინის დაშპრულ ბზარებს
კვლავ დაუბრუნებს სიცოცხლის წადილს.

და ჭერს მიაწვდენს შამპანის საცობს
და იტყვის სტრიქონს
რიურაჟის ნამზე,
მერე დახატავს ნათბილარ საწოლს
პომადიანი ფუჟერით სკამზე.

წარსდგება ხალხის მსჯავრის წინაშე
და გამოსტაცებს სასწორს თემიდას
და გამოგიყვანთ გრძნულ წვიმაში
კონდინცირებულ ოფისებიდან.

თუ გახსოვთ,
როგორც გითხარით უწინ, —
ის, ერთადერთი არ ჰგუობს აღვირს,

დათო მალრაძე



სუნთქავს პოეტი და ნემსის ყუნწის
ტრიუმფალური იხსნება თალი.

უნდა გაეშალო,
გასვლის დრო დადგა,
ჩამოქნისილი იალქნის ფოჩი,
და სიტყვა იყო პირველად რადგან,
მესამე პირში საუბარს მოვრჩი.

...და მიხმობს ღამე,
ბარის დახლი და
ცივი შამპანი, რადგან გავრისკე,
უნდა გავიდე მამის სახლიდან,
რომ გზა გაჩვენოთ მამის სახლისკენ.

გამომიგზავნა წყალობა ზეცამ,
წყლის სტიქიონთან მებრძოლს და მედგარს
და ახლა სადაც ბუდე აქვს მერცხალს,
ჩემი პოეტად
კურთხევა შედგა.

თუმცა ვერ ვჯობდი კლასში ოროსანთ,
წილად მხვდა მაინც
პოეტის ჩალმა,
კალამი მომცა დონა ტოლოსამ,
ტოლედოელი მეჯღანის ქალმა.

მედუქნის ცოლი ამბობს, რომ რალაც
გვანიშნა თითქოს
თავად იესომ,
დასტურად აზის კურთხევის ქაღალდს
ბეჭედი ძეგველ ნოტარიუსის.

და იქნებოდა საღამოს 6,
უკვე პოეტის ჩალმით და სალმით,
კომნენის ასულს მივწერე ლექსი,
ტოლედოელი მეჯღანის კალმით.

და რადგან მომცა ღიმილი ევამ,
კიდობნის საშვი არ მომცა ნოემ,
მას შემდეგ ევას სხეულის რხევას
ვატანოებ და
ვატატანოებ.

ობიექტივის მცდელობა ფუჭი, —
მკაფიო კადრი რომ ვერ დატოვა...
რადგანაც ფოტოაპარატს უჭირს,
კადრში, როდესაც
ჩანს ახმატოვა.

არ ითარგმნება პოეტის მზერა
საყოველთაო ფოტოენაზე,
რადგან პოეტი გოლგოთას ზვერავს,
როდესაც ადის ავანსცენაზე.

ტირანის ყინი როდესაც უმარ-
თავია, რეკავს
ლექსი ზარივით,
არ ტოვებს ეჭვი პოეტს და სტუმარს,
ძენკვზე ნახევრად შეხსნილ კარივით.

ძველი ბელადის გაცვდა ქარიზმა
ჩიბუხითა და შავი ულვაშით,
მონახა ნიშა ლიბერალიზმმა
პოლიტკორექტულ დიქტატურაში.

— წრფელი საღამო, სერ სპენსერ ჩაპლინის,
არავის უთქვამს,

რომ: — მე ვარ ჩარლი.
(რადგან გდევნიდნენ მაღლიდან დაბლით)
ვინც დღეს მამაცობს, რომ არის შარლი.

შენ მოდიოდი ჩაჩაჩულ შარვლით,
სულში ჩირაღდნად გენთო სიკეთე,
როგორც კი იგრძნეს
სურნელი კვამლის,
სამშობლოს კარი გამოგიკეტეს.

...მოჩანს ვინსენტის ყანები, არლი,
მზე უყიდა ცარიელ ჯიბებს...
და ისმის პრესლის
„O, my darling“ ...
როგორც ღმერთისთვის აწვდილი კიბე.

არავის უთქვამს,
რომ: — მე ვარ პაოლო,
მაჯებით იგრძნეს სიმძიმე ხუნდის,
როცა სტალინმა თვალი მოავლო
და გაიკრიფა NGO-ს გუნდი.

გავარდა თოფი და მოხვდა სილა
ტირანს, რომელიც უყვარდათ მასებს,
ასე გათენდა არგვეთის დილა
გადარჩენილი ღირსებით სავსე.

პოეტის ლანდი შემოჰყვა ორ ტომს,
მიხაკის კვალიც არ გაჰყვა ბეჩავს...
და სისხლის წვეთი დააჩნდა ფოტოს
და ტიცინის საყელოს შერჩა.

მოკლეს პოეტი, მაგრამ ეპოქა
კვალში ჩაუდგა
მის შავ მოკასინს
და ყმანვილ ბოშას, როგორც მეგობარს,
ეთამაშება მთვარე ლორკასი.

ეკრანს კი აგზნებს ნამყვანი გოგო,
ჩანს ახალ სკანდალს ამზადებს TV
და ეს ნიუსი
ისე ჩანს, როგორც
ახალი წარღვნის აპერტივი.

...უნერს პოეტი წერილს საფოსტოს,
შორს, მომავლიდან მომავალ ყმანვილს
და მეცამეტეს, როგორც აპოსტოლს,
შუა გვალვაში
ათოვს და აწვიმს.

ის ჩაიჩნება კრავივით დროში
და გამოჩნდება,
როცა ინათებს,
მწყემსის წინაშე მოიხდის ბოდის
და წმინდა სილას დასცემს პილატეს.

ლექსის სტრიქონი არის ნაბიჯი,
ერთი ნაბიჯი, —
კადრის მიგნება...
და თუ გადადგი, მერე რა გიჭირს,
თუ ნაბიჯია, კვალიც იქნება.

შენ დაენვეთე პოეტის პირჯვარს,
შეჩერებულ სიტყვაში, წამო,
მაჯაზე მედდა ტყუილად გისიჯავს,
უდროობაში გეძახი:
— წამო!

შეუმჩნეველი

ნანერსაც ასე უთავბოლოდ იწყებ ყოველთვის,
როგორც საუბარს გაღვიძებისას.
დიდხანს არ იცი, შეიბრუნო თუ არა ძილი,
რადგან ადგომაც ვერასოდეს გათავისუფლებს
იმ ყველაფრისგან,
რაც დაემართა უსასრულობას,
მკვებარა შაშვის მსგავსად მნიფე ხილის ცდუნებით,
შემოხიზნული საფიქრალიდან.
ამ დროს კი სხვები იფხიზლებენ საკუთარ თავებს.
მკვდრებში ფესვგადგმულ ხეებივით ემჩნევა დაღლა
დღეებს, დაღმართებს.
ითავისუფლებ დაგმანული ფიქრების ფსკერზე,
ნიჟარებს შორის შეხორცებულ სიცარიელეს
ნარჩენებისგან და იმალები.
ამ დროს კი სხვები იგიჟებენ საკუთარ თავებს.
გამოგარჩევენ მოვლენები იმ წიაღიდან,
სადაც წუმბეებს წაღმა მხარე ვერ მოუძებნეს;
გაგაცილებენ ყველა გზიდან, რაც კი შექმნილი;
გარსის იერით შეიფერე სიმშვიდის ნარმა
კანის სანაცვლოდ და მოიხდინე.
ამ დროს კი სხვები იგინებენ საკუთარ თავებს.
შენი ოთახი შენი ყოფნით გამორჩეული,
თოვლის პურებით წვიმის წყველას გაანიავეებს,
აღარასოდეს შეეცდება გადაიფიქროს
მკვდარი ღმერთების უსასრულო ემიგრაცია,
რომლებსაც თითქოს აღარ შერჩათ თავშესაფარი.
ამ დროს კი სხვები იგონებენ საკუთარ თავებს.
რა უგვანია შენში ყველა სიცარიელე,
ქოფაკი ბედის მძაღე დუფით ამოვსებული
დაჟინებით რომ გიგროვებდა ამაოება
გამოსაკვებად.
ამ დროს კი სხვები იგემებენ საკუთარ თავებს
გადასარჩენად და გაქრებიან...

ამომანოდე შენი ჭალის ნაპირებიდან
ბროლის ნამცეცი, ბინულის ნაშთი.
გავინაწილებ.
დიდხანს უსმინე ფრინველების ნისკარტებიდან
ამოსულ ხმაურს —
კენწეროებზე შეფენილ ამბავს.
ანწლის მარცვლები — ყვავის თვალზე მეტი თვალევი,
გვითვალთვალევენ,
ჭკნობამდე კართან.
თმობენ სივრცეებს ეზოებში მთვარეულები;
ჩიტის ბუდეებს აგროვებენ, გვიქსოვენ ჰამაკს.
კატის ძვლებია, მტვერმეფერილ სარკოფაგებთან,
ბურანის მიღმა;
შიშის მცველები სიფრიფანა გუშაგებს ჰგვანან.
იფრინე ახლა...
დაუბრუნდი ტკივილს და ხალხთან ამოიჩემე მიახლოება.
ჰო... არა ისე საფრანგეთის ერთ-ერთ ქალაქში,
როცა სატვირთო შეერია ცოცხალს და მართალს;
როცა სირია სიკვდილისკენ საქმიანობით
მიიწევს სწრაფად;
როცა ტყვიები მშვიდისთვის გემრიელია...
არის ასეთი ნაპრალები სამყაროს ტანზე.
იფრინე ახლა...
საფიქრალი დაგიხრის ბეჭებს.
ფარატინაა ყველა ლოცვა, უშინაარსო შეგუება
უძღურებასთან.
გააღე ტანი...

გიო ლომიძე

გაატანე სურვილს მიმიკა,
უჯრედებს შორის ხვეულებში გადამალული
ბრაზის კონტური.
ჰაერის ტალღებს მიამაგრე ინფორმაცია
შენი განწყობის,
შენი გრუხუნის.
ვინც კი ტკივილებს წაუყრუებს
ფილტვებით იგრძნოს.
ჰაერში ცურვაც შესაძლოა ფრენასთან ერთად.
რა საჭიროა თუ დინებას დავემორჩილე
ხელები, როგორც ჩემი ტანის ორი ნიჩაბი.

კვანტური მისტიკა

კატაკომბებმა ამობერტყეს სიტყვების ექო.
ოხშივარია. შემოასკდა ყვავი დარაბას.
ტბორში მარხია მთვარის ცრემლი. არ უნდა ქექო
ქარში ნაქსოვი სიმშვიდე და დავიდარაბა.
ხაფისი ძაფები — მოხასხასე მწვანე თასმები,
შეხორცებია ვენებივით ქობის კიდურებს;
დიდი ხანია იმ ეზოში აღარ გასმევენ
წყალს ძველი ჭიდან, საიდანაც ღმერთი გიყურებს.
დამშრალი ხევის ღრმულებიდან გესაუბრება
სიცარიელის უხერხული კატატონია.
ღამეა...

დაუსრულავალი ნყველა

შენი ჯერია გაიფიქრო, ახლა პირადმა
კადრები ნახო.
ბალანის ნაცვლად აბრეშუმი ამოგდიოდეს,
მხრებზე დანდური;
ქვიშა ცრემლებად მოგდიოდეს, სრესდე აგავას
გახსნილი ძვლებით;
დაფრუტუნობდე ულაცივით საუბრის შემდეგ,
დგომაც შეგეძლოს კვირის მინურულს
ბადეს გამსხტლარი ჭანარის ნებით
ცერა თითებზე,
სხვა დანარჩენი მაინც არ გქონდეს,
ცად გაეფანტოს წინა ღამით როცა მინდორში,
თვალეების მალვით შეეფეთე როყო ქარებს.
მწერებს ეძებდე, ატყვევებდე ფილტვის ორმოში
და უპირებდე ვულკანებთან გამოძინებას;
ნისლი გეფინოს ყვრიმალებზე გადამთიელის;
ფერდობებიდან პლანეტები ღორღით გივსებდნენ
სიცოცხლის ნაცვლად წარმოსახულ სიცარიელეს.
საკმარისია... ამოქოლე გამოქვაბული.
მაინც იწვიმებს შიგნიდან გარეთ.

სულისპირული

ვამსხვრიე და ვაკონინე დოგმა;
უცნაური გზები დავისახე.
სახე ისევ აიმრიზა ზოგმა,
ზოგმა ისევ აიმრიზა სახე.
ჰორიზონტზე მირაჟების ესკიზი,
მიზიდავდა ხან ძლიერ, ხან ისე რა;
გაუგებრად საუბრობსო ეს გიჟი,
ფიქრობდნენ და მე კი აზრებს ვისერავ

პოეზიით მეკუმშება აორტა.
მოლოდინებს შედეგები მოთვლიან.
ამ სივრცეში ბევრი ვილაც გაორდა.
ვიხსენებდი შარას — ყვითელ ფოთლიან.
მასხოვს გუშინ ლოდებს ცეცხლი ეკიდა;
ავციები მოქმედებდნენ არაფერს;
შინდისფერი ცრემლი წვეთდა კეფიდან;
სისხლის ორთქლი მიჰყვებოდა ქარაფებს.

წინასწარ

დიდი ხანია ანჯამებზე წვიმა ფლუიდობს,
დილიდან აღარ ეგებება ძალი ცანცარით
სხეულს, რომელიც არ იცოდი, იწვა თუ იდო
ოთახის ბოლოს. გვესებოდა თვალში ნაცარი.
იგვიანებდა ყელგამშრალი ხმაურს ხიჟინა.
რას ეთანხმები ფანჯარასთან ქარში, ძახველო?...
ძილი არ არის, გასვლა არის — დაიყიჟინა
ვილაცამ შიგნით; ახლა უნდა ამოახველო
მთელი ბალდამი სიცოცხლეზე — შიშით მყრალი;
ვერ გაგიგია ყვავი შენთან რამ დააჯინა;
თავი გგონია გუბის მიღმა დამხრჩვალი მყვარი;
გყავდი, ვქროდი და იმყოფინე ახლა განჯინა,
სადაც სიკვდილი უძღურია, მხდალი უთუო,
ლექის ტალღებად ამოსული შავი რიფები;
მოხვალ და მკითხავ, ჩემი ფიქრი გესმის ნუთუო?
პასუხად შენთვის ყვავილებად დავიკრიფები.

პარციალური ანტაგონიზმი

ახლა უჩემობა არის პასტორალი,
სადაც არსებობს — უსახელო ყორე
უფრო მირჩენია, ვიდრე მესტუმრება
საპატიო ჩრდილი უნდა გავიყოლო
არამინიერი დარდი, ზღვის აურა;
არ მაინტერესებს — დალილი იაბო
თუ არც მოხდენილად მომესათაურა;
აღარ მოვინდომებ ჩემზე რომ გიამბო
რამე... დაივინყე უთავბოლო ჩარჩი,
ქარში ჩემს მაგივრად თვალეებს აფხაურებს
ღამე გაიძვერა, სუნთქვა იქვე დამრჩა,
სადაც გულმოდგინედ ვსრესდი ნაფეხურებს.

არაფერი ახალი

უთავბოლო ამბიდან ისევ თვლემდა ლოდინი,
თებერვლიდან მარტამდე მანძილია უაზრო,
გაცრეცილი სიმშვიდე იხედება ლოდიდან,
ადამიანურობა დგას სიცოცხლის უარზე.
ღვარძლით შეზავებული გაშლილია სამხარი,
აღარ თვინიერდება ხალხის ურთიერთობა,
მიდით!!! სუფრის წევრებო!!! ერთმანეთი დახარით,
მასპინძელი ყოველთვის ამ სეირით ერთობა.
უსასრულო ღალატის ურცხვი ერთადერთობა,
პირფერობის მეფობა — სირცხვილია რამხელა,
თურმე კაცის ბუნებას უზნეობა ერჩოდა,
სიამაყით ხდებოდა უგნურების გამხელა.
ეცლებოდა სამყაროს უფერული ბგერები,
დამაქვს სული, სხეულის უპირობო იჯარა,
წასასვლელად მოვედი, ლექსად მოვეძგერები,
ჩემი ყველა ტკივილი პოეზიამ იჯავრა.





გვანცა მალობლიშვილი რას მაღავეს მწერალი

ენობრივი თვალსაზრისით, ათივე მოთხრობა ერთმანეთს ჰგავს, მაგრამ თითოეული მათგანი განსხვავებული და ინდივიდუალურია. აქ ბევრნაირ ადამიანს აღმოაჩენთ ბევრნაირი ხასიათითა და ემოციით. აქ იპოვით ბიჭს, რომელიც ცხოვრობს ძველ თბილისში, სადაც ყველას თავისი ღმერთი ჰყავს, საპირფარეო კი საერთო აქვთ. ნახავთ მეხსიერებანართმეულ კაცს, რომელსაც შვილი ეხმარება ერთი ბავშვობისდროინდელი ზაფხულის გახსენებაში თოლიების ხმებით, ზღვის კენჭებიანი ქილით, სურათებით. ნაიკითხავთ ამბავს ქალსა და კაცზე, ვისთვისაც კინო გაუნელელებელი ვნება და სიყვარულია და სწორედ ამის გამო უყვარდებოთ ერთმანეთი თავდავიწყებით. აქ კიდევ ერთი ქალია, სხეული ათას ნაწილად რომ აქვს დამსხვრეული და საკუთარ თავთან საერთო ენა ვეღარ გამოუნახავს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მოთხრობა სახელად „#რძისფერიპოია“, რომელიც დღევანდელი ენის ერთ-ერთ ყველაზე მძიმე და აქტუალურ პრობლემას, სელექციურ აბორტს ეძღვნება. აქ, მშვიდ მარადიულობაში, მშობლებისაგან უარყოფილი, დაუბადებელი გოგონები ცხოვრობენ და „გამქრალ ქალთა გიმნაზიაში“ გაკვე-



თილებზე ცდილობენ საკუთარი ბედის შეცვლასა და ტკივილების დაგინყებას. მასწავლებლები — ქარი, მინა და წყალი — მათ ცრემლების ამოშრობას, მდინარეში აღმა ცურვასა და გაძლიერებას ასწავლიან. კითხვებზე პასუხების მოსაძებნად

დროდადრო ტყეში მიდიან ნიგნებთან დასანოლად. საყვარელ ეპიზოდებს ხელახლა კითხულობენ და განცდილს ერთმანეთს უზიარებენ. ამ მოთხრობის მსგავსად, დანარჩენებიც მსუბუქი სევდითაა დაწერილი და მკითხველზე ემოციურ ზეგავლენას ახდენს.

ზოგადად, ნებისმიერ ადამიანს აქვს სხვებისთვის საკუთარი თავგადასავლის, ნაფიქრალის გაზიარების სურვილი და ამ მიზანს ხელოვანი, უმეტესად, შემოქმედებითი გზით აღწევს. ხშირად ხდება, ავტორები საკუთარ პერსონაჟებს ამოეფარებიან ხოლმე ზურგს უკან და თავიანთ ისტორიებს აყოლებენ. ამ კრებულს მხოლოდ ერთ-ერთი მოთხრობის გამო არ ჰქვია „ერთი თქვენგანი გამცემს“. როგორც თავად რუსუდან რუხაძე ამბობს ინტერვიუში, ეს ერთგვარი მინიშნებაა, რომ ყველაფერი არ არის გამოგონილი და ერთი ამბავი მასაც გადახდენია. სიმართლის ძიება და პარალელის გაკვება კი, მოგვსენებათ, მკითხველის საყვარელი საქმიანობაა.

ფიქრობ, რუსუდან რუხაძე მწერლის ყველა კრიტიკულს აკმაყოფილებს, თუმცა, უპირველესად, მისი პიროვნული და შემოქმედებითი ინდივიდუალიზმი არის აღსანიშნავი, რომლის გარეშეც დიერებულის და ხარისხიანი ტექსტი ვერ შეიქმნება. წარმოსახვასთან შეზავებული უბრალო, ყოფითი ამბები ამ ავტორის ხმას დაგამახსოვრებთ და მის გამორჩეულობაში დაგარწმუნებთ.

პირველი ნიგნის გამოცემიდან სამწლიანი პაუზის შემდეგ რუსუდან რუხაძემ მეორე კრებული წარუდგინა მკითხველს შთამბეჭდავი სახელწოდებით „ერთი თქვენგანი გამცემს“ („ინტელექტი“, 2016 წელი). ნიგნმა, რომელიც ათ მოთხრობას აერთიანებს, უკვე დაიმსახურა მოწონება და ნიგნის საახალწლო ფესტივალის ბესტ-სელერი გახდა.

რუსუდან რუხაძეს სხვებისაგან არა მხოლოდ დახვეწილი წერის სტილი გამოარჩევს, არამედ ორიგინალური, ორაზროვანი სათაურების შერჩევის ოსტატობაცა და ნიჭიც. მისი მოთხრობების სათაურები გამოცანებს ჰგავს: „ნაგასაკი“, „მოდრავი დღესასწაული“, „ქვის კაცები“, „ერთი თქვენგანი გამცემს“... ნაკითხვამდე გინდებდა ასოციაციები, თუმცა, ვერასოდეს ხდება, მათ მიღმა რა ამბებს მაღავეს მწერალი. ეს მკითხველისთვის წამოწყებული ერთგვარი თამაშია, რომელიც სასიამოვნოდ გაცდებულსა და კმაყოფილს გტოვებს.

ამ მოთხრობებში პერსონაჟები პირველ და მეორეხარისხოვანად კი არ იყოფიან, არამედ თითოეულს თავისი როლი აკისრია ამბის გამოგონებაში. მეტიც, სიუჟეტების დეტალებს ასე მიმზიდველს, ცოცხალსა და სრულყოფილს, ადამიანებთან ერთად, გარემო, ნივთები და საგნები ქმნიან. პატარა ქალაქების მოკლე გზები, ატმის ბალები, ქოთანში ჩარგული ყვავილები, ლურჯი კაბები, ქარისა და მინის სურნელი, მწვანე ტბები ხიბლსა და სიმსუბუქეს სძენენ ტექსტებს.

დასასრული

ქედისუბანში ძროხის გატყავება მინახავს, დინჯი რაჭველი შეწუხებული სახით რომ უყურებს თავქვედაკიდებულ პირუტყვს და თავდაც უტყვად რომ ცდილობს, კანი სუფთად შემოაცალოს. საქართველოში მხოლოდ კილო და ხასიათები არ განსხვავდება ერთმანეთისგან, ყველა კუთხეში სხვადასხვანაირი პირის გემო აქვთ. ალბათ ამიტომაც განსხვავდება ასე ძალიან ქართული ღვინო.

რაჭაში, როგორც ბევრ სხვა მაღალმთიან საქართველოში, მკაცრი ზამთარი იცის, მაგრამ აქაური ბუნება უფრო დინჯი, უფრო მეტად მოფიქრალი და მშვიდია. ამიტომაც იყვნენ რაჭველი კაცები მეტად მშვიდობიანები, ვიდრე ვთქვათ უფრო ფიცხი ხევსურები. რაჭველი ქალის სიანჩხლეზე კი კარგი ახსნა მომისმენია თავად რაჭველებისგან — ჩვენო, რაკი სარჩოს საძიებლად ბარში სიარული გვინევდა და ოჯახს ქალების იმედად ვტოვებდით, დედებს უფრო ხშირად უნევდათ თავის დაცვა და მკაცრი ხასიათი ამადაც აქვთო. ჩემთვის კი რაჭველი ქალიცა და კაციც ერთნაირად მოსიყვარულეები იყვნენ ყოველთვის, ამიტომაც, უცხოელი სტუმრები პირველად აქ მომყავდა.

კიონ ძიარ არც ვახშამზე აპირებდა ჩამოსვლას. რესტორანში ვახშამდე ოცი წუთით ადრე ჩავედი და New York Time-ის ბოლოსწინა ნომერი გადავავტალიერე. სინამდვილეში თვალი სამზარეულოსკენ გამიბრუნდა, რომელიც რესტორნის მთავარი დარბაზიდან ხელისგულივით ჩანდა (შუშის გამჭვირვალე კედლის მიღმა მზარეულები ფუსფუსებდნენ). დიასახლისი არსად ჩანდა, ასაკოვანი მზარეული ქალი მჭაუნის წვნიანს კიბორჩხალებით აგემოვნებდა და რაჭულ სიმღერას ღლინებდა. სასტუმროში 15-მდე მომსახურე პერსონალი მუშაობდა. მხოლოდ მეპატრონე და მისი ცოლი იყვნენ ირანელები. ჯუჯას გაუგებარი აქცენტით ჰქონდა, სხვები კი რაჭველები და ტყიბულელები იყვნენ.

ვახშამი (ან როგორც მას ქართულელები ეძახიან — მწუხრი საჭმელი) რვაზე მოგვართვეს. რესტორანში მე და გერმანელების 8 კაციანი ჯგუფი ვისხედით. ისინი თავიანთი ეროვნებისთვის დამახასიათებელი ზედმინივებით სიზუსტით შემოვიდნენ. ცოტათი გადამეტებულად ხმაურობდნენ, მაგრამ არც ისე, რომ პირის გემო დაეკარგა კაცს.

საღამოს მსუბუქებიდან ცხელი ყველი გამოცხვარი სიმინდით, კუბდარი, კომბოსტოს მწნილის წვნიანი, მჭადში მოხარშული ჭიჭყინა იყო. ხორციეული უფრო ზომიერად მოგვართვეს — ჩახობილი, გულ-ღვიძლი ვაშლით, შემწვარი ხარის კუდი და საქონლის ტვინი იყო.

ტბაზე გასიარებამ მომავია. დინჯად შევუდექი ჭამას და როგორც უთქვამს ვიდაც ბრძენს, მადა გზაში წამომენია. მარ-

გურამ მეგრელიშვილი

ალტერნატიული საქართველოს ამბები



ტოკაცი ჭამამაც ცოდოაო, ამ ანდაზას ერთი მთავარი აზრი აქვს — მარტოკაცი ჭამისას ბევრს ფიქრობს, ისეთებზე ფიქრობს და ისე გაეცევა ფიქრი, თვითონაც რომ არ უნდა. მოფიქრალი კაცი კი ან სულ ვერ ჭამს, ან ჭამს ძალიან ბევრს.

არაყმა პირის გემო გამიმძაფრა. ყველაფერი დავაგემოვნე და იყო საოცრად გემრიელი, ამჯერად ზუსტად იმდენი მარილით, რამდენიც მე მიყვარდა. გვიან გადავხედე დარბაზს და მაშინლა მივხვდი, რომ ეიოლფი თვალში არ მომხვედრია. ჯერ ვიფიქრე, გავსვითი ტური ხომ არ აქვთ რომელიმე სოფლისკენ-მეთქი (ზემო კრიხი, შხივანა, ცახი, ქვედა შავრა, ტბეთი, საკეცია — ეს სოფლები ერთმა ნორვეგიელმა მდიდარმა კაცმა იყიდა, შროშის ქართული კრამიტით გადახურა და დანარჩენ სოფლებს კარგი მაგალითი მისცა, როგორ გაემშვენებინათ კომუნისტურ ეპოქაში აშენებული უმწო ფორმის სახლები), რადგან შაორზე ჩამოსული ტურისტები, როგორც წესი მიმდებარე და მოშორებულ სოფლებში ბუნების მრავალფეროვნების, ხალხის სანახავად დადიოდნენ. მაგრამ რესტორნის მარცხენა, გაპაპირა კუთხის მაგიდასთან ალისა და ალფონსი დავინახე. ქალი თავიანთ ენაზე გაცხარებული ჩურჩულით და მაინც ღრიალით ელაპარაკებოდა. ალფონსის სახეს ვერ ვხედავდი, ჩემგან ზურგით იჯდა, მაგრამ ჩანდა რა ალისას რისხვით სავსე თვალები, წარმომედგინა ამ სიმყუდროვედარ-

ღეულები ძუ დათვივით გამწარებული ქალის წინ რა სახეც ექნებოდა.

ვახშამი ისე დავამთავრე, მათკენ აღარ გამიხედავს. სხარტალიდან ჩამოტანილ თათარას ბოლო მოვუდე და მოსაწევად აივინსკენ წავედი. ტკბილმა ისე დამამძიმა, ხასიათიც კი გამიფუჭდა. შიშხილსაც და ნაყოფანებასაც ერთნაირად შეუძლია ადამიანის გუნება მოშხამოს. შვედ ცოლქმარს გვერდით ჩავუარე, რათა აივანზე სასტუმროს იმ მხრიდან გავსულიყავი, გორწყალს რომ უყურებდა. ალისას მივესალმე და ნაძალადევად გავუდიმე კიდევ, ქალმა თვალი ამარიდა და რაღაც ჩაილაპარაკა. გარეთ გავედი, პლუდი მოვიხსურე, გავაბოლე.

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიჯექი ასე. გვიანი საღამოს სუსხმა გამაღვიძა. გვერდით ალფონსი იდგა და ეწეოდა. სიგარეტიდან სიგარეტზე გადაუკიდა და იდგა ასე, გახევებული. მივხვდი, რომ რაღაც ანუხებდა, ძალიან ანუხებდა. ასეთ დროს ადამიანებმა ერთმანეთს უნდა შეეუმსუბუქოთ სიმძიმე, ერთი შეკითხვაც კი საკმარისია, რომ კაცმა გული გადაგიშალოს. ისეთი და ისე ამოთქვას, რომ სიცოცხლის ხალისი დაუბრუნდეს. შენ შეიძლება არც მოუსმინო, საკმარისია, პერიოდულად თავი დაუქნიო, ან შორისდებულები თქვა, ჩახველო, სულაც ამოიხრო — ის კმაყოფილია. ადამიანებს მომსმენი გვჭირდება, მე კი წელანდელი მისი ცოლის სიცივის

გამო ყურადღებაც კი არ მივაქციე, დაჯდომაც არ შემითავაზებია, ნომერში ავბრუნდი და ძილი განვაგრძე.

უცნაური სიზმრები ვნახე. სანამ პირი არ დავიბანე, არც მჯეროდა, რომ სიზმარი იყო: სასტუმროს უჩვეულოდ მიხვეულ-მოხვეულ დერეფანში გავიარე. ძველი, აღმოსავლური ხალიჩა ეგო და ფეხშიშველი მივდიოდი. რომელიღაცა ნომრიდან ქალის ჩუმი, ტკივილნარევი კვნესა თუ მოგუდული კივილი ისმოდა. კარი ოდნავ ღია იყო, ფრთხილად შევადე და სასტუმროს მეპატრონის ცოლი და ჯუჯა დავინახე. ქალი მუხლებზე იდგა, უკან ამაზრზენი, მოკლევლება კაცი ედგა და როგორც სუფთა სისხლის ბედაურს, ხედნიდა. ქალმა თავისი შავი, აღმოსავლური, ამღვრეული თვალებით გამომხედა და როგორც სწევოდა, მზერა ამარიდა.

სიზმარშივე ამეზილა მუცელი. ასეთი გვერმა მანამდეც მქონია, განსაკუთრებით ცუდი ემოციური შეგრძნებების დროს. ნომერში საშინლად ცხელოდა, გადამეტებულმა საჭმელმაც თავისი ქნა და ღამეული კომპარი სანამ არ ჩამოვიბანე, ხასიათი ვერ გამოვიკეთე.

რესტორანში ფუსფუსი დამხვდა. გერმანელები საუზმეს ის-ის იყო, ამთავრებდნენ. მასპინძლის ცოლმა ამ ორი დღის განმავლობაში პირველად გამიღიმა და მორიდებით დამიკრა თავი. მეც მივესალმე და უცბად გადამეყარა ღამის კომპარი. საჭმლის დანახვაც კი არ მიწოდდა, ყავა დავისხი და სიგარეტი ხელში აივანზე გავედი. ჯუჯა წყალს გასცქეროდა. ჩემ მიახლოებაზე ცოტა დაიბნა და გვერდით გადაგა. რატომღაც გადავწყვიტე, ზიზი, შიში თუ ეს გაურკვეველი ემოცია გადამელახა და გამოვლაპარაკებოდი. ახლად აღმოვაჩინე, რომ სლავური აქცენტით ჰქონდა — ყ, წ, ჭ-ს ვერ გამოთქვამდა და მყივანა ხმის ტემბრით გამოიჩინებოდა.

სალაპარაკო თემა რომ ვერაფერი მოვძებნე, შვედები მოვიკითხე. ქალი ნომერში არის, მისი ქმარი ღამით გაუჩინარდა, ის მაღალი კაცი კი ნუხელ პატარა გოგოსთან ერთად გაიქცაო. რასაკვირველია, კარგად ვერ გავიგე, რა მითხრა. დამიზუსტა, მაღალი კაცი მეგობრის არასრულწლოვან ქალიშვილთან ერთად სამხრობის მერე სასტუმროდან გაიქცა, როგორც ჩანს, ერთმანეთს შევარობდნენო. მანქანა წინასწარ ჰქონია უკვევითი და ნაპირთანაც თვითონ გადაუყვანია ორივე. ვერც წარმოვიდგენდი ცუდ რამეს, თორემ როგორ წავიყვანდიო, სწუხდა გულწრფელად.

ალფონსის ზურგი გამახსენდა, მერე კი მისი სახე აივანზე.


ადამიანებმა ხან ერთი სიტყვის თქმა არ ვიცით ერთმანეთისთვის, არადა, ვინ იცის, ეს ერთი სიტყვა რა მნიშვნელოვანია.

ვახშამისას ალფონსის გამხდარი სხეული შაორმა გამოიჩია.



ლალი ავალიანი

„უზოუკვლოდ გადაშენებული დრო“



ვაჟა ბიბაშვილი, პროზის ნამდვილი მამოძრავებელი (ტყვიისა არ იყოს, სიტყვას სიტყვაში რომ „აჯენს“), დიდხანს იყო ჩრდილოში. ამას, ერთის მხრით, მისი ბუნებრივი პიროვნება და დისიდენტური იმიჯი განაპირობებდა (საბჭოთა ცენზურა ამიტომაც დიდხანს უფროსხდა), მეორეს მხრით კი, ინტერესთა ფართო წრე აფერხებდა: მთამსვლელობა, ნადირობის, მოგზაურობის, საკუთარ შესაძლებლობათა გამოცდის ჟინი; აგრეთვე, ძირითადი პროფესია — არქიტექტურა. ნარჩინებული გამოდგა მისი სადიპლომო ნამუშევარი — მთის სოფლის განაშენიანების პროექტი, რომელმაც საკავშირო ბინალზე პირველი პრიზი მოიპოვა. არც არის გასაკვირი, გურამ რჩულიშვილთან და სხვა მეგობრებთან ერთად, იგიც „მთის კულტის“ დამამკვიდრებელი იყო. 1961-71 წლებში არქიტექტორად მუშაობდა.

წერდა გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან, ბევრი მაშინდელი მოთხრობა ორი თუ სამი ათეული წლის შემდეგ გამოქვეყნდა.

პირველი წიგნი „ნადირობა ჩონ-ტაში“ მაინც სრულიად მოულოდნელი და გამოგნებელი აღმოჩნდა. ის XX საუკუნის მხატვრულ-დოკუმენტური ჟანრის ისეთივე გამორჩეული ტექსტია, როგორც დავით კლდიაშვილის „ჩემი ცხოვრების გზაზე“, ნიკოლოზ მინიშვილის „ეპოპეა“ და „თებერვალი“ ან თამაზ ნატროშვილის „მამრიყიდან მალრიბამდე“ (მიუხედავად თემატური სხვაობისა).

ახლა, ლიტერატურის კომერციალიზაციის ხანაში, მათგან ის ფაქტი, რომ ამ წიგნის გამოსვლამდე, უნივერსიტეტის სტუდენტთა შორის, ხელიდან ხელში გადადიოდა გადანერვილი (ეგრეთ ნოდებული „სამიზნატი“) პასაჟები ვაჟა გიგაშვილის ტექსტისა.

ლაშა თაბუკაშვილის თქმით — „ნადირობა ჩონ-ტაში“ თამამად ეტოლება ტურგენევისა და ჰემინგუეის მონადირულ თხრობას“.

ვაჟა გიგაშვილის პროზას ძლიერ ნაადგა (ოსტატობის დახვეწის თვალსაზრისით) არქიტექტურიდან 1971 წელს კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ რეჟო თაბუკაშვილის დაარსებულ „მწერალთა კინო-გაერთიანებაში“ გადაბარგება: 1990 წლიდან გაერთიანების თავმჯდომარე, 1992-94 წლებში კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სამხატვრო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, 1990-2002 წლებში გაზეთ „მამულია“ და ჭაბუა ამირეჯიბის დაარსებული გაზეთის „განახლებული ივერის“ მთავარი რედაქტორი იყო.

ავტორია მრავალი კინოსცენარისა; განსაკუთრებით მიწა გამოფარჩო მერაბ კოკრაშვილის „მწვერვალი“, სერგო ფარაჯანოვის „სურამის ციხე“ და დათო ჯანელიძის „ჯაყო“. ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ერთობ მნიშვნელოვანად მიმანჩნია ვაჟა გიგაშვილის რომანი — „ერთი ვინმე ყაფლანიშვილი“ — „ჯაყოს ხიზნების“ „გაგრძელება“ თუ გათანადოებული „რიმეიკი“ (გამოქვეყნდა „ლიტერატურულ პალიტრაში“ 2008 წელს, „პალიტრა L“-მა მალევე გამოსცა ცალკე წიგნად), რომელშიც მარგო ყაფლანიშვილისა და ჯაყოს ნაშიერის გროტესკული სახე არაორაზროვნად მიგვანიშნებს „ჯაყოზის“ უკვდავებას.

კინოდრამატურგია შესანიშნავი სკოლა პროზაიკოსთათვის, თუმცა სცენარისტობამ, მატერიალურადაც უფრო დაფასებული რომ იყო, ზოგიერთ დიდ მწერალს დრო „მოჰპარა“: იგივე ითქმის გურამ რჩულიშვილისა და ვაჟა გიგაშვილის უფროს მეგობარ ერლომ ახვლედიანზეც, რომლის უნიკალური, ან უკვე ლიტერატურულ მემკვიდრეობად ქცეული თხრობების მცირერიცხოვნობა გულდასაწყვეტია.

ვაჟა გიგაშვილმა ჩრდილოში ყოფნა კი არჩია (ახლაც ასეა!), თუმცა არც არავინ ეძალეობდა: ის გონივრული პრაქტიკა, რომ ჟურნალ-გაზეთებისა და გამომცემლობათა რედაქტორები თავად გაფაციცებით უნდა ეძიებდნენ კარგ ავტორებს, საქართველოში დიდი იშვიათობაა.

საბჭოთა პერიოდში ძირითადად სასურველ და „საიმედო“ მწერლებს ანებივრებდნენ შეუსაბამოდ დიდი ტირაჟითა და პონორარით, 90-იანი წლებიდან ერთხანს წიგნისათვის არავის ცხელოდა. ახლად ფეხმოკიდებულმა საბაზრო ეკონომიკამ წიგნების დახლზე ერთად მოაქცია „ტარზანი“, „კაციაქამიას აღსარება“ და ჭაბუა ამირეჯიბი, ოთარ ჭილაძე, რეზო ჭიჭიშვილი...

ახლა ტექნოლოგიამ შემდეგში დიდად გააიოლა მასკულტურის „გაყიდვადი“ ჭრელა-ჭრულა წიგნებისა და ნები-სმიერი ფულიანი ავტორის თუნდაც მრავალტომეულის გამოცემა, რაც ლამის შეუქცევადი გახდა. იმავე პერიოდში იყო ბედნიერი გამოჩენილიც: ჭაბუა ამირეჯიბის, გურამ ასათიანის, გურამ დოჩანაშვილის თხზულებათა დიდებული კრებულებებისა და ჩემთვის უძვირფასესი პიროვნებებისა და ხელოვანების ელგუჯა ამა-შუკელინისა და თემო ჯაფარიძის მდიდრული ალბომების გამოცემა (სპონსორი — მაგთი). მაგთის ხელშეწყობით დასტამბულ სხვა ექსკლუზიურ წიგნებს შორის მხოლოდ ზემოხსენებულ ტომეულებზე მიმინვდება ხელი; ამ უბრალო მიზეზის გამო ქველმოქმედთა სხვა გამოცემებს ვერ შევხვები.

ბოლო წლებში, ღვთის შენეებით, რამდენიმე გამომცემლობამ იმარჯვა და იფქლის ღვარძლისგან გამორჩევას მიჰყო

ხელი. ვაჟა გიგაშვილის მოთხრობები კანტი-კუნტად კი ქვეყნდებოდა და, დიდი ინტერესის კვალობაზე (განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე „ლიტერატურულ გაზეთში“ დაბეჭდილმა სულის-შემძვრელმა მოთხრობამ — „შემდეგი“), უკმარისობის გრძობასაც ბადებდა, რადგან კრებული არ გამოუქვეყნებია. უღრმესი მადლობის ღირსია გამომცემლობა „ინტელექტი“, რომელმაც ერთ წიგნად შეკრა „მოთხრობები პოეტზე, რომელიც იშვიათად წერდა ლექსებს“, სხვა, შედარებით ადრინდელ ციკლებთან ერთად; იმავედროულად გამოსცა მეორე კრებულშიც „თბილი ლოგინი და ცივი ღამე“.

„მოვიდა მწერალი, რომელიც ცოტას წერდა, მაგრამ რასაც წერდა, ერთი კაშხალის ენერგეტიკას უდრიდა და განცვიფრებას ინვევდა ის ფაქტი, რომ მეოცე საუკუნის 50-იანი წლების იდეოლოგიურ გაზის კამერაში თავისუფალი სულის ასეთი ამოტყორცვა მოხდა“ — წერს ერთ-ერთი კრებულის წინასიტყვაობის ავტორი ლაშა თაბუკაშვილი.

მწერალს, როგორც პიროვნებასა და შემოქმედს, არც ოცდამეერთე საუკუნეში უცვლია ნირი. „მოთხრობები პოეტზე, რომელიც იშვიათად წერდა ლექსებს“, თუ არ ვცდები, XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზეა შექმნილი. აქვე მინდა სინანული გამოვთქვა იმის გამო, რომ თანამედროვე ავტორების კრებულებში კონკრეტულ თხზულებათა დაწერის თარიღები არ არის მითითებული. „დრო, დრო აღნიშნეთ“ — გალაკტიონის ეს ორაზროვანი გამოჩაქვამი ყოველთვის გასათვალისწინებელია.

მხოლოდ სარჩევშია მითითებული, რომ „მოთხრობები პოეტზე, რომელიც იშვიათად წერდა ლექსებს“, 1995 წლიდან იღებს სათავეს (სავარაუდოდ, ეს მშვენიერი ციკლი გრძელდება), „ორი მოთხრობა მრგვალთაზე“ 1991 წლით, ხოლო ციკლი „დუდა გ. და მოკლე მოთხრობები“ 1980 წლით თარიღდება.

სფერო, რომელშიც ავტორის ორეული ან ალტერ ეგო „მყოფობს“, წერს, მოგზაურობს, ნადირობს თუ ნადიმობს — თავბრუდამხვევი სიჭრელისა; ვაჟა გიგაშვილი არ არის „დაციკლული“ თბილისური თემატიკით. იგი ახალგაზრდობიდანვე დროდადრო მუშაობდა ეთნოგრაფიულ და ალპინისტურ ექსპედიციებში, კავკასიის მთიანეთში, ჩრდილოეთის ზღვაზე, კოლის ნახევარკუნძულზე, შუა აზიაში, პამირსა და ტიან-შანზე.

მრავალფეროვანია მის პერსონაჟთა არეალი: სხვადასხვა ასაკის, ეროვნების, პროფესიის, ცხოვრების ნირის, გემოვნების, პაბიჭუსისა თუ ხასიათის ადამიანთა კალეიდოსკოპი, ავტორის მიერ ერთი მონასმით, ძუნწი შტრიხებით დახატული და გაცოცხლებული, ეგრეთ ნოდებული სიტყვიერი შესტებითაც სრულიად გამორჩეულია.

ყოველ მათგანს თავისი ფუნქცია ენიჭება: ისინი ხშირად ავტორის განსჯისა და რეფლექსიის მთელი კასკადისათვის არიან მოწოდებულნი, ზოგჯერ კი „დამოუკიდებლად“ — თავისი არსებობით გადმოსცემენ მწერლის სათქმელს. ვაჟა გიგაშვილის სიტყვიერი არსენალი ერთობ ტევადია: თხრობის ყოფითი მანერა ძალდაუტანებლად ერწყმის ღრმავაროვან სენტენციებს, განსჯასა თუ რეფლექსიებს. ამ შემთხვევაში „ამაღლებუ-

ლის“ განცდა მალაღმარებელია გარეშეც მიღწეულია. მდიდარია ავტორის ლექსიკა. სხვა დროს ეს აღსანიშნავიც არ იქნებოდა, რომ არა ბევრი თანამედროვე პროზაიკოსის სრულიად გაუმართლებელი, ქედმაღლური დამოკიდებულება მეტყველებითი სტილისადმი, რაც ხშირად ლექსიკური სიღარიბისა და სიტყვის ხელოვნების უგულვებლყოფის თვალსაჩინოებაა და არა „ახალი“ სტილი.

ბარბარიზმი, ჟარგონი, ნეოლოგიზმი, სკაბრეზი (ქართულ-რუსული) ისეთი ქართული არის „მეფუთული“, რომ გადაჭარბებისა ან უადგილობის უამური გრძობის ნაცვლად თხრობის ვნებიანი სიმძაფრე, ზოგჯერ სიმშაგე, მკითხველსაც გადაედება ხოლმე.

ბუნებრიობა — ვაჟა გიგაშვილის პროზის დამახასიათებელი ერთ-ერთი ძნელად მოსახელთებელი კომპონენტი — „შიშველი“ ნატურალიზმისაგან გამონკვეულ უსიამოვნო ხინჯს იოლად აგვაშორებს.

ვაჟა გიგაშვილი — პიროვნება — არ ეშურება თხზულებათა ბეჭდვას, არ ხმაურობს, არასოდეს მიდის კომპრომისზე, ცხოვრების ნირით სავსებით იზიარებს პასტერნაკის მავსიმას — „Быть знаменитым некрасиво“.

„მიკვირს და გამკვირვებია, რისთვის დუმს, რისთვის არ ხმაურობს, რისთვის არ აინყვეტს ყოველდღიურობის საშინელებით განამებული კაცის გონება?“ (გალაკტიონი).

ვაჟა გიგაშვილის შემოქმედება სწორედაც რომ ყოველდღიურობის საშინელებით განამებული ადამიანის თავანყვეტაა.

ერთი დიდი პოეტისა არ იყოს, ვინ იცის, როგორი ნაკვიდან ამოიზრდება „უსირცხვილო“ ლექსი...

წერას ატანილი და წერას მოწყურებული შემოქმედისათვის „შთაგონების წყარო“ შეიძლება ექსცენტრული განუყვრელი წყვილი გახდეს: დარეხვილი, მაგრამ რალაციით მაინც მიმზიდველი ნიკუშა და მისი ულაშაესი, თვალზე მუდამ „ფანარიანი“ გოგო ქეთევანა; შეყვარებული ჯერ რომ „დათოფავს“, მერე კი ბენზინს გადაასხამს და ცეცხლის ნახაკიდებლად გამოენთება; ახალგაზრდასი უერთმანეთოდ მაინც ვერ ძლებენ — „მელას თავისი მახრობელა უყვარდაო“... მათდამი კეთილგანწყობილი პოეტი დიმიტრი გრძობს, რომ მოწყინდა სხვებთან ყოფნა: „უნდა დაიცალოს ჩემი აქტის არეალი“ (მოთხრობა „ბარახოლა“)... მხოლოდ ამის გაცნობიერების შემდეგ, სანერ მაგიდასთან მოკლათებული, „გათიშულ“ შეუდგება წერას: „ვწერდი დიდ სანაგვეზე... ბარახოლაზე“... დიდ სანაგვესამყაროზე, სადაც გორებდა, ქედმად, მთავრეხილებად აღმართულა კაცობრიობის ყველანაირი გამონამუშევარი — იდეოლოგიებით, რელიგიებით, თეორიებით, საიდუმლო მოძღვრებებით დაწყებული და საღვთის რეზინი „შედრო“-თი (პირიდან რომ დორბლივით ბუმბუს გამოუშვებ, გაბერავ და მერე — „ბრან!“ — გახეთქავ) და-მთავრებული... და სადაც მე დაგვობდილებ (და სხვაგვინიცისკიდევრამდენიჩემისთანა), რალაცა „კარგისა“ და „ჯერარ-ნახულის“ პოვნის აზარტითა და იმედით შეპყრობილი ვაბუჯურებ ამ ნაგავს: აზრებს, იდეებს, ფერებს, ფაქტებს, სახეებს, პანგებს, ინფორმაციებს, კონცეფციებს, ფანტაზიებს, პათოლოგიებს, ექსტაზებს, წყალდიდობებს, დერეხიებს, ლალატებს, პარადოქსებს, ტრადიციებს, ინტრიგებს, სიმბოლოებს, აგრესიებს, ეიფორიებს, ფანფარონობებს, მხეცობებს, ქვეშიდან გამოსვლებს, ეპიდემიებს, არტისტიზმებს, კრეინიზმებს“ და ასე, დაუსრულებლად.

ქართულ მწერლობაში იშვიათად გვხვდება წერის პროცესის ასახვა, მით უმეტეს, ამგვარი ინტერპრეტაციით!


რომ არა „უზოუკვლოდ გადაშენებული დრო“ და მძაკატა უთავბოლო ქეიფი და ალტკინება (კონიაკ „კამიუთი“ და სხვა სასმელ-საჭმელით შეზავებული), იქნებ ვატას სახლიც კი აშენებულიყო! (მოთხრობა „მალღი ქალაქს მიდიოდა“...): „მთაში მივდივართ, სახლის საშენებლად!.. ვატამ იქ ერთი ძველის-ძველი სახლი იყიდა. ეხლა ხდება მისი სამონადირო-სამოთხილამერო-სამთამსვლელო ქობუნაგ-თავმესაფრად გადაკეთება“.

დასასრული მე-9 გვერდზე





ეთერ თათარაიძე



რა ქარიშხალა' ბიჭი,
ერთ წუთს სიცოცხლით ა'მსვენს
ჩამკვდარ არე-კარეს.

დანალურბლ ცას მზეს მი'ყვანს,
მასკვლავებს შემუ'რიგებს
ცალად მავალ მთვარეს.

რა ქარიშხალა' ბიჭი,
ანარჩევ ქალ ეკუთვნის
გულზე სუ მზე მფარეს.

კმილდაკრეჭილ მოდისა-დ
ზამთარ კარზე გვიჯდებ,
რა' ეზმებ უსახლ-კაროთ,
ხალხნო, ამას ვგვიყდებ!

გზაარეულ ჩიტების
ზვერვით ეზოს მივჯდებ,
ან ამ ერთ ნახორ-ნამცეცთ
რა' ეზმების, რა'...

გზა გვერდნაქცევ ქორ დადის
წინ, მემრ გარევ უკვენ,
აქ ხო უკვე იყავივ, —
მე თეთრ მანდილს ვუფენ.
მეტა' გზაარეული
ცას მინაკერ ქორ,
ველარ მოწელ სავალი-დ
ცის გზისაჲ სწორ ფონ...

აი, კიდევ გამოჩინდ
ლონელბულ ქორ,
ლურჯ ცას მინაკემსარეჲ
შავკაბიან ქორ...

ამ დღეთ შენკ მოსასვლელ ფიქრს
თუშურ სამოსს ვუქერავ,
ამ დღეთ შენ გასავლელ გზებს
თუშურ ნაბდებს ვუთელავ.
მბილადა' რო იარო-დ
ჩემამდ ი'სრ რო მოხვიდ...

ადექი-დ საქმეს და'დექ,
ირწმუნ, ცოცხალ რო ხარ.

გმადლობ, ჩემ ტკმელ უფალო,
შენთან გულ რო გამაშლი...

— ეთერო, ყველა'ისად მპატიებელ რად ხარ?
— არ, არ, თანთანა' გამმარჯდ, ზოგს ვერ ვივინყებ.
— ეთერო, შენ ბოლმა მტრებს სიყვარულით აწსენებ.
— ჰო, ჰო მაგათზე ლოცვებ ზეცამდ მიმიწვდებ.
აეგენ მეტა' ცოდვები, მაგათზე უნდ ვილოცვ.

ყვითელ ფოთოლ ხეს სწყდება-დ
მე თვალთა ცრემლ...
ვინ იცის, რა' სევდას ხქსოვს
ფიქრის ლაპლაპ ცხემლ.

ნარინდალ დღეებ მიყვარს,
თოვას რო ეპირება-დ
ჩამ-ჩუმ ჩი'კრიფებ.
ჩიტიც რო არ დაფრინავს,
ხეზე მობუზულ რო ზის,
ხანთხან ჩი'ძინებს.
შენაც თავსაყრელ თავმხვევ,
სარკმელსთან მინაჭუჭკარ,
თვალმწუხ ჩი'ძირებ.
დედამინას ფიქრით მი'ვლ,
ვისთანაც გულს უხარის,
ჩი'თბუნ-ჩი'თვლიმებ.

ნარინდალ დღეებ მიყვარს...

ჩემ თუშეთის სამკობად
ვიც, რო უფალმ გამაჩინ,
ზოგჯერ თამამ ვარ...

თენგიზ, ბოლოსაკ მიდის
შემოდგომის ფერები-დ
მე აეს ფერებ მტკივის.

თენგიზ მირზაშვილს

შენ ვერ ხედავ თრიმლისფერს,
კალენდულის ფერებსა-დ
მრემ შენაპარ შვინდისფერს.
მაგათ ღგონავ, ცოცხალ ხარ,
თავნონება, ფერებლვრით
თავს იხვევენ ბინდისფერს.
შენ ვერ ხედავ მწვანეში
ანარეველ ჯანგსა-დ ლალს,
მკედართ მზეფენილ მინდვრისფერს.
მაგათ ღგონავ, ცოცხალ ხარ!

ადექ, ადექ, ეთერო-დ
ლორლიან გზებს და'დექ,
გულო, ჩადექ საგულეს,
გულო, ჩადექ, ჩადექ.
რა'იც დაგვრჩ ერთად, გულო,
გამაგრდ, ბუდეს ჩადექ,
ჯერ ბევრ გვაქვ საკეთებელ,
გულო, გამაგრდ, დადექ...

ალარვინ შეგანუხებსთ
მანდ მრჩალ ფრინველ-ნადირნო,
სიჩუმის ზირწუ შლილნო
წევ-ჭალა'ნო, ჯაგრო.
გულ დაყარეთ, დი'სვენეთ,
მანდ მრჩალ ფრინველ-ნადირნო,
არავიზდ რა'ის მშლელნო,
გულ გუ'მადლართ სადილნო.
გულდანამშვიდთ დი'სვენეთ...

წინილა' რო ხარბ ქორმ გასტაც
გულგახეთქილ კრუხს,
მითაჲ, ხანთხან ცა ქუფრდება-დ
ქორის რისხვად ქუხს...

როდის მოვ ჯერ თებერვალ,
ხეში წყალ რო ჩადვას,
ჩიტუნია-ჩიორა'მ
საძირკველ რო გადვას,
სამ კვერცხ ბუდეს ჩადვასა-დ
სამითივ ბლარტ ადვას,
ყინვამ ვერ აზარალას,
სუ მზე ედვას ბან-კარს...

ჯერ თებერვალ როდის მოვ,
რო აეს ზამთარ გაფქვას...

ი'ს ჩიტუნა' არ ხარი,
ლობეზე რო ზიხარი-დ
„იშრიშობას“ იძახ.

მოდელ, ერთად ვიმღეროთ,
შენსავით სევდიან ვარ,
სიმარტოვით ვიდაგვ.
ღმერთიმც გაგახარებსა-დ
მართლემც დიდხან იცოცხლებ,
ჩიტო, სუ ავარ გიძახ.
შენ ხო ი'ს ჩიტუნა' ხარ,
ლობეზე რო ზიხარი-დ
„იშრიშობას“ იძახ...

ზოგიზდ თენდებ ლამეებ,
ზოგიზდ უთენებელი,
ზოგს კარებზე მზე უწევს,
ზოგთ კარს უწსენებელი...
ავთა' ყოფილ სამზეოჲ
ნადის, გუ'ჩერებელი.

ფრთათეთრ მტრედის მტვ ვინ შევ
ფთიან ანგელოზებსთან
მივინყებულ საყდარში.

წითელ ფეკებ გულს ნაკონ
სუ აქ არის აეს ფრინველ
დარშია თუ ავდარში.

აი, ახლაც საყდრისაკ
აქვის გეზ ალბულები-დ
თვალ უნდ და'ვლოს ზამთარში.

თავზე ლამის რეტ დე'სხას,
მანც საყდარს დაღბრუნავს
ამ ცქრიატა' ავ ქარში.

ფთაქათქათა' მტრედის მტვმ
ან ცხვა ვინ უნდ შებედოს
მივინყებულ საყდარში.

ჩიორ-ჩიტ რო ჩივის,
თავნილა' რო წივის,
გულყვითელ რო ელავს,
მიკიოტ რო კივის.
რალაცა აშინებს
ან რალაცა სტკივის
მაგ ერთ ნახორ-ნამლევეთ,
ანა-დ მეტა' სცივის.
მერცხალ რო ჭყმუტუნებს,
ბუღბუღ-მკურნალ ჭირის
ყელს დი'წმედსა-დ მღერის
ი'მაშ, მზე რო ჭვივის.
რალაცა უხარისთ,
არც სცივ, არცა სტკივის.

ციტა რო წამოხვალ-დ
გალობებს რო ჩამოსთვლ,
ტოროლაო, წმატკმილო,
ბადავ წმას რო ჩამოსცრ...
„ტოროლა'ს ვერ მოვხკლავავ, —“
მონადირეს წამოსცდ,
მანც კი სიმთხილე გინდ,
მინამ ბოლომდ გამოსცდ...
ციტა მინისკ მომსვლელ რო
საგალობლებს ჩამოსთვლ,
ჩვენ ანანენარ სულებს
კელაპტრებად ჩამოხქნ...
მანც კი სიმთხილე გინდ...

ჩიტო, რო ჩამოსტიროდ
საჩიკრიკოს მთაზე,
წევ-ჭალა' რო იზზარვოდ
შენ ანამდულრ წმაზე.
რა' ეზმისავ ჩემ ბარტყთავ
სამ კვირა'ის თავზე,
თიბა-სამკლობა დი'წყოვ, —
ალარ რო ხარ ჭკვაზე.
რა'ით ვერ დი'მასწოვრე-დ
ბუდე ვერ დი'დგ მთაზე,
ახლაც ტირილით მოხფრენ
ჩიკრიკის მრეც გზაზე...

მე ახლ რა' უნდ გისაშველ?!.

პეპელა'ო დაჯედი-დ
ახალ კაბას გიკერავ,
ჭრელს-ჭრელს, აფხაზურს.
ამას წინავ გპირდებოდ,
ახლ ფერ აფხაზურ მავიწყდ



მე თვალბამბულს.
პეპელა'ო, მოდ-მოდ-მოდ,
აფხაზურ კაბას გიკერვ,
გულში ჩამარხულს.
მემრ ერთად გადავფრინდეთ,
თავებ ი'ქ ჩავიჭოცოთ
ნატვრით დანამდულრთ...

სიდაც მივედ, იქ არ დამხვდ,
ყველგან მითხრეს, ნავიდავ,
ქვეყნის შემოვლას ვინცებ
შენდ შეხვედრად თავითაჲ.
ვერასი დამემალებ...

მთვარესავით ამოსულ
მზესავით ჩაზღიხარვი, —
ლეკის ქალ შვილს ტიროდ...

მითთა მთაზე ნათელს ხვეწს
კასლედლის ციხე,
მთოიარე ცას ღვაგვის,
ქარის სამოსს ირხვეს.
კასლედლის ერთადერთ
ქალ, თმანადარ გიშერს,
ტანად ალვა, პირ მთვარე
საქმარე კაცს იძევს.
ვერ შენახვედრ სწორფერსთან
თვალზე ცრემლს არ იფენს,
მითთა-მთაზე ნათელდგმულ
ჯდების მამის ციხეს.

შემოდისა შრიალით
ცრემლით განაჟღერთარე,
ანაჩქარალ ნისლ.

გზარეულ, გულნახეთქ,
კედელ-ყურეს ნანარცხებ
რა'ს იკვლევსად ვის.

ეგ თვალამბულ, დაუნდოა,
საცრემლედ გამმეტებელ
დანადუმარ მთის.

ჩემ ჯვარნო-დ ჯვარისკარნო
ეგ ნისლ არ გა'თამამოთ,
ეგ გუ'გონარ, მქის.

დად-მოდისა, რა'ს იკვლევს
მოშრიალე ნისლ.

აროდის არ დაბრუნდებ,
რა'იც ნასული,
ყველაფერს თავის წეს აქვ,
თუ ყავლ გასული.

ერთ სიტყვად არ მინდ რო
მუ'ფერებელა' დამრჩეს,
უტკმეს თუშურო.
ძილ-ღვიდილში შენთან ვარ,
ვერ ვძლებ შენ სიყვარულით,
დავბერდ უშუროჲ.
უშენბგერობა მომკლავს,
გავზძლებ უშუროჲ.
ვინ გაშენა-დ აგაშენ
ასრ მდიდრად-დ უნაკლოდ,
ჩემ ძველ თუშურო!

შენი-დ მამის სამარეს
თოვლის საბან ხურავ,
ჩემ მონატრებულ დედო,
ნამალ ცრემლებს ვსწურავ...

კვალსაც არავინ ში'ტანს
ჩემ სანატრელ დანოში,
ჯამსაც არავინ გადაზდგამს
ჭურჭლით ამსულ თაროში,
ჩიტიც არ ჩამოჯდების
მარცვალ ნაცარცვ კალოში,
არავინ გი'ხედების
სოფლისკ ნისლებ მფაროში.
ცისკ არავინ ახედავს
მთვარეს მასკვლავ მტანოში...

დუმის არაფერ და'რღვევს
ჩემ საფიცარ დანოში.

ვაიმევე, ჩემ თუშეთო
ჩანამწყვედევო წაროში...

ნეტა რა'ს დაკრიშკრიშებს
ფეწებნაყინ ჩიტ,
დილით ნუხრამდ დუ'სვენარ,
ცარელა' სულ, მნიკვ.
ეტყობის, დედა დე'კარგ,
ამ დღეს დარდ ხელავს მფიტ,
ნეტა რა'ს დაკრიშკრიშებს
ეს ერთ ნახორ ჩიტ?
ჩიტუნა'ის დედაო, მოდ,
შვილს დროზე მოხედ...

მიდის მუწლჩუ'კეცველად,
აგრ მიდიოდ წინავეც
დრო ვერავის ნაჩერ.
სოფელ მაინც სოფლობსა-დ
ქალაქ მაინც ქალაქობს,
ფერად ძაფით ნაკერ.
წუთისოფელ არ ტყდების,
ეგ ჩვენ ფეწკვეშ გამფენი-დ
ხან ჩვენ ფეწკვეშ ნაფენ.
მიდისა-დ წავ სამზეოჲ,
წინავეც აგრ მიდენილ,
ეგ ვერავის ნაჩერ...

ჩიტო-გვრიტო, მარგალიტო,
შენ დედა ჩვენს იყვ,
გვიამბე, რა'გვერ დუ'სვენარ ხარ,
რო გაშინებს ციყვ.
შენ დედაკოს გუ'გონ, თვარამ
რამეს შე'ყრებ ბრიყვ...
ჩიტო-გვრიტო მარგალიტო,
შენ დედა ჩვენს იყვ...

თეთრ სუდარა ნანაფარ
კავკასიონ დგას,
გაზაფხულ რო ციზდ მიმწვდომ
საგალობელ თქვას.
თავის ავ თვალთ მხედველ
ერთ ლუკმად რო ნიქას,
ცას მინამწვდარ, უძიროჲ,
შენასუდრად დგას...
ვითომც, ვითომც უძალოჲ...

ნერთ ზოლ ზეცას მიფრენს ,
ძირს შამფურებს სთლიან,
რა ხარბი ადამიან...
რამდენია, - სთვლიან...

„შენ თუშეთ ნახვალ, გუგულო,
ბზობასა-დ ხარებობასა“.
ხალხური

შენ თუშეთ ნახვ, გუგულო
ბზობა-ხარებობასა-დ
მე აქ მწირავ ცრემლიანს.
თავს გადე'ვლებ ველ-მინდვრებს,
ყვითლად ანაყვავ შვინდებს,
თეთრად პენტილ ტყემლიანს.
ჩემ თუშეთ გადაშინდებ,
მონაწყურ ამბებს ნუ'ტან
სიმარტოვის დელგმიანს.

ჩემზე არაფერ არ უთხრ...



ამირან არაბულის ფოტოები

ლალი ავალიანი „უგოუკვლოდ გადაშენებული დრო“

დასასრული

მოთხრობა ისეთი გესლიანი და მოულოდნელი ირო-
ნიითა და თვითირონიით არის გაჯერებული (რაგინდარა
თემაზე: ადამიანის უფლებების დეკლარაცია და
პიროვნების წმიდათაწმიდა უფლებების შელახვა, ფემი-
ნიზმი და ინტელექტუალური მწერლობა, თვალბამბულ-
ული ნარკომანი უზბეკი სტუმრის უცარი გამოფხი-
ზლება და ჩინგისხანად თუ თემურლენგად თავის წარ-
მოდგენა, ზარხოშ თანამეინახეთა „ცეცხლთაყვანისმცემ-
ლობა“ და სხვა...), რომ ერთ-ერთ საუკეთესო სატირულ-
იუმორისტულ ტექსტად უნდა ჩაითვალოს.

ვატას კაიშაურის პლატოზე ალპურ ზონაში ნაყიდი
ძველთაძველი ჩაფხვილი სახლის „ანტითეზა“ პატარა
კორტოხზე წამომდგარი, ფიჭვის სურნელოვანი ფიცრე-
ბისაგან კობტად შეკრული ახალთახალი ხუხულა, ვატას
ფეხსალაგი: „შიგ იდეალური სისუფთავე და ფიჭვის საა-
მო სურნელია (ყოველშემთხვევაში, ჯერჯერობით)...
აგრეთვე ოსტატი დურგლის მიერ კეთილსინდისიერად
ანყობილი, მოხერხებული დასაჯდომი... და ამ დასაჯდომს
რომ კარგად მოერგები, შენს თვალწინ აღმოჩნდება ხის
კარებში გამოჭრილი სარკმელი... და ამ სარკმელში მოჩანს
შორეული, მალალი მთაგრეხილი, ჩამოლესილი, ყინულ-
ვანი მწვერვალებით... ეს დიდებული, ამაღლებული სან-
ახაობაა და გრძნობ, როგორ იძვრება და ძლიერდება შენში
გმირული ტალღა... და მთელ შენს არსებას ეუფლება ამა-
ღლებული, დიდებული, გმირული ქმედებების მოთხოვ-
ნილება და რას აკეთებ შენ ამ დროს? მაგრამ სწორედ ამ
დროს... ეჰ! ჯადოსნური ფეხსალაგია!“

წიშანდობლივია, რომ ეს ერთადერთი, ნამუსიანად
აგებული და უეჭველი ფუნქციის მქონე „დანესებულება“
— „სახლის მამნებელთა“ მიერ სამწვადე ცეცხლის დან-
თების და კოცონის გარშემო „წარმართთა“ ეიფორიული
ფერხულის წერა ხდება: უყურადღებობით, ცეცხლმა ფეხ-
სალაგამდე მიაღწია — „მამხალასავით იწვოდა ვატას
შესანიშნავი, ჯადოსნური, ფიჭვის ფეხსალაგი“...

ამბის გასაგებად და დასახმარებლად მოსულ ადგი-
ლობრივ მოსახლეებს „ცეცხლთაყვანისმცემლები“ იქით
ამშვიდებენ „კამიუთი“ და „წარმართული“ ჰიმნებით...

თუ ლაშა თაბუკაშვილის ერთი მოსაზრების პერი-
ფრაზს მივმართავ — აბა, რომელი მწერალი გაბედავდა
ფეხსალაგისათვის ასეთი „მეტაფორული“ დატვირთვა
მიენიჭებინა... ისიც გავითვალისწინოთ, რომ ამ
მოთხრობაში „ადამიანურად“ ერთადერთი პერსონაჟი,
მონადირის ძალი კამო იქცევა!

„ძალი ქალაქს მიდიოდა, რა მიჰქონდა, რა მოჰქონ-
და“ — ამ ანდაზით მთავრდება თხრობა.

2007 წლით დათარიღებულ ინტერვიუში (ჟურნალი
„ლიტერატურული პალიტრა“, 1 9, სექტემბერი), ვაჟა გი-
გაშვილი შენიშნავდა — „ერთი ოცმოდხრობიანი ლიტ-
ერატურული ციკლი მაქვს დასამთავრებელი — „პოეტი,
რომელიც იშვიათად წერდა ლექსებს“ ჰქვია. ამ ოციდან
რვა მოთხრობა უკვე სხვადასხვა გამოცემაში დაბეჭდა,
თორმეტიც ჩემს განწყობას ელოდება“.

პედანტურად გამოვითვალე, რომ ავტორს, სულ
მცირე, ამ ციკლის კიდევ შვიდი მოთხრობა აქვს დასაბეჭ-
დი, რადგან წიგნში მხოლოდ ცამეტი მათგანია შესული.
ამას გვიდასტურებს ბოლო მოთხრობაც — „შემდეგი (1)“.
ესაა გასული ოცდახუთი წლის ტრაგიკომიკური, დანწე-
ილი „ვიდეორეტროსპექტივა“, გაჯერებული ავტორის
მიერ არყის გაუთავებელი „ჩაცეცხლვით“; პროლოგში —
წერაწერის მომგვრელი რეკომენდაციებით, რა უნდა მი-
ერთვას მისა თუ „პაზმელის“ დროს; დინების საწინააღმ-
დეგო გამოხდომებით (ვთქვათ, „უმცირესობების“ დაცვის
საბაზით ატეხილ, ძვირადღირებულ, გადამეტებულ აჟიო-
ტაჟზე), კეთილად მოსაგონარ ამბებზე, მეგობრებზე და
სატანჯველზე გაუცნობიერებელი შიშის გამო. „იბადება
ცნება — მეორე მესხიერება... არის მეორე, შენახული მეს-
ხიერება, პირველს ამოფარებული... ამ ამოფარებულ
ფაქტებსა და ინტერპრეტაციებს, თუ შესძლებ და წინა
პოზიციაზე გადმოაწყობ, შეიძლება სულ სხვანაირი აღ-
მოჩნდეს შენი საკუთარი ბიოგრაფია... და აღმოჩნდეს ისე-
თი, როგორც შენ არ გინდა და არ განწყობს... რომელიც
სრულიად უცხოა და წარმოუდგენელი და რომლისგანაც
გაქცევა გინდება, უკანმოუხედავად“...

ავტორი დროებით გამოსავალს არაყში ეძებს
(„სასწრაფოდ ვებდღვენი ისევ არაყს, ვგლიჯე და ვგლიჯე
ორჯერ ზედიზედ“), მაგრამ, ვინ იცის, რა მოხდება შემ-
დეგში?

დღეს ცნება „თანამედროვე“ ასოცირდება „საუც-
ხოოსა“ და „უცხოურთან“. იქნებ დავფიქრდეთ იმაზე, რომ
ვაჟა გიგაშვილის „სუპერთანამედროვე“ (არსებითად და
წერის მანერითაც) პროზის თარგმნა უცხოურ ენებზე სა-
შურიც არის და „მომგებიანიც“, ჩვენი დღევანდელი მწ-
ერლობის ღირსებისამებრ წარმოსაჩენად. თუ მართლა
ყოველივე ამაოა? იქნებ მართლაც მწერლის ერთი ფრაზაა
ყველაფრის გასაღები: „უფულოდ ბუზს ვერ აუქმევ ამ
ქვეყანაში“ („ერთი ვინმე ყაფლანიშვილი“).

არაფერიც არ მინდოდა, არაფრისთვის ვიყავ ცადა,
არაფერი არც გამოვა, მაგრამ ისევ უნდა ვცადა...

ხალხური ზეპირსიტყვიერების ეს პატარა შედეგრი
ვაჟა გიგაშვილის წიგნის „პოეტი, რომელიც იშვიათად
წერდა ლექსებს“ მრავლისმეტყველი ეპიგრაფია.



ცნობილი ვაჭარი და ქალაქის ხმოსანი არონ ელიგულაშვილი იმ საღამოს ასე იგონებს:

— ჩამობრძანდა, ბატონო, ეს რუსული თეატრი. კარგად მივიღეთ. ვერაინ გვი-საყვედურებს, არაფრად ჩააგდესო. ჩვენი ქალაქი ხომ სიყვარულიანობით, გატან-ით, სტუმრის პატივისცემით არის ცნო-ბილი. მივედით ისე, რავარც გვეკადრება. დარბაზს რომ გადახედავდი, ისეთი ხალხი მოსულიყო, გული გაგინათებოდა და კიდევ ერთხელ გადაუხდდი გამჩენს მად-ლობას, ამნაირ ქალაქში რომ მოგინა ცხ-ოვრება: დიდი ვაჭრები, ვეჩილები, მწერ-ლები, გამჩენისგან და მინისგან დაფასე-ბული ხალხი. ზოგი თავადი ახლო-მახლო სოფლებიდანაც კი ჩამობრძანებულიყო — რუსული თეატრი გვეწვია, მიგებებაც უნდა, ტაშიც და დასამახსოვრებელი გას-ტუმრებაცო, მაგრამ... ფარდა გახსნილიც არ ჰქონდათ, დაინყეს და რა დაინყეს, მტრისას და ავისას: დასცხეთ ურიებს, თუ ურიებს ბღღვირს არ გააღდეთ, რუსეთი ხელში შემოგვადნება, ვიღუპებითო. ეს სი-ტყვები დარბაზში რო ტყვებით გად-მოისროლეს, იმ ღირსეულმა კაცმა — ნიკო ბატონმა, ჩემს შორი-ახლო იჯდა — ისე გადმომხედა, გეგონებოდათ, ბოდიშს მიხდიდა: მე მაპატიე, ჩვენს ქალაქში ზოგჯერ ამნაირი ხალხიც რომ ჩამოდისო — იმან მიიჩნია თავი ბრალეულად. რო-დის იყო, მწერალს ეკითხებოდნენ, ვინ ჩამ-ოვიდეს ქალაქში და ვინ — არა. ბრალეუ-ლი მე უფრო ვარ, ვიდრე ის: თეატრი გეს-ტუმრობს და მაგათი მიღება-პატივისცე-მის ხარჯებს ხომ არ ინებებდითო. კი ბა-ტონო-თქვა, არ ვაკადრე უარი, არ გავან-ბილე ხალხი. იმათ კი კიდევ და კიდევ რო იყვირეს, ურიებს დასცხეთო, იქნება იმ სულმადლიანმა კაცმა დამაკვლიანოს, რა ვილონო, როგორ მოვიტყე-მეთქი და ახლა მე მივუბრუნდი „რა არი ეს, ნიკო ბატონო, რა ვქნათ, რა გვეშველება?“ მწერალმა მხრები აიწურა: „არ ვიცი, ბატონო, მე მაგდენი ცოდნა ვინ მომცა!“ წამოდგა, მე-ზობელს მიუბრუნდა: „გამატარე, შვილო, თავმოყვარე კაცი აქ რაღა გაჩერდება!“ და ბუზღუნით გავიდა დარბაზიდან. მწერა-ლი გასულიც არ იქნებოდა, ჩვენს წინ, მეს-ამე, თუ მეოთხე რიგში ვილაცამ შესძახა: „ნე გოჟე, გოსპადა, ნე გოჟე!“ ბევრმა ვერც გაიგო, თუ რას ნიშნავდა ეს „ნე გოჟე“, მაგრამ ის კაცი რომ წამოდგა და ჩაილაპარაკა „რატო უნდა ვუყურო, ამ ამბავს, რა დამიშავებია, გზა, გზა!“ ყველა მიხვდა, თუ რას ნიშნავდა ეს „ნე გოჟე“. იმ კაცის წამოდგომა იყო, ადამიანები ერთი გუნდით დაიძრნენ გასასვლელისაკენ.

არა მხოლოდ თვითონ, არონის შორეუ-ლი წინაპრებიც კი ამ ქალაქში დაიბადნენ. ცხადია, ამ ქალაქის ნაწილად ქცეულიყვნენ. თუ რამ სასიკეთო კეთდე-ბოდა, უხაროდათ, ამგვარ საქმეში გარე-ვას არ ერიდებოდნენ, მაგრამ თუ რამ ქალაქის ღირსებას ჩრდილს აყენებდა, სწუხდნენ, თავდაც მიაჩნდათ თავი ბრალეულად. ალბათ, ამიტომაც იყო: არონ ელიგულაშვილი იმაზე არაფერს ამბობდა, რომ იმ საღამოს თავად არც კი განძრეუ-ლა. ჰკითხეს კიდევ, შენ რატომ არ წამოდე-ქი და არ გაჰყევი იმ ღირსეულ კაცებს, იქნებ, პირველიც კი უნდა წამომდგარიყავ, პროტესტის გამოთქმა ჯერ როგორც ებრაელ კაცს, მერე კი, ამ ქალაქის ხმო-სანს გევალებოდაო. პასუხად მხრები აი-წურა. ქალაქის კიდევ ერთი ხმოსანი, მუდამ მომღიმარი თავადი ნიჟარაძე ხითხითით ამბობდა: „აგენი? აგენი, იუდეველნი, ბოშო, მიჩვეულნი არიან, უდრტვიანულად იტანდნენ ყოლიფერს, ჩვენ გადავირიეთ, ჩვენ ვერ ავიტანეთ იმ სულაძაღვულთა ლანძღვა-გინება, ქართველებმა, თვარა, არონი? ისე უშფოთელი იყო, იფიქრებ-დით, თავისი გემის მოლოდინში პრისტინ-ზე ჩამომხდარაო“. ამაზე ვილაცამ შეგ-ონების კილოთი, დინჯად ბრძანა: იმიტომ არ წამოდგა, დარბაზი იმიტომ არ დატო-ვა, ენადა, თვლი ედევნებინა, ვინ დაგვი-ჭერს მხარს, ვინ გამოხატავს უკმაყოფილე-ბას, ასე რომ გვლანძღავენ, ამ ქალაქს, მის მოსახლეობას ყოველთვის მხარში რო ვუდგევარ, აბა, ჩვენი ვინ გამოიღებს თავსო.

არც ერთი იყო მართალი და არც — მეორე. არონ ელიგულაშვილს თავადვე ვერ გაეცნობიერებინა, თუ რატომ არ წა-მოდგა. არც რომ უფიქრა წამოდგომა? თავის თავსაც ვერ პასუხობდა, რატომ

იმავე წამს არ წამოხტა და არ გაჰყვა მობო-ლიური ქალაქის ღირსეულ კაცებს. იმიტ-ომ, რომ ხმოსანი გახლდათ და ამგვარი მდგომარეობა სათქმელისა თუ საქნარის ათასჯერ გაზომვა-ანონვას ავალბებდა? კი, დინჯიც უნდა ყოფილიყო, აუჩქარებელ-იც, მაგრამ იმ დიდებულ ქართველ მწერ-ალზე, არტისტზე — მთელი იმპერიის თე-ატრალური სამყარო რომ ეთაყვანებოდა — დინჯი და აუჩქარებელი არონ ელიგუ-ლაშვილი რატომ უნდა ყოფილიყო?

საქმე სულ უბრალოდ იყო: სცენიდან მოსმენილს ისე დაეთრგუნა, წამოდგომის, ნელში გამართვის ძალაც ვეღარ მოიკრი-ბა. ღონენართმეული იჯდა და ფიქრობდა: „რას უნდა ნიშნავდეს ეს ამბავი? ჩვენს ხალხს ნალეკვით რატომ ემუქრებინა? ჩვე-ნი ეშინიათ? გამოდის, ეშინიათ. რატომ? ებრაელობას ხომ არც ჯარი ჰყავს და არც თავისი სახელმწიფო აქვს, ხვალ რომ რუსეთს მისდგეს. რატომ, რისთვის უნდა ეშინოდეთ ამ ხალხის, რაში ხედავენ მის ძალას? იმაში, რომ შრომა უყვართ? უშ-რომელი ერი ქვეყანაზე არ არი, ყოველი ერის შვილი შრომობს. ჩვენ უცხოობა მეტ

გურამ ბათიაშვილი

ელიგულა

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან



სიფრთხილეს და გარჯილობას ჩაგვა-გონებს. ამის გამო ასეთი სიძულვილი? არა, არა, ეგ არ არი, არ შეიძლება, ეს იყოს სი-ძულვილის მიზეზი. ვითომ ჩრუსეთის ებრაელობის მოუთმენლობა? რა ქნან, სი-ძულვილის მსხვერპლნი არიან და არაფერს ფარავენ, მთელ ქვეყნიერებას აუწყებენ, ასე და ასე გვექცევიანო. ხმაც არ ამოიღონ? კაი, ბატონო, დაფუშვით... დაფუშვით... ამათ რატო არ ეშუღვართ ასე, ესენი, ქართველები, რატო არ გაიძახიან, ებრაელებს დასცხეთ და ქვეყანა იხსენი-თო. ესენი ხო უკეთ გვიცნობენ, ამ მინაზე ხუთი იმდენი ხანია, ვცხოვრობთ!”

ამ ფიქრს მისცემოდა არონ ელიგუ-ლაშვილი. დარბაზში რალაც რომ გაბრახ-უნდა, თავი ასწია. თითქმის დაცარიელე-ბულიყო. სცენაზე კი ოთხზე დაცემული ებრაელისათვის თოკი გამოებოდა და მი-ათრევდნენ. არონის უკან ვილაცამ სცენას შესძახა: „ძირს მეფე, ძირს თვითმპყრობ-ლობა!“ ახლა კი წამოდგა არონი, მოედან-ზე გამოვიდა. აქ ერთი ალიაქოთი იდგა. „მიტვირთე დაუწყიათ!“ — მიმოხედა, იმაზე ფიქრობდა, სახლში რა გზით წასულიყო: თუ მარცხნივ გაუხვევდა, მისი სახლი ყურის ძირში იდგა — ბაღის გადაღმა, მა-გრამ იქ მომიტინგეთა შორის უნდა გავე-ლო. ეს კი არ ენადა. შორი გზაზე — სახ-ლისაკენ მიმავალ შორ იბზას დაადგა. „რაფერ უყვართ ეს მიტინგობა, ყოველ წუთს მზად არიან, მიტინგი მოაწყონ. ამას იმიტომ ხომ არ აკეთებენ, თავშეყრა, ერ-თად ყოფნა რო სწადიათ. როცა შეერთდე-ბიან, თავს უკეთ გრძნობენ.“

არონს დაცდილი ჰქონდა: თუ მიტინგე-ბი, ყვირილი, აურზაური სამი-ოთხი დღე მაინც გაგრძელდებოდა, ქალაქში ქურდო-ბა, დაუქნებში შევარდნა, შეძლებულ ხალხზე თავდასხმები, ადამიანთა გატაცე-ბა იწყებოდა. ასიოდ საეციც არ გაველო, გაბრიელა „მჩატე“ სირბილით წამოენია. ქმინავდა. გაბრიელა სალოცავში ყოველ შაბათს საღამოს, ლოცვის დამთავრებისას,

არონს მიეახლებოდა — არონის ერთ-ერთ დუქანში იდგა — და პირმოთენ ღიმილით ეტყოდა: „შავუა ტოვ!“ კარგი კვირა დაგდგომოდესო. არონიც თავს დაუკრავ-და და იგივეს მიუგებდა. გაბრიელა „მჩატეს“ არონის მიმართ სამდურავი არ ეთქმოდა — არონმა საქმე მისცა. მიუხე-დავად ამისა, ყოველ შაბათს საღამოს, ბედ-ნიერი კვირის დადგომას კი უსურვებდა, მაგრამ ეს პირმოთენე, ღიმილით წარ-მოთქმული სიტყვები იყო, რომელიც ფიქრად გავლებულ გრძელ ტირადას ფარავდა: „რატო არ იქნები დიდ გულზე, რატო არ ივლი — როტშილდით — მა-მაშენი შენთვის აგროვებდა და ბაზუაშენი! შენ კი ასი ჩემნაირი ხამორი მაინც გყავს!

სირბილით ლამის გულამოვარდნილმა გაბრიელა „მჩატემ“ არონს მოხედა, „შალომ ყალხემ“, საღამო, თქვა და სირ-ბილი განაგრძო. „ხო მშვიდობაა, გაბრი-ელ, ასე სულმოუთქმელად რატო გარბიხ-არ?“. გაბრიელა „მჩატე“ მობრუნდა, სული მოითქვა და თქვა: „რავა რატო გავრბივარ, ღმერთმა შენ მშვიდობა მოგცეს, კნიაზი ლორთქიფანიძე ჩააყუდეს და გაბრიელას

ვინ დაინდობს?“ „იმნაირი რა დაგიშავებია, რომ დაგიჭირონ?“ „რო დამიჭერენ, მერე ვიკითხო, რა დავაშავე-თქვა? კიდევ ვი-კითხო, მაგათ პასუხი არ გაუჭიროდებათ და მე ციხეში ჩავრჩები. შორს, შორს მაგათ-გან, შორს და მშვიდობით!“ გაბრიელა „მჩატემ“ სირბილი განაგრძო, ათიოდე მეტრი გაიბრძინა თუ არა, მობრუნდა „ვინ მოგახსენა, მაგ სანთელივით კაცმა — კნიაზმა ლორთქიფანიძემ დააშავა რამე! შენ დინჯად იარე, ხელს ვინ დაგაკარებს, პირველი გილდის ვაჭარი ხარ, ხმოსანი-იც. ის კია თავადი, მარა მწერალი ყოფი-ლა, მეტი არაფერი!“ არონის გონებაში ზარით დარეკა, კნიაზი ლორთქიფანიძე დაიჭირესო. მყის შეტრიალდა. აჩქარებუ-ლი ნაბიჯით მიდგოდა, ლამის სირბილით, თითქოს გაბრიელა „მჩატეს“ კი არ ეუწყე-ბინოს მწერლის დაპატიმრების ამბავი, სახმედრო ბრძანება მიეღოს: პოლიცისაკ-ენ გაეშურე და შენი ქალაქის ღირსება და-იცავიო.

უტეც მივიდა, უფრო სწორედ, მიიბრ-ინა და ნეტავ, არ მისულიყო! ესოდენ სათ-ნო კაცი ცხაურს იქით რომ დაინახა, შეძრ-წუნდა. იმან, ლორთქიფანიძემ, კი გაუღი-მა. რამდენი სიმწარე იყო ამ ღიმილში! „სირცხვილი, სირცხვილი, სირცხვილი!“ ზარივით რეკდა თავში.

არამხოლოდ იმ დიდებული, პატიოს-ნებით აღვსილი მწერალი ლორთქიფანიძე, ბევრი სხვა ღირსეული კაციც დაეპატიმ-რებინათ — ადამიანები, რომელთა სახელ-ითაც ეს ქალაქი კი არა, მთელი საქართვე-ლო ამაყობდა. არონიც იმათ შეუერთდა, ვინც პოლიცმაისტრის დატუსაღებულთა დაუყოვნებლივ, ახლავე განთავისუფლე-ბას ურჩევდა, მოსთხოვდა. ის კი კანონ-ისადმი ერთგულებას ჩასციებოდა: ვინც უნდა იყოს, რა სახელისა და ღირსების მქონე, კანონის აბუჩად აგდებას არ ვაპ-ატიებო. მას კი მიუგებდნენ „შენ გგონია, ამნაირ ღირსეულ კაცთა დატუსაღებას მთავარმმართველი მოგინებს? იქნება,

გულშიც კი ჩაიდოს, ბრიყვი ყოფილა, ეს პოლიცმაისტერი და ხალხს... გავში-ორგულელებსო“. ამ დროს ჩაერია საუბარში ხმოსანი თავადი ნიჟარაძე: რას შეუწნდით პოლიცმაისტერს, სულელი ხომ არა გგონიათ. რომ სცოდნოდა, ვის ატუსაღებ-და, განა ასე მოიქცეოდა — განა ქალაქის თავისმოსაჭრელ საქმეს იზამდაო. პოლიცმაისტერმა ერთხანს გამჭირდავი მზერა მიაპყრო ნიჟარაძეს, მერე გაიღმა და თქვა: მე მაგათ გავანთავისუფლებ, მა-გრამ თქვენ რა გეშველებათ, ყველა რომ განსაკუთრებული და ძალიან მნიშვნელო-ვანი ხართ, სამი წელია ჩამოვდები და აქ უბრალო ადამიანი ვერა ვნახეო. ივან ვასი-ლევიჩს უბრძანა, ყველას ხელწერილი ჩამოართვი, რომ დღეიდან ხელმწიფის ერთგულნი იქნებინა და კარი გაუღეო.

არონმა შევებით ამოისუნთქა. რას იფ-იქრებდა, თუ რამდენიმე წუთში არანაკლებ გულსატკეპნი რამ შეხედებოდა: ანი თავის არიდებას რა აზრი აქვსო და სახლისაკენ მიმავალი მოკლე გზა აირჩია. მომიტინგე, ახმაურებულ, დაუმცხრალ ადამიანებს შორის მიიკვლევდა გზას. თან ამბობდა: „დანყნარდით, ახლავე ყველას გამოუშვე-ბენ“, მაგრამ მისი არავის ესმოდა. „ტუსალ-თა განთავისუფლება კი უნდათ, მაგრამ ეს ყვირილი და „ჯოს“, „ჯოს!“ ძახილი, არანაკლებ სწადიათ“. ამ ფიქრში იყო არონი, ვილაცას რომ შეეჩეხა, თავი ასწია და... თავისივე შვილს დატაკებოდა. იოსებს მარჯვენა აღემართა და დანარჩენი მამ-ლაციანა ბიჭებივით თუ წვერში ჭა-ლარაგარეული კაცებივით გაჰკიოდა „ძირს მეფე, ძირს თვითმპყრობლობა!“ იოსების გვერდით ერთი ნაწნავებიანი, ზღვასავით ლურჯთვალეა, მოციცქნული გოგონა იდგა და ზუსტად იმას იმეორებ-და, რასაც მისი შვილი აკეთებდა. იოსები, ძირს მეფეო კი გაიძახოდა, მაგრამ როგორც ჩანს, თან ვილაცას დაეძებდა — მარჯვნივ იყურებოდა. მამა არც შეუშინე-ვია. გვერდით რომ ედგა, იმ მოციცქნულ-მა, ლურჯთვალეა გოგომ სახელოზე ჩამოქაჩა, აქეთ მობრუნდითო. იოსებიც მო-ტრიალდა და მამის დანახვაზე სახე უცნ-აურად დაემანჭა. ამ დროს არონის ყურ-თან ვილაცამ ძლიერ დასჭექა: „გაუმარ-ჯოს საქართველოს, საქართველოს გაუმარჯოს!“ მერე ჩაისუნთქა და შესძა-ხა: „ჯოს!“ ეს „ჯოს!“ ყველამ ერთად რამ-დენჯერმე გაიმეორა. არონმა ყურზე ხელი მიიღო, შეკრებილთ გულგრილი მზერა მოავლო და შვილს ზურგი აქცია. „ამათ ჰგონიათ, ხმამაღლა ყვირილით უშველიან ქვეყანას. ასე ხომ არეულობას უდებენ სათავეს, ამაზე არავინ ფიქრობს.“

არონი იქაურობას გაეცალა. — ასე რავა იქნება, ეს რა არი! ამით უშველიან ქვეყანას? — შვილის გასაგო-ნად თქვა. იცოდა, იოსები თავწაქინდრუ-ლი მოსდევდა. პასუხად პატიების თხოვ-ნას მოელოდა: „შემთხვევით გავერიე ამ ამბავში. ამხანაგისგან ვბრუნდებოდი და გადავყავარე, თორემ მაგათთან რა მესაქმე-ბა, ახლოსაც არ ვეკარები“. ასე ფიქრობ-და არონი, თუმცა უკნიდან სულ სხვა რამ მოესმა:

— აუცილებლად ვუშველით, თვითმპყ-რობლობა უნდა დაინგრეს, ბაბა!

არონი შვილს მიუტრიალდა, მისი ნაბ-ოლარა თავადერილი იდგა. ის ლურ-ჯთვალეა გოგო ახლაც გვერდს უმშ-ვენებდა. „პატიების თხოვნა კი არა, ეს... ეს... რაფერ დგას... რაფერ მიყურებს... ეს გოგო ვილა არი!“

— მაგ მეფეს არც ჩვენ ვუყვარვართ, ბაბა! — თქვა იოსებმა.

სადღაც ცხენმა, თითქოს მომიტინ-გეებს ეხმინებო, დაიფრუტუნა. არონ-მა გზა განაგრძო. რამდენიმე ნაბიჯი გადა-დგა და კვლავ შვილის გასაგონად თქვა: — სიყვარულს ვინ დაეძებს, სიძულვი-ლის საბანში გვხვევს. ერთ დღეს მაგ სა-ბანს ნავთს გადაასხამს, ცეცხლს წაუკიდებს და... — შვილმა პასუხი რატომ არ გამცაო, მობრუნდა. იოსები აღარ მი-ჰყვებოდა. ქუჩას გახედა — იოსები იმ გოგ-ოსთან ერთად იქით გარბოდა, საიდანაც ახლახან ერთად წამოვიდნენ.

სახელი იოსები ჰქვია, გვარად ელიგუ-ლაშვილია, მაგრამ აღარც ახსოვს, თავის სახელს ოდესმე ეძახდნენ თუ არა. ეძახდ-ნენ კი? ყველას, დიდსაც და პატარასაც, რეალურ სასწავლებელში შერქმეული სახ-

ელი „ელიგულა“ აკერია პირზე. ეხამუშე-ბოდა. სწინდა კიდევ თავის ნამდვილ სახელს რომ არ ეძახდნენ, მაგრამ გამოხდა ხანი — რეალური სასწავლებლის დამთავრებისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდულ ფრთაში განწევრიანების შემდეგ შერქმეული მეტ-სახელი — „ელიგულა“ უკვე მოსწონდა კიდევ: იოსებ ელიგულაშვილობა პირდაპირ, დაუფარავად მიუთითებდა პირველი გილდიის ვაჭრის, ხმოსან არონ ელიგულაშვილის ძე რომ გახლდათ, ესე იგი, იმ კაცის შვილი, იმ ოჯახში გაზრდილი და იმ კლასის წარმომადგენელი, ვისაც მისი პარტია ებრძოდა.

იქ შეკრებებზე ხომ სწორედ იმაზე მსჯელობდნენ, თუ როგორ გაენადგურებინათ ბურჟუაზია, ვაჭრები და დაემყარებინათ ძმობა, ერთობა, თანასწორობა. პარტია იმისთვის შექმნილიყო, რომ ქვეყნად აღარ ყოფილიყვნენ არონ ელიგულაშვილი და მისთანები. ამიტომ იოსებ ელიგულაშვილისათვის მეტსახელი „ელიგულა“ ერთგვარი საფარველი გამოდგა — მის ვინაობას, წარმომავლობას ეგრე უბრალოდ, ჰაიპარად ვერ შეიტყობდა კაცი — უნდა გარჯილიყო და გაეკითხნა, თუ ვინ იყო ეს მავალე, ახლად წვერ-ულვამ აშლილი ყმანვილი, ყველა ელიგულას რომ ეძახდა და საყვოსთან გვერდზე ჩაჭრილ ბლუზაზე ქამარი ისე შემოეჭრა, როგორც ამ პარტიას უნდა ბურჟუაზიისათვის ყელში წაჭერა. არადა, იმდენად ვინრო წელი ჰქონდა, წელზე ქამრის ნაჭერა ბუმბულივით მსუბუქს აჩენდა.

ამ პარტიაში იმიტომ მივიდა, რომ რეალურ სასწავლებელში ბიჭები მეფის ხელისუფლების დამხობასა და საქართველოს დამოუკიდებლობაზე ჩურჩულდნენ. პარტიაში განწევრიანების, მის ახალგაზრდულ ფრთაში ჩარიცხვის შემდეგ გაიგო მთავარი: მეფის ხელისუფლების დამხობა? კი, ბატონო, აბა, სხვაგვარად როგორ იქნება, მაგრამ მეფის დამხობა იმისთვის გვინდა, რომ მდიდართა კლასი მოვსპოთ. ელიგულას ძლიერ უჭირდა იმის წარმოდგენა, როგორ უნდა ყოფილიყო ცხოვრება, თუ არ იქნებოდნენ ვაჭრები, მენარმეები. ესენი ხომ ცხოვრების მამოძრავებელი არიანო. ამიტომ უმთავრესად მეფის, თვითმპყრობლობის დამხობას მიიჩნევდა — საქართველოს ამის მერე ეშველებაო. იმასაც ფიქრობდა, გზადგაზა შევისწავლი, ვაჭრების, მენარმეების გარეშე ცხოვრება როგორი უნდა იყოსო. ფრანგულის მასწავლებელს, მადამ მატლიდას ამ საკითხზე რომ ესაუბრა, მადამმა ჯერ მზერა გაუსწორა, დაბეჯითებით დააქვერდა, მერე უკმეხად თქვა: „მე აქ იმიტომ არ მოვიდვიარ და თქვენი მამა იმისთვის არ მიხდის ფულს, რომ ამ საკითხებზე გესაუბროთ.“ მაგრამ გაკვეთილის დამთავრების შემდეგ ძლიერ მომხიბლავი ღიმილით და ხმადაბლა უთხრა: „არის ასეთი მეცნიერი — კარლ მარქსი. დღეს მთელი ევროპა მის წიგნებს კითხულობს. მე მოგიტანთ, მხოლოდ არავის უნდა უთხრათ“. ორიოდე კვირის მერე უფროსი ძმა — აბეშა, ელიგულას ოთახში რომ შევიდა და წიგნის გარეკანზე მოთავსებულ ავტორის ფოტოს დახედა, აყვირა: „რა არი ეს — ამ რაბის სურათი უქუდოდ რატომ გადაუღია?!“ ელიგულამ დაამშვიდა: რაბი მაგის ბაბუა, ბიძები იყვნენ, თვითონ კი დიდი ეკონომისტი, მეცნიერიო. მარქსმა ძლიერ გაიტაცა — სოციალიზმის კონტურებიც კი დაანახა, მაგრამ მერე მადამ მატლიდამ რომ უამბო, მაგის ბაბუა იყო რაბინი, მამამ იუდეველობა აღარ ისურვა, თვითონ კარლ მარქსი კი მთელი ცხოვრება ენგელსის სარჩენი იყო და სიღარიბეში გარდაიცვალაო, მარქსისადმი დამოკიდებულება შეეცვალა — „კაპიტალის“ შესწავლას თავი ანება, კარგი ფილოსოფოსი შეიძლება მშვენიერი იყოს, მაგრამ როგორ შეიძლება კარგ ეკონომისტს სული სიღარიბეში ამოხდესო. სხვა ეკონომისტთა წიგნებს დაენაო.

ერთ დღეს პარტიის ახალგაზრდული ფრთის სხდომაზე ვილაქამ წინადადება წამოაყენა, ელიგულას კარგი ხელი აქვს, ასოები ისე გამოჰყავს, დახატული გეგონებაო და ოქმის შედგენა, ეს ძალიან სერიოზული საქმე, დაავალოთ, კრებების ოქმები ხომ ხვალ პარტიის ისტორიის დანერის საშუალება იქნებაო. ახალგაზრდულ ფრთაში კარგად იცოდნენ, რომ

ელიგულა ყოველ დავალებას ერთობ გულმოდგინედ ეკიდებოდა. ალბათ, ამან განაპირობა ის, რაც ხუთი-ექვსი თვის შემდეგ მოხდა: პარტიის ცენტრიდან ამბავი მოიტანეს, ახალი სერიოზული დავალება მოგცეს: ქალაქის საკრებულოში ჩვენი თვალის და ყური უნდა იყო — იქ დარაჯად იმუშავებ, მაგრამ პარტია საკრებულოში იმისთვის არ გგზავნის, მაგათ რომ უდარაჯო, სინამდვილეში ყოველი სხდომის ოქმი უნდა შეადგინო — პარტიის ცენტრმა უნდა იცოდეს, საკრებულოში რა საკითხებზე მსჯელობენ, ვინ რას ამბობსო. ამას გარდა, პარტიას თავისი არქივი უნდა ჰქონდეს — როცა მეფის დავალებით და სახელმწიფოს მართვას ჩვენ შეეუდგებით, ყველას თავის ადგილს მივუჩინოთ.

ხავა თავიდიდიშვილის დღიურიდან

ხავა თავიდიდიშვილის თაობის ყმა-წვილქლები დღიურებს წერდნენ. ხავა კი, როგორც ჩანს, მეტად არათანმიმდევრული და დაუდევარიც კი იყო: დღიურს მან წერდა, როცა მისი არსებობა მოაგონდებოდა, თვეების განმავლობაში არავფერს ჩანდა, მერე ლამის ყოველდღე წერდა, თარიღებსაც აბურდულად მიაწერდა — ხან თვეს დააკლებდა, ხანაც — წელს არ დაწერდა. იმ სქელი რეგულიდან, რომელშიც დღიურს წერდა, ზოგიერთი გვერდი ამოხეულიც კია, ზოგიერთი კი ისეა გადაჩხანნილი, ვერაფერს გაიგებ.

ეს პირველი ჩანაწერიც არ უნდა იყოს პირველი. წინა გვერდები ამოხეულია. შესაძლოა, ვინმე საანგარიშო დავთრად იყენებდა და როცა ხავას მასში დღიურების ჩანაწერის სურვილი გაუჩნდა, გვერდები ამოხია. ვილაქამ თქვა ალბათ, მამამისის — აბრამიკო „მესარკვევს“ დავთარი იყო. თუმცა, არა ვგონებ. ხავას მამა მენვრილ-მანელობას ეწოდდა. რა ისეთი ალებ-მიცემობა უნდა ჰქონოდა, რომ დავთარი გაეჩინა. ამას გარდა, წერა-კითხვაც არ იცოდა. თავად კი არა, ხავაც ვერ შეიყვანა სკოლაში. „კაი კაი, კაი მოგცეს გამჩენმა, მარა, მე მაგის ფარა ვინ მამცა! არაფერი უჭირს, გოგოა, უცებ წამოიზრდება, გავთხოვებ და მორჩა!“ აღარც „მესარკვევ“ — შუშების ჩამსმელი იყო აბრამიკო — ამ საქმეს ადრეულ წლებში იმსდევდა, მამამ შეარქვეს აბრამიკო „მესარკვევ“, თორემ რა ხანია, არონ ელიგულაშვილის ერთ-ერთი საწყობიდან საწვრილმანო საქონელი მი-აქვს და სოფელ-სოფელ ჰყიდის.

ამით ხავას ცხადია, ბევრი რამ დააკლდა, მაგრამ რკინიგზის ინჟინრის — ვიქტორ ახვლედიანის ქეთათო სკოლიდან მობრუნდებოდა თუ არა, ხავა სულ მასთან გარბოდა. ქალბატონი აგრაფინა შვილს სამეცადინოდ რომ დასვამდა, ხავასაც გვერდით მიუსვამდა. ხავას კი ისეთი ცინცხალი აზროვნება ჰქონდა, ყველაფერს უცებ ითვისებდა. ქალბატონი აგრაფინა გაოცებული იყო — შვილს ჩასძახოდა, შეხედე ამ გოგოს, სკოლაში არ დადის, მაგრამ შენზე ნაკლები არ იცის! ამაზე რკინიგზის ინჟინერი ვიქტორ ახვლედიანი იტყოდა ხოლმე: „აგრაფინას ვენაცვალე, მაგ ბოვში იუდეველი როა, ხო არ დაგავინყდა, ნამეტანი ჩქარა ითვისებენ ყოლიფერს, მაგინი სიდან სად მოვიდნენ, მაინც რაფერ მოაგნეს საქართველოს და ქართული წერა-კითხვის, გინდა მიმატება-გამოკლების შესწავლა გაუჭირდებათ?!“ აგრაფინა ქმარს არ ეთანხმებოდა: იუდეველობა რა მოსატანიაო, იტყოდა ხოლმე, მაგრამ როცა იმაზე დაფიქრდებოდა, თუ რაოდენ შორი ქვეყნიდან მოვიდნენ იუდეველები საქართველოში, აღარაფერს ამბობდა, რადგან თავად მუხლების ტკივილის გამო სამკურნალო წყლებზეც კი ვერ ნასულყო.

ერთ დღეს კი ვიქტორ ახვლედიანმა არც აბრამიკო „მესარკვევსათვის“ უკითხავს, არც მისი ცოლი რუთისთვის, ისე მოჰკიდა ხელი ხავას და რეალურ სასწავლებელში მიიყვანა, „ე ბოვში გამოცადეთ, უჭკუო არ უნდა იყოს, თუ მიიღებთ, ჩემ გოგოს მიუსვით გვერდით, ამის ხარჯის გამსტუმრებლად მე მიგულით“. რამდენიმე დღეში ხავა რეალურ სასწავლებელში ქეთათოს გვერდით იჯდა.

ხავას დღიურს მე ისეთს გაგაცნობთ, როგორც ხელში ჩამივიარდა.

12 მაისი, 1913 წელი

გუშინ ქეთათომ, ყმანვილები ბუნტაობენ, წავიდეთ, ვუყუროთ, რა ხდებაო. მივედით. ქადაგად დავარდნილიყვნენ — ლაპარაკობდნენ და ლაპარაკობდნენ. მე ვერაფერი გავიგე. სულ უცხო, უცნობ სიტყვებს გაიძახოდნენ, მერე ის თვალეზრიალა ბიჭი გამოვიდა. არ ყვიროდა, ხმადაბლა და აუჩქარებლად ყაპარაკობდა, გეგონებოდათ, თავის თავს ემუსაიფებო, მაგრამ ყველაფერი მესმოდა, გასაგები იყო. იმ ბიჭს თვალს ვერ ვაცილებდი. „ხომ იცი, ვინც არის?“ გადმომჩურჩულა ქეთათომ. მე თავი გავაქინე, არა, არ ვიცი-მეთქი. „თქვენი რჯულისაა, ებრაელი!“ სახტად დავრჩი. გაგონილი მქონდა, ერთი ჩვენებური „ბუნტოვშიკი“ ყოფილა — იცკა რიჟინაშვილი — სულ მეფეს, მთავრობას აგინებდა თურმე, მშრომელ ხალხს სისხლს სწოვენ და უნდა დაემხოსო, კაზაკებს ტყვია შუბლში უხლიათ და გაუფორებიათ. ახლა ამ თვალეზრიალა ბიჭმა დაიძახა მეფის ხელისუფლება უნდა დაემხოსო. შემემინდა, არ ესროლონ, არ მოკლან-მეთქი და ახლოს მივედი. „რა ჰქვია, რა გვარია?“ ვეკითხებო ქეთათოს. მხრები აიჩქრა, „ელიგულას“ ეძახიან, სხვა არაფერი ვიცი.“ მერე იმ ბიჭმა დროშა გაშალა — ახლა ყველანი წავიდეთ და მთავრობას ჩვენი სათქმელი შევძახოთო. მივედი და ვუთხარი: „დროშა მინდა“. დროშა ისე გამომიწოდა, ჩემთვის არც შემოუხედავს — ვილაქას ელაპარაკებოდა. თვითმმართველობისაკენ ელიგულა და მიტო მიგვიძლოდნენ, მიტო დროდადრო ჩემთან მოიბრუნდა და მეკითხებოდა, ხომ არ დაიღალე, დროშა ხომ არ გამოგართვაო. იმ თვალეზრიალა ბიჭის მოცემულ დროშას მიტოს როგორ მივცემდი! მიჭირდა, მაგრამ მაინც მივართვედი. ერთი-ორჯერ ისეთმა ძლიერმა ქარმა დაუბერა, კინაღამ დროშაიანად გამიტაცა, ხელი მაინც არ გავუშვი.

17 ივლისი, 1914 წელი

მიტო მოდებამდე, ხვალაც ვიკრიბებით, თუ გინდა, მოდიო. ელიგულა თუ იქნება? ვეკითხები. აბა, არაო?! ქეთათოს ვუთხარი, წინა კვირაში რო მოხსენება მოვისმინეთ, ახლა თურმე დემონსტრაცია აქეთ, არ ნავიდეთ? ნავედით. მიტო ელიგულას ეკითხება, ეს გოგო ხომ გახსოვდა. ელიგულა ისე დამაკვირდა, მივხვდი, არ ვახსოვდი და ლამის ცრემლი მომერია. „თქვენი რჯულის გოგოა — ხავა“ „მე ხომ წინა კვირაში დემონსტრაციაზე გოგოები მოიყვანა“ შევძახე განწყენებულად. „ჰოო... ახალგაზრდულ ფრთაში რატო არ ეწერები, არ გინდა?“ „მინდა, ძალიან მინდა!“ ვუთხარი. ელიგულამ გამიღიმა და მე სული გამინათდა. საერთოდ კი არ გაიღიმა, მე გამიღიმა, მხოლოდ მე.

10 აპრილი

ელიგულა ჯერ ყოველი კრების მერე სახლამდე მომყვებოდა, მერე რეალურ სასწავლებელთანაც დაიწყო დახვედრა — გაკვეთილები დამთავრდება თუ არა, გავხედავ და ავერ არ დგას?! დედაჩემმა ერთი ამბავი ამიტეხა, „ვინ არი ი ბიჭი, ყოველდღე სახლამდე რომ მოგყვება — სამშაბათსაც დავინახე, ოთხშაბათსაც — სანამ გახვიდოდა, ქუჩაში იდგა და გელოდა!“ რომ ვუთხარი, ეგ არონ ელიგულაშვილის უმცროსი ბიჭია-მეთქი, ყურები დაცქვითა: „მერე?“ დედაჩემი ისე დამაცქერდა, მივხვდი, ათას რამეს მეკითხებოდა. „მერე რა, კი ხან ისტორიის ამბებს მიყვება, ხან — რევოლუციებისას. ყველაზე გრძელი საფრანგეთის რევოლუციის ამბავი იყო — სამი დღე მიყვებოდა, მერე პლენაროვზე, მერე — მუშათა მოძრაობაზე, იცკა რიჟინაშვილის ამბავიც გადმომილაგა. მისი მომენა ძალიან მიყვარს.“

14 სექტემბერი

პარტიის ახალგაზრდულმა ფრთამ მიტოს და მე სერიოზული დავალება მოგცა — ქალაქის საკრებულოში ხმის მიცემისას უნდა დავითვალოთ, რომელ საკითხს როგორ დაუჭირეს მხარი. ეს ელიგულას ამბავი ხომ არ არი? რატომ? იმიტომ, რომ

ხშირად მნახოს? მაგრამ მიტო? თუ ჩემს გამო გააკეთა, მიტო რაღა უყავს? თავისი განზრახვა რომ დაეფარა?

სამშაბათი, დილა აღრიანი

წუხელ თრიატრის მერე ხალხი რო დაიჭირეს, ატყდა ერთი ამბავი, ელიგულას მამაც მოვიდა მიტინგზე. შვილს ისე დაუბღვირა, გული მეტკინა. მერე ელიგულაც წაიყვანა. უკან გავყვი. რამე რო დაჭირებოდა? მაგრამ ელიგულა გამოიქცა — გზიდან იბრუნა პირი. ნეტაი, რატო? იმიტომ, რომ მიტინგის დაშლის შემდეგ ერთად გვეხეტიალნა? კაი ხანას ვიარეთ, მე ისე მომწონს მაგისი ლაპარაკი...

კვირა, საღამო ხანი

გუშინ დილას დედაჩემმა, რა გაძინებს, ადექი, შაბათია, ლოცვაზე უნდა გავიდეთო. კარგად ვიცი, ლოცვაზე რისთვისაც მიყვარ: იქსარძლოს მძებნელმა ქალებმა რომ შემათვალისწინო. ქალები ლოცვაზე იმისთვის დადიან, რომ ოჯახის სიკეთე შეავედრონ ღმერთს, თუმცა, თხოვა-გათხოვების საკითხიც აქ იწყება — ქალები გოგოებს ათვალისწინებენ.

ლოგინიდან უცებ წამოვხტი — ხომ შეიძლება, ელიგულაც იყოს ლოცვაზე! წავედით. დედაჩემმა მალა აიყვანა, იქ, სადაც ქალები იყრიან თავს და ჯამაათი „საქალბოს“ ეძახის. დარბაზს ჩავხვდეთ და გული ამიფრიალდა — აგერ არ არი? ელიგულა ქვემოთ, ჩემს პირდაპირ იჯდა და თორას ჩასცქეროდა. ხახამ ელიაჰუ იაკობ აბინუს სიყვარულის ამბავს კითხულობდა — სწორედ იმ ნაწილს, სადაც წერია, თუ რაფერ იტანჯება იაკობ აბინურახელის სიყვარულის გამო. რას არ აკეთებს, რახელი რომ მისი ცოლი გახდეს. ელიგულაც, ალბათ, ამ ნაწილს კითხულობდა, ისე, როგორც მთელი ჯამაათი. შევცქეროდი ელიგულას და მწყემს იაკობად მესახებოდა. ასე მერევენებოდა, ცხვრებს შორის იდგა და ჩემზე ფიქრობდა.

ლოცვიდან სახლში რომ მოვბრუნდით, თორა გადმოვიღე, ჩემს კუთხეში მივჯექი და იაკობისა და რახელის ამბის კითხვა დავიწყე. მამაჩემი ცდილობდა, ხმადაბლა ელაპარაკნა, მაგრამ მე მაინც მესმოდა:

— გოგოს მიხედე, რუთი, მა ბალანა გლახათ აბრიალებს თვალე.

— რა იყო, აბრამიკო, თუთხმეტი წლის გოგოს რა მიხედვა უნდა!

— თუთხმეტი წლისას უნდა მიხედვა, თუ უნდა, აბა, თუთხმეტი თვისას რა... ჭამს, ისვრის და ძინამს. დღეს შენი ქალიშვილი თვალეებით ჭამდა იმ ბიჭს, სად არონ

ელიგულაშვილის ოჯახი და სად ჩვენ?! — ი ბიჭი თუ უყურებდა ჩემ გოგოს? — იკითხა დედაჩემმა და მე გულისცემა ამიჩქარდა.

— კი, რავა არა, იმანაც კაი ჯაფა მიაყენა თვალეებს!

— დედა, რა გამახარე, აბრამიკო, შენ გაგახაროს გამჩენმა. თუ არონ ელიგულაშვილის ოჯახი ჩემ გოგოს რძლად მოინდომებს, ამას რა ჯობია!

სიხარულით ცას ვენიე: მამაჩემისგან ის გავიგე, რაც გამომპარვოდა — არ ვიცოდი.

19 ნოემბერი


ნათელა გათხოვდა, წუხელ ქორწილი იყო, მთელი ღამე დოლ-გარმონის ხმა ისმოდა. შალიკო მეგარმონეს ხრინინანი ხმა სამეზობლოს გათენებამდე ესმოდა: „გადაბრუნდი თუმანს მოგცემე, გადმობრუნდი — ორ თუმანსოო, გოგო, შენთან კოტრიალი, მიჩვენა დუნიასო“. ნათელა ჩემზე პატარაა, თავისი საქმრო ნიშნობის საღამოს პირველად ნახა. მე მანამ არ გავთხოვდები, სანამ ისე არ შემეყვარებს, როგორც იზოლდა უყვარს ტრისტანს. მაგრამ მაგას სიყვარულისთვის სცალია? დილიდან საღამომდე პარტიის დავალებების შესასრულებლად დარბის. „ტრისტანი და იზოლდა“ რომ წაილა, მეორე კვირაში სხვა წიგნი მომიტანა და მეკითხება, სიყვარული რა არი, თუ იციო. „არა, არ ვიცი!“ ვუთხარი მე. აბა, ეს ნაიკითხე და გაიგებო. წიგნს დახვდეთ. ნაკითხული მქონდა, მაგრამ არ ვუთხარი: ერთი გოგოა, ჯულიეტა ჰქვია, თავის შეყვარებულს მკვდარს რო ნახამს, გულში დანას ჩაირტყამს. აბა, რა უნდა ექნა!



საფო მგელაძე

ლეილა მესხი

ფიქრის კრიალოსანი მწერალ ქალთა პორტრეტები



ახალი ფიქრები ახალ სივრცეებს მიმ-
ლის... უცხოელ პროზაიკოს ქალბატონებს
ვიგონებ, ცნობილ რომანისტებს: ჟორჟ
სანდს, შარლოტა ბრონტეს, ვირჯინია
ვულფს, აგატა კრისტის... ყოველმხრივ
საინტერესო მწერალ ქალებს, მათ შემო-
ქმედებას ალფრედოვანებით ვეცნობოდი...
მკითხველი არასდროს აკლდათ! მაგრამ
სხვა იყო ჩვენი საკუთარი „დედები და დი-
ედები“, ტკბილად მოსაგონარი ქართველი
პროზაიკოსი ქალბატონები. მათი გახსენ-
ება მწადია... ქართველი მწერალი ქალები,
რომლებმაც პირველი რომანები დაწერეს,
სამახსოვრო სახეები შექმნეს და მკითხ-
ველთა მკაცრ სამჯავროზე, მცირედი
შიშით თუ ეჭვით გამოიტანეს (ნათელში
მათი სულელები!). ესენი იყვნენ: ეკატერინე
გაბაშვილი (1851-1938 წწ.), ანასტასია
ერისთავი-ხომტარია (1868-1951 წწ.), ნინო
ნაკაშიძე (1872-1963 წწ.), ფუტუ დგებუაძე-
ფულარია (1887-1969 წწ.), საფო მგელაძე
(1894-1936 წწ.), კლავდია დევედარიანი
(1910-2002 წწ.), თინა დონჯაშვილი (1916-
1992 წწ.) და სხვები. უბრალოდ და გასაგე-
ზად მინდა დავეწყო, ყოველგვარი შელამა-
ზების გარეშე. ყოველი მათგანის მოგონე-
ბა მსურს, მათთვის სათანადო პატივის
მიგება მწადია, მაგრამ ესოდენ მცირე
ჩანაწერში ძნელია მათი ღვაწლის შეფასე-
ბა (ჩვენს ახალგაზრდებს ვანდობ ამ საპა-
ტიო საქმეს!). ამჟამინდელი ფიქრები, ხე-
ლახლა გადაკითხულმა, ახალი თვალით
მოჩნდა მათ (ჟურნალ „განთიადში“ 1990
წელს გამოქვეყნებულმა) საფო მგელაძის
მცირე მონოგრაფიამ აღმოჩნდა. „ჩემი ცხ-
ოვრების ნამდვილი ამბავი“ — ასე ჰქვია
ამ მონოგრაფიას. მას მწერლის სიცოცხ-
ლეში არ ღირსება დღის სინათლე. მხო-
ლოდ მოგვიანებით, მისმა ქალიშვილებმა,
შუშანამ და ნინომ, ხელნაწერებს სასურვე-
ლი ფორმა მისცეს და ჟურნალ „საქართვე-
ლოს ქალის“ მაშინდელი რედაქტორის,
ნარგიზა მგელაძის წინასიტყვაობით და
უშუალო ჩარევით, ჟურნალ „განთიადში“
გამოაქვეყნეს (რედაქტორი რეზო ჭეიშ-
ვილი). თუმცა, რა დასამალოა და
მონოგრაფიისთვის დიდი ყურადღება
არავის მიუქცევია. შეუმჩნევლად ჩაიარა...
მოგონება საოცარი გულწრფელობითაა



დაწერილი. ყველაზე მეტად რამაც შემძრა
და უდაოდ დამაინტერესა, მწერალი ქა-
ლის მძიმე ბედი აღმოჩნდა, მისი უიღბლო-
ბა... ქართველი ქალის ჩაკეტილი ცხოვრე-
ბა, მწერლის მძიმე ჭაპანი, ოჯახიდან
ძნელად თავის დაღწევა, მოუწყობელი პი-
რადი ცხოვრება... რამდენი რამ ართულებს
მწერალი ქალის შემოქმედებით მოლ-
ვანობას (არც ამჟამადაა გაიოლებული!).
ავტორი არაფერს იგონებს, არც თხზავს...
ყოველივე ესოდენ ნაცნობია საქართველო-
ში მოქმედი მწერალი ქალებისათვის... გან-
საკუთრებით შესამჩნევია მწერალი მამაკა-
ცებისთვის დამახასიათებელი ჩვევა, ერთ-
მანეთის გვერდიგვერდ დადგენა, ერთ-
მანეთი აღიარონ, აღმოაჩინონ, სიტყვით
წაუშველონ. ყოველივე ეს დღესაც ანუხებს
თანამედროვე მწერალ ქალებს... რაც შე-
ეხება საფო მგელაძეს, იგი ახალგაზრდო-
ბიდან მხიბლავდა თავისი შეუვალობით,
პირდაპირობით, ახალი გმირების შემოყ-
ვანით. უბრალო, გასაგებ ენით რომ
მოგვითხრობდა თავის ტკივილს და სიხ-
არულზე, წარმატებასა და წარუმატებლო-
ბაზე, თითქოს დიდება გვესაუბრებოდა
შვილიშვილებს. ამ უბრალოებაში ტკი-
ვილით შეძრული სული ჩანდა, სიმართლის

აღიარების დიდი სურვილი. მის რომანებ-
ში ახალი ქალები გამოჩნდნენ სავეს სი-
ცოცხლით, ვნებით და განცდით... ისინი
აშკარად განსხვავდებოდნენ მეცხრამეტე
საუკუნის ქალბატონებისგან. ყოველივე
იმდენად გასაგები ენით იყო დაწერილი,
მკითხველს ფიქრი უჩნდებოდა, რომ მოე-
დომებინა, თავდაც დაწერდა ამგვარ
წინარმოებს. მაგრამ ასე არ იყო! უბრა-
ლოებაში, სიღიადესთან ერთად, სირთულეც
ჩანდა... ურთულეს პერიოდში მოუწია
საფო მგელაძეს ცხოვრებამ.

„1915 წლიდან სისტემატურად ვიბეჭდ-
ებოდი სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში, —
წერს იგი, — მაგრამ პროვინციაში ვცხ-
ოვრობდი და ყოველივე ხელს უშლიდა ჩემს
წინსვლას“. 1918 წელს ქუთაისში გადავი-
და საცხოვრებლად. მანამდე ქმრის მამულ-
ში ცხოვრობდა — სოფელ ნასაკირალში.
„მე თვითონ, სხვისი დახმარების გარეშე
შევიჭერი იმ სფეროში, რომელიც მომწონ-
და, მიყვარდა და საჭიროდ მიმაჩნდა.
არავის ვძულდი, მეგობრულად მექცეოდ-
ნენ. აქა-იქ ქათინაურსაც მეუბნებოდნენ.
ჩემში მეტოქეს არავინ ხედავდა.“ არც
არავინ ფიქრობდა, რომ პროვინციულ
ქალბატონს აღმოაჩნდებოდა იმდენი გა-
ბედულება, მართალი სიტყვა ეთქვა
ქართულ მწერლობაში და შესაფერი ად-
გილიც დაეჭირა. ყოველივე იოლად არ მო-
სულა... 1922 წელს საფო მგელაძემ დაწერა
რომანი „ლიანა ლორდია“, რომელიც
პირველად ვახტანგ კოტეტიშვილმა წაი-
კითხა და მოიწონა. მკითხველმაც შეიყ-
ვარა ნიგნი, იგი ხელიდან ხელში გადადიო-
და... „და დანყო ჩემი უბედურებაც, მო-
მაჯადოებელი ბურუსი ერთბაშად გაიფან-
ტა და ჩემი თავი ბრძოლის ველზე მარტოდ
დავიჩახე, გუშინდელი მეგობრები მტრე-
ბად მომევილინენ და იერიში მოიტანეს
ჩემზე. შევკრთი, მაგრამ უკან არ დავიხიე“
— გვიამბობს საფო. ყოველი ახალი რო-
მანი ახალ სიცოცხლეს სძენდა ავტორს.
„ლიანა ლორდია“ „ქარიშხლის ფრთებზე“
მოჰყვა, შემდეგ „გზა და გზა“. სამი ახალი
რომანი. ამას დაემატა მრავალი მოთხრო-
ბა, ლექსი, ნარკვევი, პუბლიცისტური წერ-
ილი. თუმცა, არც ის არის დასამალო, მწ-
ერალ ქალს, თითოეული წინარმოების
გამოქვეყნებისთვის, დიდი ბრძოლა, ლელ-
ვა და სულიერი ტკივილი დასჭირდა... სახ-
ელიანი მწერლები ამდენხანს თუ აქებდნენ
მის ლექსებს, მცირე პროზას, რომანების
გამოსვლის შემდეგ ყველანი დადუმდნენ,
სიტყვას არ ძრავდნენ. სამაგიეროდ, მკითხ-
ველმა შეიყვარა ავტორი. მის ნიგნებს ყიდ-
ულობდნენ, ერთმანეთს გადასცემდნენ
(ერთმანეთისგან ნათხოვრობდნენ, მეც
ამგვარად დაფლეთილი ნიგნი შემეხვდა!).
თუმცა, არც ის იყო დასამალო, მწერალ
ქალს წლობით უწევდა ლოდინი, ნიგნის
გამოცემას ურთულებდნენ, ჟურნალებში
მისთვის შეგულებულ ადგილს სხვა ავტორს
უთმობდნენ (რომელთა გვარები შემდგომ
არავის გახსენებია, წყალწყალა პროზა

იღვრებოდა და ქრებოდა!). და რაც მთა-
ვარია, ნიგნის გამოცემაში ერეოდა ცეკა,
მთავალიტი, მწერალთა კავშირი. ირგვლივ
ბარიკადები და ჯებირები იყო აღმართუ-
ლი... თითოეული ნიგნის გამოცემას 6-7
წელი ელოდა მწერალი. „ლიანა ლორდია“
ექვსი წელი ბრძოლა დასჭირდა, „ქარიშ-
ხლის ფრთებზე“ — ცხრა წელი, „გზა და
გზა“ ხუთი წლის წინ დაიწერა და ამ ხნის
განმავლობაში ხუთჯერ მაინც ამოგდეს
გეგმიდან“, — ლამის მოთქვამს მწერალი.

თუმცა ბოლომდე იბრძვის: „ყველაფ-
რის თქმა შეიძლება, მაგრამ არავის შეუ-
ძლია დამტკიცოს, რომ მე არაკეთილშო-
ბილი ადამიანი ვარ, რომ მე ინტრიგანი,
პროვოკატორი, შურიანი, მქირდავი, ჭორი-
კანა ვარ. გარშემო კი ისეთი ადამიანები
მხვევია, რომ ძნელია მათთან გაძლება“.
იგი გაბედულად აზროვნებს, უპირისპირდ-
ება ყველას და ყველაფერს, სახელიან მწ-
ერლებს, თანამედრობის პირებს. ესოდენ
თავმოშორებულს, გაბლენილს... „რკინის
ცოცხით უნდა გაირეკოს ლიტერატური-
დან ისეთი მწერლები, სახელს რომ უტყვენ
მწერლობას, უსინდისოდ აღწობენ მათზე
ნიჭიერ ავტორს.“ სიტყვას ლოზუნგით
ისვრის... განა მარტო საფო მგელაძეა ამგ-
ვარ პირობებში. „85 წლის ეკატერინე
გაბაშვილი მოდის ხელოვნების სასახლეში
და მეუბნება: „საფო, გეთყვავ, მომიხახე,
„ლიტერატურულ გაზეთში“ წერილია ჩემი
ნიგნის შესახებ, შემპირდნენ, რომ ამ ნო-
მერში გაუშვებდნენ“. ვეძიე, მაგრამ გაზეთ-
ში წერილი არ აღმოჩნდა. გადის დრო, ეკა-
ტერინე გაბაშვილი კვლავ სასახლის ბიბ-
ლიოთეკაში ზის, „მნათობს“ ფურცლავს.
მთხოვს, მოვანახვო წერილი, რომელიც
მის შესახებ უნდა დაბეჭდილიყო. არ აღ-
მოჩნდა. ასაკოვან მწერალს ატყუებენ. ეკა-
ტერინე გაბაშვილსაც კი, ამ დიდებულ მწ-
ერალს, ერთი რიგია კრიტიკული წერ-
ილი არ აღირსეს, ჩემზე ხომ ლაპარაკი
ხედმეტია. ათეულობით წლების მანძილზე
ვმუშაობ ლიტერატურულ ასპარეზზე და
არც ერთმა კრიტიკოსმა არც ერთი სიტყ-
ვა არ გაიმეტა. თუ კარგად ვერა ვთქვი,
ცუდათ ხომ მაინც ვიტყვოდი!“ — კვლავ
მოთქვამს მწერალი. მის მძიმე ბედს ერთვის
შვილებთან ერთად უმძიმეს პირობებში
ცხოვრება. „ზამთარში, ყველა ერთ ოთახ-
ში ვიყრიდით თავს, სადაც ნავთქურა ანთია.
ბავშვები მეცადინებოვნ, დედა საუბრობს,
თვითონ ვწერ... რამდენი ქალს აქვს თბილის-
ში რიგიაანი ხინა, ცხოვრების საშუალება,
მოგზაურობის შესაძლებლობა. ცხ-
ოვრობენ ეს ქალები ლალად და ლამაზად,
არც მარადიული კითხვებით იტყვენ თავს.
მე ვმუშაობ, ვწერ და არა მაქვს იმის შესა-
ძლებლობა, რომ დავჯდე სადმე მყუდრო
კუთხეში და გავაკეთო ის საქმე, რომელიც
ასე საჭირო მგონია. და ასე ძლიერ მიყვარს.
რომელსაც ჩემი სული და გული მიაქვს
თან!“

მოსვლას, გაბედული აზრის გამოთქმას
რატომღაც ეჭვით შესცქერიან. საფო მგე-
ლაძეს მხოლოდ ყრილობის მესამე დღეს
ედღევა სიტყვის თქმის უფლება. არ ფრთხ-
ება, გამოდის, ვილაცხვს სასტიკად ამ-
ათრახებს. მის გაბედულ სიტყვებზე მამაკა-
ცებთან ერთად მწერალი ქალებიც ირო-
ნიულად იღიმიან. „სატახტო ქალაქში
აღზრდილი მწერალი ქალები მუდამ
პირმოკუმული იხდნენ და როგორ გაგბე-
დე მე, პროვინციელმა ქალმა იმ აუდი-
ტორიის წინაშე სიტყვით გამოსვლა. „ურე-
მს რომ ტვირთი დაანვება, ისიც აჭრიტინ-
დებო“, ამბობს ქართული ანდაზა. მეც
გამიჭირდა და ამ გაჭირვებამ ლაპარაკი
მასწავლა, ამიტომ ავჭრიტინდი... დარბა-
ზში ჩამიჭრე არ ისმოდა, ირონიული ლი-
მილი სადღაც გამქრალიყო. ყველანი
გულისყურით უსმენდნენ.

— თქვენ ისტორიული სიტყვა წარ-
მოთქვით! — შეხვედრისას ათამამებს ტი-
ციან ტაბიძე. გაბედულებას უწონებს.

ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა,
რომ... „მნათობის“ უახლოეს ნომერში დას-
აბეჭდად გამზადებული მისი ახალი რო-
მანი — „გზა და გზა“, არც გაუფრთხილები-
ათ, ისე ამოიღეს. რომანი მძიმე ავადმყო-
ვმა დაწერა, სიცხიანმა ქალმა გაამზადა
და ჟურნალის რედაქტორს დასაბეჭდად
გადასცა. მე-2 ნომერში შევიტანო, ამგვარი
იყო რედაქტორის პირობა. გამოვიდა ჟუ-
რნალი, მაგრამ რომანი არ დაბეჭდილა.
ესეც გაბედული სიტყვის პასუხი. აკითხ-
ავს სტამბას. ასოთამწყობებს... „საფო მგე-
ლაძის მასალა აწყობილი იყო, მაგრამ...
მგონი, გადადეს.“ ესმის პასუხი. ჰონო-
რარის მიღების მცირე იმედი ჰქონდა და
ისიც გაქრა. წყენის, ტკივილის უმძაფრეს
პასაჟად აღიქმება რადიანების ოჯახიდან
დაბრუნებული მწერალი ქალის ფიქრი,
ლამის სიკვდილს ნატრობს. ტრამვას
მოლოდინში ანა კარენინა ელანდება,
რელსები და მქროლავი ვაგონები... ლერ-
მონტოვის ქუჩაზე, კობესთან, მეკურტნეებს
ყუთები დაუწყვიათ. ერთ-ერთ ყუთზე ჯდე-
ბა საფო. „ვიზივარ, რალაც უსიცოცხლო,
გარინდებული პოზით და სრულიად არ
ვფიქრობ იმაზე, რომ უნდა ავდე, რომ ამ
ადამიანებს ტვირთის წაღების საშუალება
მივცე.“ ისინი არაფერს ეუბნებიან, სხედან
და ლაპარაკობენ — სუფთა ქართულით,
წყნარად და მეგობრულად საუბრობენ,
ალაგ-ალაგ გადმოხედავენ. თანდათან მშ-
ვიდდება. გზას აგრძელებს. ბინაში შედის
და... „სარკესთან მივედი და საკუთარი
თვალებიდან გამომკრთალა უიმედობამ
შემარცხა, პალტო გავიხადე, საწერი მაგი-
დის წინ ჩამოვჯექი. აი, ათი წლის წინ დაწ-
ერილი მოთხრობები, რომანები... ჯერაც
გამოუქვეყნებელი. როგორ დაინერა ისი-
ნი? ტანჯვაში, მარტოობაში, აურზაურში,
სიცხეში, ყინვაში, რამდენჯერ ვმჯდარვარ
ამ მაგიდის წინ გათოშილი ხელებით, გაყ-
ინული სახსრებით, ათრთოლებული ხან
განცდით, ხან ოცნებით, ხან სინამდვილით.

ემუშაობდი, ვიბრძოდი, ვიტანჯებოდი და დავიღალა...“ საოცარ სულიერ სიახლოვეს ვგრძნობ, მისი ხმა ჩამესმის, მისი უსასო ძახილი, კვილი... თავის დაუბეჭდავ წიგნებს ისე უყურებს, როგორც დედა შესცქერის სასიკვდილოდ განწირულ პირმშოს. ყოველი წუთი შემძვრელი და შემადრწუნებელი ჩანს...

ამიტომაც, უცხოელ ქალბატონებს რომ ვიგონებ. სახელოვან მწერლებს. მრავალტირაჟიანი გამოცემებით განებივრებულებს. მათზე სხვები ზრუნავდნენ. სხვები იღვწოდნენ. მთავარი იყო, დაეწერათ, შეექმნათ. გამოცემისთვის ზრუნვა არ სჭირდებოდათ, არც მათ გასაღებაზე დარდობდნენ... რა ბედნიერება! ამიტომ არიან დამშვენებულნი — სახელით, დიდებით, ღირსებით, მაღალი ჰონორარებით. მრავალ ენაზე თარგმნიან. ჩვენთან, ამჟამად, მცირე გამოცემის გარდა, საერთოდ არ იძლევიან ჰონორარს. მწერლის შრომა ასე დაუფასებელი არასდროს ყოფილა. ამ პატარა საქართველოს ცხოვრებაში ვერა და ვერ დადგა დრო, რომ მწერალს პირობები გაუმჯობესდეს, ოდნავ მაინც გამოუკეთდეს. რომ შემოქმედმა ადამიანმა თავი ლაღად იგრძნოს. საბრალო საფო! ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, ყოველდღიურ სატანჯველს თავი ვერ დააღწია. ვერც ნარმატება იგემა, ვერც სიამე განიცადა... ამიტომ გამიჩნდა სურვილი, ამ დიდებული ქალბატონის, საფო მგელაძის ტანჯული სულის გასახსენებლად ეს მცირე ჩანაწერი გამოემქვეყნებინა... აქვე მინდა დავძინო, დღეს, როცა საქართველოში წიგნის წამკითხველნი ასე ცოტანი შემორჩნენ, ისინიც უცხოურ ლიტერატურას სცემენ დიდ პატივს, ჩვენი ტკბილი „დედები და დიდებები“, პროზაიკოსი ქალბატონები, სავალალოდ, არავის ახსოვს!

საფო მგელაძე სულ ახალგაზრდა, 42 წლის ასაკში გარდაიცვალა...

თავარ ერისთავი



2014 წელს გარდაიცვალა შესანიშნავი პოეტი, მთარგმნელი, დიდებული ქალბატონი თავარ ერისთავი. ჩუმად, თავისთვის ცხოვრობდა. ასევე უხმაუროდ წავიდა ამქვეყნიდან. იგი საქართველოს წარსულს ჰგავდა თავისი მშვენიერებით, ღირსებით, კდემამოსილებით. ბოლო წლებში ყველას და ყველაფერს განერიდა. სიმარტოვეს შეფარებული უჩუქარ ყოფას აგრძელებდა, თუმცა არასდროს უწუნებია, არც ნუგეში უთხოვია... ღირსებით სავსე, დიდებული ქალბატონი, ამგვარად დარჩა ჩვენს ხსოვნაში. მასთან პირველი შეხვედრა მაგონდება... თამარ ერისთავის პირველად ხილვა. ეს იყო სამოცდაათიან წლებში.

მწერალთა ყრილობა მთავრობის სასახლეში ტარდება. ქუთაისიდან ჩამოსულ მწერალთა ჯგუფს ერთ კუთხეში მოუყრია თავი, ყრილობის დაწყებას ელოდება. თანდათან ივსება დარბაზი. ცნობილი, სახელოვანი მწერლები ნელ-ნელა შემოდინან. არის მისალმება, ღიმილი, შეძახილი. უცებ წითელი ხალიჩით მოფენილ კიბეს ულამაზესი ქალი ამოჰყვავა... მაღალი, ტანადი, შავგვრემანი. თავმოძრნე იერით ამოდის. თეთრი კაბა აცვია. ნამდვილ დედოფალს ჰგავს... ყველაფერი შეენის — შავი თმა, ბრიალა თვალები, უზადო ღიმილი. ესალმებიან, თითებს უკოცნიან. — ვინ არის? — ვკითხულობ. — თამარ ერისთავი, — მპასუხოებენ. — პოეტი და მთარგმნელი. კოტე მაყაშვილის შთამომავალი. მის ნატიფ სხეულს, მშვიდ ნაბიჯებს საოცარი კდემა ახლდა. თავის დახრ და მოწინებით ხელზე ამბორი მოგინდებოდა... რამდენი

ქალია დარბაზში, ცნობილი სახეები, ტელენამყვანები, მოწვეული სტუმრები, მაგრამ არცერთ მათგანს იმოდენა ხიბლი არ ახლავს, რამდენიც მას! არავითარი ფერუმარილი, ხელოვნური საღებავები, რაც იყო, ნაღდი იყო! მასთან სიახლოვე იმ დღიდან დაიწყო... ჩვენი საუბრები ხშირად უსათუთეს განცდებს ეხებოდა, ბავშვობის წლებს, სალხინოში გატარებულ მთვარიან ღამეებს, მამას, ძმას, მამიდას, მათ მოგონებას. მათ დიდებულ გვარსა და ჯიშზე, მაყაშვილების უიღლო ასულზე მიაბზობდა, ქართველ იუნკერებთან ერთად სასიკვდილოდ გამეტებულ — მარო მაყაშვილზე. ახლაც ჩამესმის მისი ხმა. მახსოვს, „ჩვენი მწერლობის“ რედაქტორს, ბატონ როსტომ ჩხეიძეს, თამარ ერისთავზე დაწერილი ვრცელი სტატია მივუტანე. მის პოეზიას, თარგმანებს მიმოვიხილავდი, ერთგვარ შეფასებას ვაძლევდი. თავად მის პიროვნებასაც ვჭვრეტდი, ესოდენ საინტერესოს და ყველასგან განსხვავებულს. მსურდა, ღრმად ჩამეხედა მის შინაგან სამყაროში. შემეცნო იგი. წარსულსა და დღევანდლობაში შემორჩენილ, ბოლო მშვენიერად რომ აღვიქვამდი. რა უხაროდა და რა წყინდა, რად ისურვავა მარტოობის ქალბატონად დარჩენა (წერილსაც ამგვარი სათაური ჰქონდა). თუმცა, ნამდვილი მიზეზი ბოლომდე ვერ შევიცანი, არ გაამხილა, ბედს თუ უბედობას დასდო ბრალი. შეიძლება ასეც იყო!

მახსოვს, მოგვიანებით, მწერალთა ყრილობაზე, იზა ორჯონიკიძე, როგორც ლიტერატურის მუზეუმის დირექტორმა, ფოტოკორესპონდენტს დაავალა, ჩვენთვის, სამივესთვის ერთად სურათი გადაეღო: თამარ ერისთავი, იზა ორჯონიკიძე და ლეილა მესხი. მშვენიერი ფოტო გამოვიდა. მოჩანს ყრილობის დარბაზი, მწერალთა სახეები და წინა რიგში გვერდიგვერდ მსხდომი სამი ქალი. „სამი მწერალი ქალბატონი“ — ნაწერა იზამ. მოგვიანებით ის სურათი თავის კრებულში შეიტანა. იზა აღარაა ცოცხალი, აღარც თამარი... ზოგჯერ მეჩვენება, თითქოს ყოველივე დამესიზმრა... ჭეშმარიტი პატივისცემა ხომ გულიდან მოდის, მოკრძალებიდან, თავმდაბლობიდან... სწორედ ეს ამოვიკითხე ცნობილი ქართველი პოეტის ემზარ კვიციანიშვილის ახალ ლექსში, რომელიც თამარ ერისთავის ხსოვნას ეძღვნება. „თამარ ერისთავის გაცხილება“ — ასე ჰქვია ლექსს (წმინდანად შესარაცხი). „კუბო. გრძლად დახვეული, დაცრემილი ვარდები... კედლის ძირში, გათოლილ შავ მინას მიბარდები... ალვად რომ ირხეოდი, გიმეტებთ დასამარხად. რა თვალები ჩავიქრა, თაფლისფერი, თამარ ქალს... სიჩუმით გვეპარება კვიპაროსი-ლატანი... ცალკე მზარავს ეს წასვლა, ძნელად გადასატანი...“

ლეილა გეროშვილი

სულ ახლახან გარდაიცვალა მწერალი ქალი, ლეილა ბეროშვილი. ნაზი, სიფრიფანა, არისტოკრატიული გარეგნობის ქალბატონი. ენძელას ჰგავდა, გაზაფხულის პირველ ყვავილს. მისი არსება სავსე იყო — კდემით, სინაზით, ქალურობით. ყოველთვის უკანდახეული იყო, თუმცა საკუთარი პრინციპები საკმაოდ გააჩნდა. არასდროს ყელყელაობდა, არც ვისიმე წინაშე ინონებდა თავს. უშუალო და შეუვალი გახლდათ. უდაოდ დამენანა და გული დამწყდა. წავიდა უხმაუროდ, ყოველგვარი პრეტენზიების გარეშე...

პირველსავე გამოჩენისას მკითხველთა ყურადღება მიიპყრო. მის მცირე ნოველებს, რომელიც ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნდა, საოცარი სიფაქიზე და მწერლური მაღლი ახლდა. რაც მთავარია, მისი გამოჩენა დიდმა ქართველმა მწერალმა რევაზ ინანიშვილმა მოიწონა, დალოცა და სავამაგლო წარმატებები უსურვა. ეს ბევრს ნიშნავდა... რევაზ ნაკლებად ეკუთვნოდა იმ მწერალთა რიგს, იოლად რომ იმეტებენ საქებარ სიტყვებს. სულ მალე ლეილას სცენარის მიხედვით რეჟისორმა გიორგი შენგელიამ მხატვრული ფილმი გადაიღო — „სიყვარული ყველას უნდა“. ფილმი, რომელიც დღესაც უყვარს ქართველ მაყურებელს...

ჩვენი დაახლოება შემთხვევით მოხდა. იმ წლებში ჟურნალ „თეატრალურ მოამბეში“ რედაქტორ-თანამშრომლად ვმუშა-



ობდი. ერთ მშვენიერ დღეს სამსახურში ლეილა ბეროშვილი გამოემცხადა (შორიდან ვიცნობდი). შეწუხებული ჩანდა, დარდიანი... თავისი გულისტკივილი გამანდო... 1985 წელი იყო. გამოცემლობა „მერანში“, სადაც ლეილა რედაქტორად მუშაობდა, ინციდენტი მოხდა... კოლაუ ნადირაძის ლექსის გამო — „25 თებერვალი“ — გამოცემლობიდან შვიდი თანამშრომელი განათავისუფლეს (მამუკა ნიკლაური, იზა ორჯონიკიძე, გრიგოლ ჯულუხიძე, ლეილა ბეროშვილი და სხვები.) უმუშევარი რომ არ დარჩენილიყვნენ, ზოგიერთ მათგანს უფლება მისცეს, რომელიმე მწერლისთვის ადგილი გაეცვალა... ამიტომ მენვია ლეილა თეატრალურ საზოგადოებაში. შემომთავაზა, ადგილები გაგვეცვალა და „მერანში“ გადავსულიყავი რედაქტორად, თვითონ კი ჟურნალ „თეატრალურ მოამბეში“ მოვიდოდა. მცირეწლოვანი შვილი ჰყავდა და უმუშევრად დარჩენისა ეშინოდა...

იგი ხშირად სტუმრობდა ძველ სამსახურს, მეგობრებს მოინახულებდა. მისი გამოჩენა გვიხაროდა. ტკბილად მოსაუბრე ქალბატონი იყო. მახსოვს, ერთხელ ღიმილიანი შემოვიდა და გვერდით მომიჯდა, თვალები უციმციმებდა... მოვხედე, „რა მოხდა, ლეილა?!“ — ვკითხვები. „რუსთაველზე მოვდივარ, ვიღაც მამაკაცი ამედევნა, მაღალი, სიმპატიური. ამკარად ეტყობოდა, უცხოელი იყო. სადაც შევედი, ყველგან შემომყვავა, წიგნის მაღაზიაში, ქსოვილების, სურსათის... შორიდან მათვალაიერებდა. „მერანში“ რომ შემოვედი, კიბესთან დამენია... შემაჩერა და ბოდიში მომიხდა. ქართველი აღმოჩნდა. „დიდი ხანია, საზღვარგარეთ ვცხოვრობ, მახსოვს, ჩემს ახალგაზრდობში ულამაზესი ქალები დასეირნობდნენ რუსთაველის პროსპექტზე, ახლა მთელი საათია დავედივარ, მსგავსი ვერავინ ვიპოვე, მხოლოდ თქვენ შეგამჩნიეთ, არისტოკრატიული გარეგნობის, მშვენიერი ქალბატონი... მაპატიეთ, თუ გვარს მეტყვით, მაღლიერი დაგრჩებით.“ „იმას ეგონა, ამილახვარს ან ანდრონიკაშვილს ვიტყოდი...“ — იცინის ლეილა. „ბეროშვილი ვარ-მეთქი“. „გვარიც კარგი გაქვთ და ქალბატონიც შესანიშნავი ბრძანდებით“, — ხელზე მიაბზორა.

გამომცემლობის გეგმაში ორჯერ შევიტანეთ ლეილას მოთხრობები, თუმცა წიგნი არ წარმოადგინა, „მე რომ მინდა, ისეთი არ არისო“. საკუთარი შემოქმედებისადმი მკაცრი დამოკიდებულება ჰქონდა. რაც უკანდახეულსა და გაუბედავს ხდოდა მას... არაა, მშვენიერი მოთხრობები ჰქონდა, უჩვეულო ფერებით, ხასიათებით, გრძნობებით გაჯერებული. არც ქალური ღირსება აკლდა...

თითო-ოროლა მეგობარი ჰყავდა ლეილას, უფრო მარტოსული თქმოდან. თავის ერთადერთ ვაჟს აღმერთებდა. შეეძლო, საათობით ესაუბრა მასზე (ამჟამად ცნობილ ახალგაზრდა მწერალზე — ბექა ქურხულზე, რომელიც სულ ახლახან საბას პრემიით დააჯილდოვეს. რაც ძალზე მიხარია). აფხაზეთის ომის დროს თანა-

ტოლებთან ერთად იბრძოდა ბექა. ისიც მახსოვს, როგორი განცდით, გულისკანკალით ელოდა დედა...

ერთ შეხვედრას გავიხსენებ. ომია, ქვეყანა არეულია, რუსთაველის მეტროს მიუახლოვდი, ჩავდივარ თუ ამოვდივარ, აღარ მახსოვს. წინ ლეილა შემომყვარა, გამხდარი, განაცრისფრებული სახით. სვედიანი მზერა ჰქონდა. მთხოვა, ნუ ჩახვალ მეტროში, ცოტა ხანს ბორდიურზე ჩამოვჯდეთო... კარგა ხანს ვისხედით. წყნარად და ძუნუნად ვსაუბრობდით. მეუღლე ახალი გარდაცვლილი მყავდა, მოშა და ძრწოლბა ვყავდი მუშკრობილი! იმან თავისი მიაბზო... განსაკუთრებით შვილზე დარდობდა, „მთელი ღამე არ მიძინავს, მცირე ხმაურზე კარს ვაღებ და ვაყურადებ, ყოველ ღამე ბექას ველოდები... ერთადერთი შვილი ტყვიების ქარცეცხლში მყავს, აქედან ვერაფერს ვშველი, გიჟად ვარ... არ მინდოდა წასულიყო, მაგრამ გამეპარა...“ ცრემლიანი ხმა ჰქონდა. ასეთ დროს იმედინი სიტყვა ბევრს ნიშნავდა, მაგრამ ვერაფერი ვთქვი. მაინც რა უნდა მეთქვა ისეთი, რომ სულანენილი ქალი დამემშვიდებინა (მამინდელი სიჩუმე მაპატიოს უფალმა)...

ხელში ყუთი ეჭირა, ფრთხილად მოქონდა. კვერცხები აღმოჩნდა, ოცი-ოცდახუთი ცალი, სოფლის კვერცხები. ყვარლიდან მოქონდა ბექასთვის. ეგებ ველირსო მის დაბრუნებასო...

გავიდა წლები, უხმაუროდ მიიცვალა ლეილა (სრულყოფილი ნეკროლოგიც არ დაინერა)... სამაგიეროდ, დედის მიმართ შვილის უსაზღვრო პატივისცემას და სიყვარულს ამკარად ვგრძნობ, რისთვისაც მაღლიერი ვარ. ვაჟის მონდომებით და უშუალო ჩარევით გამოვიდა ლეილა ბეროშვილის ახალი წიგნი „გამოზამთრებად“. იგი გამოცემლობა „ინტელექტმა“ გამოსცა (2016 წელი). მწერალთა სახლში მისი ხსოვნის საღამო გაიმართა. რადიოგადაცემაც მოეწყო. ყოველგვარ ღირსეული შვილის მონდომებით მოხდა, რაც უდაოდ მოსაწონია! რადიოგადაცემაში იხუმრა ბექამ: „ვერ გამეგო, მე ვიყავი მისი შვილი, თუ ის ჩემი...“ ამგვარი სიტყვები შემთხვევით არ წარმოითქმება, მას დიდი გულითადობა სჭირდება...

აქვე მინდა, ლეილასთან ბოლო შეხვედრა მოვიგონო:

იზა ორჯონიკიძესთან განსაკუთრებული მეგობრობა აკავშირებდა. თუმცა არც დიდად შეხმატკბილებულნი ჩანდნენ. კონფლიქტი ჩვეოდათ. ლეილას კახური ხასიათი ჰქონდა, სიმართლის პირში მიხლა ეხერხებოდა, იზას კიდევ ქართლური სიჯიუტე მოსდევდა...

იმ დღეს ლიტერატურის მუზეუმში ვესტუმრე იზას. კაბინეტში ვსხედვართ, ჯაბა ასათიანი თავდახრილი ზის, კორექტურას კითხულობს. კარი იღება და ლეილა ბეროშვილი შემოდის, ჩემს გვერდით ჯდება. ერთხანს ჩუმად არის, კედლებზე გამოვნილ სურათებს ათვალაიერებს, მერე დამცინავი ღიმილით მეკითხება: „ლეილა, როგორ მოგწონს ანა ახმატოვას გვერდით ედვარდ შევარდნაძის პოტრეტი?!“ ხმაში ირონია ურევია... სათქმელს ამკარად ამხელს. იზა დაიძაბა, საცაა აფეთქდება. თავდაპირველად ვერ მივხვდი, რა მეპასუხა. მერე გავუღიმიე და... „რატომ არ მოგწონს? ლამაზად გამოიყურებიან, მცირედად შევნიან კიდევ ერთმანეთს!“ ვცდილობ, მოსალოდნელი წყენა გავანელო.

„შენიან, ხომ?!“ — წყენით შემომხედა ლეილა. ამკარა იყო, იზას შევარდნაძის ერთგულს არ პატიობდა...

ეს ჩვენი ბოლო შეხვედრა იყო, შემდეგ აღარ მიხახავს. მწერლები ერთმანეთს გაეთიშნენ, სხვადასხვა დაჯგუფება შექმნეს. „მერანში“ გაყიდეს... არ ვიცი, რომელ დაჯგუფებაში მოხვდა ლეილა, დარწმუნებული ვარ, არავის მიეკედლებოდა, მარტო ყოფნას ამჯობინებდა... როცა „ლიტერატურულ გაზეთში“ მისი პორტრეტი ვნახე და ნეკროლოგი წავიკითხე, საოცრად დამწყდა გული — სიჩუმისთვის, წლობით უნახაობისთვის რომ გავიწყდეთ ერთმანეთი. ვიცოდი, ყვარელში ცხოვრობდა, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმს ხელმძღვანელობდა, კანტიკუნტად „ლიტერატურულ გაზეთში“ იბეჭდებოდა. უმშვენიერესი მინიატურებით ხიბლავდა მკითხველს...

ნათელში იყოს მისი სული!



მწერალი

ნინო თარხნიშვილი

შეხვედრაზე მისულს თან მიმყვამ მისი სამყარო, სტატუს-მინიატურებში გაცოცხლებული: ბებია ბაბუაწვერას თავით და გამხმარი ხელებით, საფლავზე ფერადი წვიმებით მორთული ფიჭვი, დედის დახეთქილი ხელები, ზამთრის ქუთუბელში დაკარგული, გამხდარი მამა, ყვავილებიანი კედლები, ყანდაარელი მკვდრები, მოკლული ქალები, ალექსე პო, შვილს აკიდებული დედა, და რა ვიცი, ვინ და რა აღარ. ის სამყარო საოცრად მყუდროა, იქ სხვებიც არიან და სულ მათთან გინდა ყოფნა. ასეთ გარემოცვაში ვიჯექი ფინჯან ჩაიზე და ვუსმენდი ნინო თარხნიშვილს. ისიც მისი პერსონაჟების, მოგონებების, ფანტაზიების, ნივთების ნაწილად აღვიქვი, იმ თავისი გამჭოლი, სევდიან-ზე სევდიანი და მუქზე მუქი თვლებით.

— ძალიან გრძელ ამბებს, ზოგჯერ მთელ ცხოვრებებს, რამდენიმე წინადადებით ძალიან ცოცხლად, ბუნებრივად გადმოსცემთ. როგორ ახერხებთ გარეთ ნოდებულ სტატუსში მთელი ამბავი ჩატებით?

— ამბების მოკლედ მოყოლას გრძელი ისტორია აქვს. ის დაახლოებით 10 წლის წინ დაიწყო, მაშინ ფეისბუქი საქართველოში გავრცელებული არც იყო, მაგრამ არსებობდა ლიტერატურული ფორუმი — lit.ge, სადაც პერიოდულად ვაქვეყნებდი ხოლმე მინიატურებს. ეს ცნობილი ჟანრია, რთული დასაწერი იმ თვალსაზრისით, რომ რამდენიმე წინადადებაში, ნახევარ გვერდში, ორ აბზაცში, მთელი ამბავი, მთელი ისტორია უნდა მოაქციო დასაწყისით, განვითარებით, კულმინაციით, დასასრულით — ზუსტად ისე, როგორც მოთხრობაში ან რომანშია. სწორედ ლიტერატურულ ფორუმზე გამოქვეყნებული მინიატურები შევიდა ჩემს პირველ წიგნში, რომელსაც „ქალთარაფერა“ ერქვა და „დიოგენემ“ გამოსცა. ამ სტილში წერა ჩემთვის ძალიან მარტივი და მოსახერხებელია, რადგან დღევანდელ ცხოვრებაში, როცა ძალიან დაკავებული ვარ, ეგრეთ ნოდებული ნოუტები, მინიატურები და სტატუსები ჩემგან არ მოითხოვს დიდ დროს, ენერჯიას და ბევრ ფიქრს. შეიძლება დღისით მომავლიერდეს და საღამოს, როცა დრო მექნება, ჩავეწერო. მოკლედ, ასე ხდება. ადრეც, ბევრი მინიატურა საქმესა და საქმეს შუა იქმნებოდა, ახლა უკვე, რაკილა ფეისბუქი არსებობს, საქმესა და საქმეს შუა ეგრეთ ნოდებული სტატუსები იწერება. დროის ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის და მინიატურების სახით ეშმაკური გამოსავალი ვიპოვე, წერის სურვილს ამით ვიკლავ. კი, ტექნიკურად რთულია, წერის ტექნიკა გამოცდილებასთან ერთად მოდის, მაგრამ მე უცებ „ვაცხოზ“, ოღონდ აუცილებლად მუხტი უნდა ვიგრძნო, შიგნით უნდა დაგროვდეს ემოცია, რაღაც „ბექგრაუნდი“ მქონდეს — ამბავი, ხასიათი, განწყობა, ქუჩაში გაგონილი ერთი ფრაზა. მასალაზე წავსულვარ, მერე დავბრუნებულვარ და დამინერია. ოღონდ ძლიერი განცდა უნდა იყოს, ყურით მოთრეული ამბის წერა არ გამოიმდის.

— თავიდან, როცა შევიტყვე, რომ გამოვიდა წიგნი „ნინო's Notes“, რომელიც, ძირითადად, ფეისბუქსტატუსებზე იყო აგებული, გამიკვირდა. ვამბობდი, რა უნდა იყოს ეს წიგნი, რა ლიტერატურაა ეს ფეისბუქლიტერატურა-მეთქი. მერე დავიწყე კითხვა და უკან წავიღე ჩემი სიტყვები.

— საერთოდ, „ნოუტების“ გამოცემას არც ვფიქრობდი, იმიტომ, რომ, თქვენი თქმის არ იყოს, მეც რაღაცნაირად არასე-

როოზულად მიმჩნა მათი წიგნად დაბეჭდვა — ვფიქრობდი, მკითხველი როგორ აღიქვამდა ამას, მაგრამ ფიქრის და განსჯის მერე მივხვდი, რომ ეს არ არის სტატუსები, ეს მინიატურების ჟანრში დაწერილი ტექსტები, მინიატურებია. ისინი შეიძლება ეხებოდეს მიმდინარე მოვლენებს, მნიშვნელოვან ფაქტებს, ტრაგიკულ ამბებს, ჩემს ემოციებს, ჩემს პროფესიას, ცხოვრებისეულ მომენტებს. ამიტომაც ბოლოს დაეთანხმე გამოცემლობა „ინტელექტის“ შემოთავაზებას, შემეცოდა კიდევ დასაკარგად ჩანაწერები. წიგნში შევიდა ის მინიატურები, რაც ვიპოვე, წლების განმავლობაში გახვეული ფეისბუქში — ცუდი ჩვევა მაქვს, ნაწერებს, სტა-



ტუსებს არსად ვინახავ, არც ბლოკნოტში ვინერ, არც ცალკე ფაილში, ისინი ფეისბუქშივე რჩება. ამიტომ დიდხანს ვეძებე ზოგიერთი მინიატურა, რომელიც მახსოვდა და მიწოდდა, წიგნში შესულიყო.

— თქვენ თვითონ, როგორც მკითხველს, გიყვართ მინიატურები? თუ რომანები გირჩევნიათ?


— ძალიან მიყვარს მინიატურების ჟანრი, იმიტომ, რომ მიყვარს რომანები, დიდი ამბები, გრძელი ამბები, რომელშიც ჩაიკარგები, მაგრამ ზოგჯერ, სამწუხაროდ, აღამიანებს არ გვაქვს დრო, რომანები ვიკითხოთ და მგონია, მინიატურებით, მათგან ნამოსული ემოციით, შესაძლებელია იმ დანაკლისის შევსება. სხვადასხვა მინიატურა სხვადასხვა ემოციით ავსებს მკითხველს — დასევდიანებს, ან გაამხიარულებს, ან მისთვის მნიშვნელოვანს ეტყვის, დაანახებს, რომ სხვასაც იგივე პრობლემა, ისეთივე სატკივარი აქვს.

— სწორედ მნიშვნელოვანი პრობლემების თუ თემების მიხედვითაა დალაგებული „ნოუტებიც“, ხომ?

— წიგნში სამი ქვეთავი, სამი მთავარი

თემაა. ერთს დავარქვი „ოდები“, მეორეს — „ნიუსებს მიღმა“. „ოდებში“ შესული ტექსტები მიმიე სოციალურ და მენტალურ პრობლემებს ეხება. მეორე ქვეთავი კი მსოფლიოში მომხდარ იმ მოვლენებზეა, რამაც ჩემზე და არა მარტო ჩემზე ძალიან იმოქმედა. როცა რეპორტიორი ხარ, სიუჟეტში, ნიუსში ვერ გადმოსცემ შენს დამოკიდებულებას, იმიტომ, რომ მსმენელს თუ მკითხველს ეს არ აინტერესებს, მას სურს კონკრეტული ფაქტი შეიტყოს. არის ამბები, ჩემში დიდ ემოციას რომ იწვევს, მაგრამ, როგორც რეპორტიორი, მოკლედ და კონკრეტულად ვყვები, საღამოს კი სულ სხვანაირად ვწერ. ასე დაინერა „ნიუსებს მიღმა“. მესამე ქვეთავი „ნინო's Notes“, უფრო მეტად ქალის ცხოვრებასა და განცდებზეა.

წიგნი იწყება რამდენიმე ვრცელი მოთხრობით, ისინიც რალაც მძაფრი გავლენებისა თუ შთაბეჭდილების შედეგად და დაწერილი. მაგალითად, პირველი მოთხრობა, „13 წლის გოგო, ვირთხის თათები და ვაშლი“, 2014-ში დავეწერე, როცა ქალთა მკვლელობამ ძალიან იმატა. მოთხრობას მაშინ მომხდარი ნამდვილი ამბავი უდევს საფუძვლად. სხვათა



შორის, ის იმ ათ მოთხრობას შორისაა, ათმა ქართველმა ავტორმა ფემიციდის რეალურ შემთხვევებზე რომ დავეწერეთ და, „ბაკურ სულაკაურის გამოცემლობამ“ „ქალთა ფონდის“ ფინანსური მხარდაჭერით, წიგნად რომ გამოსცა. კრებული „მოკლული ქალების ამბავი“ პრეზენტაცია მწერალთა სახლში 29 დეკემბერს გაიმართა.

— ჩემზე ძალიან იმოქმედა მინიატურამ „ოდა შვილმკვდარ დედებს“.

— იმ ნაწერს ორგვარი გამოხმაურება მოჰყვა — ძალიან პოზიტიური და ძალიან აგრესიული. ამბობდნენ, რომ არ მქონდა უფლება, შვილმკვდარ დედებს ასე დავლაპარაკებოდი. ბევრმა ჩემი მხრიდან სილის განგნასავით მიიღო ის ნაწერი. ცხადია, ძალიან ვუთანაგრძნობ იმ დედებს და არაადამიანი უნდა იყო, რომ არ შეგძრას მათმა უბედურებამ, მაგრამ ხანდახან გამოფხიზლებს გვეჩრდება, ცხოვრებაში რაღაცებს რომ მივხვდეთ. ამით ჩემს თავსაც შემოვარტყი სილა, ჩემს შვილსაც, მისი ასაკის გოგოებსაც, უფროს ქალებსაც; ასევე მამებს, ძმებს, ქმრებს — არ შეი-

ძლება, ქალები ძალადობას შეეწიროთ მსხვერპლად იმის გამო, რომ მეზობლებმა და ახლობლებმა არაფერი თქვან.

მართალი გითხრათ, მკითხველში სწორედ ამგვარი რეაქციის გამოწვევა მინდოდა. ჩემი მიზანი არ არის, შემაქონ და თავზე ხელი გადამისვან — რა კარგად წერო. ვამბობ ხოლმე, ერთ ადამიანს მაინც თუ დააფიქრებს ჩემი ტექსტები, თუკი სწორი მიმართულებით ნაიყვანს, მივიჩნევ, რომ ღირდა ამ სტატუსების თუ მინიატურების წიგნად გამოცემა.

— თქვენზე ხშირად უთქვამთ, ბასრად წერსო.

— შეიძლება, ეს ჩემი პროფესიიდან გამომდინარეა, როგორც ვთქვი, რეპორტაჟი ყველანაირი ემოციისგან დაცლილი უნდა იყოს. არ ვიცი, მაგრამ ამ ეტაპზე ვწერ ხისტად და ბასრად, ასეთი ტიპის ავტორი ვარ. ეს ხაზი ავირჩიე. რამდენიმე მოთხრობა შეგნებულად არ შევიტანე „ნინო's Notes“-ში. რადგან მათი გამოქვეყნების მიერ ჩემი ფეისბუქსტატუსების გამოქვეყნებას — გარკვეული პრობლემები შეემქმნა, ვილაცხები დამემუქრნენ კიდევ ერთ-ერთ მინიატურას ერქვა — „ჩემი შვილი ლესბოსელია“. ხანდახან მკითხველი ნაწარმოებს აიგივებს ავტორთან, ნაწერს სინამდვილედ აღიქვამს. ჩემს შემთხვევაშიც ასე მოხდა. საბოლოო ჯამში, უარი ვთქვი მის დაბეჭდვაზე იმიტომ, რომ რაც ახსნას საჭიროებს ხალხისთვის, ალბათ ჯობს, არ გამოქვეყნდეს.


ძალიან სამწუხაროა, რომ ზოგჯერ შენს მოთხრობასთან ან პერსონაჟთან გაგიგებენ. რა თქმა უნდა, ავტორის ნაწილი მის ყველა ნაწარმოებში დევს, საკუთარი ტყავიდან ბოლომდე ვერ გამოძვრები, მაგრამ ეს ხომ დამოუკიდებელი ამბები, დამოუკიდებელი ისტორიები, ფანტაზიის ნაყოფია.

— ჩამოყალიბდა მკითხველის ერთგვარი ტიპი, რომელიც მხატვრულ ტექსტს აღიქვამს, როგორც დოკუმენტს, უტყუარ მტკიცებულებას, ავტორის დამოკიდებულებად რალც თემების მიმართ.

— ვფიქრობ, მსგავსი დამოკიდებულება თანამედროვე ავტორებისა და მათი ნაწერების მიმართ აქვთ იმიტომ, რომ ისინი ცოცხლები არიან, რაღაც რეალურ ამბებზე წერენ, მკითხველებს კი მათი ბიოგრაფია ჰგონიათ. მე ეს ხშირად მიგრძნია, მოუწერიათ და უთქვამთ კიდევ. შემდეგ ამისხნია — ფანტაზიაა, გამონაგონია-მეთქი.

— თქვენ ისაუბრეთ, როგორ წერს უურნალისტი, რეპორტიორი და როგორ — მწერალი. მაინც, სად გადის ზღვარი უურნალისტსა და მწერალს შორის?

— ძალიან მკაფიო ზღვარი გადის ჩემს პროფესიულ საქმიანობასა და ჩემს მწერლობას შორის. ეს არის ორი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული რამ. რადიკალურად განსხვავებულია ნინო, რომელიც მხატვრულ ტექსტებს წერს, რეპორტიორი ნინოსგან. ერთ გრამ ემოციას არ ვურეე რეპორტაჟში, მაგრამ რეპორტაჟს გარკვეულიწოდ ვურეე მწერლობაში, ოღონდ ზღვარს არ გადავდივარ. მედია-სივრცეში, სადაც მე ვმუშაობ, არსებობს უურნალისტიკის მკაცრი სტანდარტი, რომელსაც ვიცავ. ბენვის ხილს ჰგავს,



რომელზეც უნდა გაიარო, როცა რეპორტიორი და იმავდროულად მწერალი ხარ. ჩემი ყოველდღიური მასალა, რაც გადაიცემა რადიოთი და იბეჭდება, და ის რასაც ნოუთებით, მინიატურებით თუ სტატუსებით გადმოვცემ, შეიძლება ითქვას, სხვადასხვა ადამიანის დაწერილია.

— იქნებ ვცდები, მაგრამ მაინც მგონია, რომ ჟურნალისტიკა პროზას სხვანაირად, არაჟურნალისტიკურად განსხვავებულია წერენ.

— მე მგონია, რომ ჟურნალისტიკის პროზა გაცილებით შეუღებამაზებელია, ვიდრე მწერლების, ნამდვილი მწერლების. ჩემს თავს მწერალს არ ვუნობ, უბრალოდ, ვარ ადამიანი, რომელიც წერს, იმიტომ რომ ჩემთვის მწერალი მაინც სხვა ფენომენია, ის ადამიანია, რომელიც ცხოვრობს შემოქმედებით. შეიძლება, ამას არ მოაქვს განსაკუთრებული შემოსავალი, მაგრამ ესაა მისი საქმე, მთავარი მამოძრავებელი. ჩემთვის კი ჩემი მწერლობა არ არის მამოძრავებელი ძალა, არც შემოსავლის წყაროა და დიდ დროსაც არ მოითხოვს. ჟურნალისტიკა მწერლები უფრო პირდაპირები არიან, უფრო კონკრეტულები, ხისტები. ეს იმ უცხოელი ავტორების ნაწერებსაც გამოარჩევს, რომლებიც ადრე ჟურნალისტიკები იყვნენ, მათი ნაწარმოებები ზედმეტი ბელეტრისტიკისგან თავისუფალი, მარტივად გასაგები, პირდაპირია და ამიტომაც — ჩემთვის გაცილებით შთაბეჭდავი და ემოციური. მე ასეთი პროზა უფრო მომწონს და მგონია, რომ ჟურნალისტიკის პროზა ამით განსხვავდება სხვებისგან.

ამას გვასწავლის ჩვენი პროფესია — მოკლედ, კონკრეტულად, გასაგები ენით ვწერთ. ჩემზე ამბობენ ხოლმე, რომ ძალიან მარტივი ენით ვწერ. ვილაც ამ ნათქვამს შეურაცხყოფად მიიღებდა, განაწყენდებოდა, მაგრამ მე არ მწყინს, პირიქით, მომწონს ასეთი შეფასება, რადგან ვფიქრობ, შეიძლება, ეს ჩემი პლუსიც იყოს.

— თქვენი „ყანდაარელი ათი მკვდარი“ მიყვარს. მკითხველის თვალწინ გაირბენს ათი ადამიანის ცხოვრება, ერთგვრიდან მინიატურაში ჩატყული.

— თითოეული მინიატურა თუ სტატუსი, როგორც გინდათ ისე დაარქვით, რომ განავრცო, დიდი რომანის დაწერის საშუალებას გაძლევს, მაგრამ მგონია, რომ ამას სხვა ძალა, სხვა გამოცდილება, სხვა დრო და სხვა დაჯდომა სჭირდება. არ ვიცი, ჯერ იმ ძალას ვერ ვგრძნობ ჩემს თავში, არც იმდენი დრო მაქვს. თითქოს რაღაც დავინწყე, ისე, იდეის დონეზე, მაგრამ თუ დავწერ, თუ ხელს მოვკიდებ, მინდა, კარგი დაწერო. ანდა შეიძლება, ბოლომდე მცირე პროზის მწერლად დავრჩე, არც ამას ვთვლი პრობლემად, პირიქით, იქნებ კარგიც იყოს — ცუდად დაწერას, ჯობს, საერთოდ არ დაწერო.

— მოთხრობაში „ჩემი მეზობელი ოსი“ წიგნიდან „სათაური 37-ე გვერდზე“, არის ასეთი ადგილი: „სახესთან მიმაქვს წიგნი ახლოს, სულ ახლოს, ისე ახლოს, რომ მის სუნს ვგრძნობ, ენის წვერი ვასველებ მის ხაზთან ფურცლებს და სტამბის თუ ცარცისგანმოიან წერწყვეს ვყლაპავ, ეს წიგნი თუ მისი პერსონაჟი სიგიჟემდე მინდა, თითებით მინდა ვიგრძნო, ყნოსვით მინდა ვიგრძნო, ფურცლების შრიალი მესმოდეს, არ მინდა ვხედავდე, რომ წიგნია და მეტი არაფერი“. საინტერესო დამოკიდებულება ჩანს წიგნთან, თითქოს ყველაფერი მონაწილეობს ნაწარმოების აღქმაში წიგნის სუნი, ქალაქის ფაქტურა. თქვენ ასეთი მკითხველი ხართ?

— კითხვა მიყვარს, სხვანაირად არც გამოვა. მგონია, რომ ვერ იქნები მწერალი, თუ სხვა მწერლებს არ კითხულობ. ყოველი წიგნის ნაკითხვის შემდეგ მიჩნდება საურვილო, დაჯვდე და დაწერო — მგონია, რომ ისეთივე მაგარ რამეს დავწერ, რაც წავიკითხე. დიახ, წიგნი არის ჩემი თანამდევნი. შეიძლება, ყოველდღე ვერ გადავშალო, მაგრამ ჩემს ჩანთაში ყოველთვის დევს წიგნი და სულ რაღაცას ვკითხულობ, ბავშვობიდან მოყოლებული. მიყვარს მისი სუნი, ბიბლიოთეკის სუნიც მიყვარს. ბავშვობაში ვაჟა-ფშაველას გამზირის ბოლოში, გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკაში დავდიოდი, იქაურობა

კადრებად ჩამრჩა მეხსიერებაში. მერე ხანძარმა დააზიანა, რაც გადარჩა, ერთიანად გაჭვარტლული იყო, ისინიც კი მიყვარდა, ჭვარტლისსუნიანი წიგნები, მათი განაცხრისფრებული გვერდები. მახსოვს, რა სიტუაციაში ვკითხულობდი ამა თუ იმ წიგნს, რას ვაკეთებდი იმ დროს, როგორი ამინდი იყო და ასე შემდეგ. არის ასეთი წიგნები.

ზაფხულის 2-კვირიანი დასვენება განსაკუთრებით მიხარია ხოლმე, რადგან მაქვს საშუალება, მეტი ვიკითხო. მიხარია, რომ ჩემი შვილიც ამყვან წიგნების სიყვარულში, სულ რაღაცას ვკითხულობ, ვკიდულობ, რაღაცის გამოცემას ველოდებით. დიახ, წიგნს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩემთვის, ის სხვა ემოციას იწვევს, სხვა მუხტის, სხვა ენერგეტიკის მატარებელია, ამიტომაც ვერ შევიყვარე ქინძლი, მაინც ძველი ყაიდის მკითხველად ვრჩები.

— თქვენი სამივე წიგნი „საბაზე“ ფინალისტიკა.

— ყველაზე მეტად „ნინოს's Notes“ ფინალისტიკა გამოიკვირდა. პირველი წიგნი, „ქალთარაფერა“, გულუბრყვილოდ, შედეგრი მეგონა და, რა თქმა უნდა, დარწმუნებული ვიყავი, ფინალის ღირსი იყო. ამას ველოდებოდი და ალბათ ძალიან მეწყინებოდა, მოლოდინი რომ გამცრუებოდა. ახლა მეცინება იმ პირველ კრებულზე და სულ მინდა, სადღაც დავგალო. მეორე წიგნზე, „სათაური 37-ე გვერდზე“ გამარჯვების განწყობა მქონდა იმიტომ, რომ სხვა ჟანრის მოთხრობები იყო და ვფიქრობდი, ჟიური მეტად დაინტერესდებოდა. ბოლო წიგნზე კი აბსოლუტურად არ ველოდი, დღესაც არ მივიჩნევ „ნოუთებს“ სერიოზულ ლიტერატურად — თითოეული მინიატურის დაწერაზე, მაქსიმუმ 7-8 წუთი დამეხარჯოს. არადა, „საბაზე“, იმავე ნომინაციაში, წარდგენილი იყო ლიტერატურა, რომლებზეც ადამიანები დღე-ღამე მუშაობდნენ, სერიოზულად მუშაობდნენ. როდესაც „ნინოს's Notes“ საუკეთესო სამეულში აღმოჩნდა, ძალიან გამიკვირდა. ყველაზე მეტი წიგნი შარშანდელ „საბაზე“ წარადგინეს და იქიდან, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო, ჩემი რომ გამოარჩიეს, ამან გამაკვირვა, მართალი გითხრათ. დავინტერესდი, ვინ იყო ჟიური, ვის მოეწონა კრებული, მერე შევიტყვე შეურის ვინაობა და კიდევ მეტად გამიკვირდა. ვფიქრობ, ალბათ უფრო ჟანრის გამო მომანიჭეს უპირატესობა, მინიატურებს ხომ ბევრი არ წერს. შეიძლება, თემატიკის — თანამედროვე, აქტუალური თემატიკის გამო მიაქციეს ყურადღება. და რადგან მოულოდნელი იყო, ფინალისტიკა განსაკუთრებულად გამიხარდა.

— „ნინოს's Notes“ განსხვავებულია წინა წიგნებისგან?

— აბსოლუტურად. პირველი ძალიან მსუბუქი წიგნია, მეორე მეტწილად ფანტასტიკაა, ეს კი რეალობაა, ბასრი, მწარე, ხანდახან მუავე რეალობაც.

— თქვენს წიგნებს გარეკანებიც გამოარჩევს, რაღაცნაირი, დასამახსოვრებელი დიზაინის ყდება.

— პირველი და ბოლო წიგნის გარეკანების მხატვარი მაკა ბატიაშვილია. „ქალთარაფერას“ ყდაზე დახატული გოგო ჩემს თავს მივამსგავსე და ულაპარაკოდ დავთანხმდი. „ნოუთების“ გარეკანზეც გოგო ხატია, წინ ნითელი ფერის ლაქი უდევს, ნითელი ლაქი ჩემთვის ერთგვარი სიმბოლოა, ქალური ძლიერების ნიშანი. მართალია, წერია, რომ „უძღვნივთა ერთ კაცს და ერთ გოგოს“, მაგრამ, უმეტესად, ქალებისთვისაა წიგნი, მინდოდა, ჩემი ხმა ქალებს გაეგონათ.

მეორე წიგნის გარეკანი კი გურამ ნიბახაშვილის ფოტოთია გაფორმებული, დიზაინი მის შვილს ეკუთვნის, იქაც ქალია ფოტოზე, ის მოჩვენებასავითაა და ვინაიდან შინაარსიც თითქმის ფანტასტიკაა, ამიტომ ავირჩიეთ.

— ისეთ ჟანრში მუშაობთ, რომ სისულელე იქნებოდა, მეკითხა: „წერას აგრძელებთ?“ იმიტომ, რომ თქვენ, ფაქტობრივად, ყოველდღიურად წერთ.

— დიახ, ბოლო წიგნის მერე კიდევ ბევრი რამე დავწერე. დიდად არ მიყვარს ლაპარაკი, წერა უფრო გამომდის, ვიდრე ზეპირი გადმოცემა იმისა, რაზეც ვწერ.

ესაუბრა თამარ ჟურული

ლეილა მესხი

ფიქრის კრიალოსანი

მწერალ ქალთა პორტრეტები

იზა ორჯონიძე



იზა ორჯონიძეზე მინდა, გაიბოთ... ცხოვრება მისთვის არც სანახაობა იყო და არც ზეიმი, ძნელი საქმიანობა გახლდათ. სხვათა დახმარება უყვარდა იზას. ხელის გამართვა, გვერდით დგომა. ცხოვრებაში იოლად არაფერი მოდის და არც მას მისვლია. სიმართლის მიქმელსა და პირში შემხლელს, არც მტრები აკლდა და არც მოყვრები. გულიც მრავალჯერ ატკინეს, თუმცა მუდამ სწამდა, რომ სიმართლე ერთადერთი იყო, ხოლო სიცრუე მრავალი. ყველაზე მეტად უნიჭო, თავისთავზე შეყვარებულ „დიდ ხელოვანთ“ ვერ იტანდა. დაუნდობელი იყო! ხშირად, როცა ვილა-ცების თავხედობა, უფრო უტიფრობა შემძრავს, ფიქრი გამიელვებს ხოლმე: „ნეტავ ახლა იზა იყოს აქ, ამით უჩვენებდა სიერს!“ მისმა გარდაცვალებამ გული დამწყვიტა, მიცვალებულს ვერ დავხედე, ვერც დავემშვიდობე. ვნანობ, რომ ავადმყოფობის ჟამს არ ვინახულე (ტელეფონით საუბარს ვამჯობინებდი). მითხრეს, რომ ძალზე შეცვლილიაო და ხილვა არ მენადა... მინდოდა, მახსოვრობაში ძველი ხიბლით ჩამრჩენოდა... რუსთაველის პრემიის მიღება პირველმა მივლოცე. როგორც კი დამეწვილებოდა კომისიამ გადაწყვეტილება გამოიტანა, იმავე წუთს დავრეკე... გაოცდა, საიდან გაიგო, ხმაში სიხარული შედრდა... ვისგანაც გავიგე, ვიცოდი, ის პიროვნება არ უყვარდა, ამიტომ არ გავამხილა. „მგალობებოდა ჩიტუნამ მამცნო-მეთქი“. გაიცინა. აღარ ჩამძიებია. „ნუ დაგვიანებ ჩემთან მოსვლას, თორემ მერე ინანებ (მართლაც ვინანე)... ჩემს სახლთან, ქუჩის მეორე მხარეს, მწვანე ვაშლებს ჰყიდიან, ის მომიტანე, სხვა არაფერი მინდა“. დაბალი ხმით მეჩურჩულებოდა, უკვე ცუდად იყო... მუდამ მეამბოხე, სიცოცხლით სავსე პოეტი ქალი ბუნდოვან და სევდიან გულისნაღებს მიმხედა... დაავადების შესახებ სიტყვას არ მრავ-და, თითქოს არც მე ვიცოდა... იგი იმაზე მიყვებოდა, რაც ყველაზე მეტად ანუხებდა, გულში დარდად ჩარჩენოდა — ეს იყო უმცროსი ძმის სამომავლო ბედი, „როცა მე არ ვიქნები, რა ეშველება“, ნუხდა... ჰოდა, უცნაური რამ მოიფიქრა, თანამშრომელს, რომელსაც პანიკის ვალი ჰქონდა და ბინიდან გამოსახლებას უპირებდნენ, ვალი დაუფარა ერთადერთი პირობით, როცა თვითონ არ იქნებოდა, კახასთვის, მისი უმცროსი ძმისთვის, ყოველთვიურად გარკვეული თანხა გადაეხადა და ასე გაესტუმრებინა ვალი. გაოცებული დავრჩი. ამას მხოლოდ იზა მოიფიქრებდა...

ამ ქალბატონთან ზედმეტი ნუგეში, მიეთ-მოეთ და ცრუ იმედები ფუჭი იყო, არაფერი ეშლებოდა... ამიტომ იყო, უმეტესად, მასთან პოეზიით საუბარს ვარჩევდი.

— როგორი ამინდია?! — მეკითხება იგი. ავად არის, ქუჩაში იშვიათად გადის.

— წვიმს.

— წვიმის წინ ყვავილები უფრო მძაფრად აფრქვევენ სურნელს.

— წვიმიანი ამალეობა, ყანა მაღლა ამალდებდა! — ვპასუხობ მე.

— მზის ამოსვლა მზის ჩასვლაზე უკეთესია...

— „მინურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსვლა მწვანისა“, — რუსთაველს ვიშვე-ლიებ.

— ყველაზე მეტად ჩემი სოფლის ჭალა-ველი მენატრება... ნანვიმარი ხოდაბუნე-ბი. ნისლიანი ორბობები... ყოველი სიტყ-ვა დამშვიდობებას ჰგავს. დედა-ბუნებასთან, სამყაროსთან, ქართლის ჭალა-ველთან, — ნახევრად მთვლემარე პოეტი ქალი თითქოს სიზმრისეულად მემშ-ვიდობებოდა...

ჩურჩული ერთხანს მესმის, მერე წყე-ბა... მშვიდობით დაო!

...ბოლო ხანებში ლიტერატურის მუზეუმს იშვიათად ვსტუმრობ. მეჩვენება, რომელიც კარი გაიღება და იზა ორ-ჯონიძე გამოვა — მაღალი, ტანადი, თავ-მომწონე ქალბატონი. მკაცრ პიროვნებად რომ აჩვენებდა ვილა-ვილაებს თავს, სინამდვილეში გულჩვილი და გულსა-თი იყო. გაჭირვებულის დახმარება უყვარ-და, ხელისგამართვა. მეგობრებთან ბედნი-ერად გრძნობდა თავს, თანაკლასელებს ბოლომდე ერთგულობდა... პოეზიაზე უს-აზღვროდ შეყვარებული ქალბატონი თა-ვადაც დიდებული პოეტი გახლდათ... ანა ახმატოვას და მარინა ცვეტაევას უბადლო მთარგმნელი. გემოვნებიანი რედაქტორი, გამომცემელი. რამდენი რამ შეიძლება, ჩამოვთვალო! ლიტერატურის მუზეუმთან მისი დაკავშირება შემთხვევით არ მომხ-დარა, ათეულობით წლები ჩალია მის კედლებში. იქაურობა უყვარდა. დღე-ღამე იქ იყო... მუზეუმის ეზოში ახლა ცვავის იზას დარგული ვარდები — უკვე გაზრდილები, სიმაღლეში წასულები. თა-ვად ამ დარბაზების დედოფალი იყო. როიალიც ედგა, ღირსეული სტუმრებიც ჰყავდა, პოეზიის უმშვენიერეს საღამოებს მართავდა, ყოველივე ეს მხოლოდ მას შეე-ძლო. მისევე თავმომწონედ ძნელად ნაიყ-ვანდა ვინმე საღამოს. რაც იყო, ნაღდი იყო! მის საქციელს ხშირად გაფუცებებივარ. საკუთარი ოჯახის წევრებს — შვილს, შვილიშვილს, დასა და ძმას რომ პა-ტრონობდა, ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო, უმუშევარ მეგობრებს, პოეტებს უღებდა კარს, სამსახურს სთავაზობდა. ჯაბა ასა-თიანი, იზას ყოფილი მეუღლე, უმუშევარი დარჩა. გაუჭირდა. ახლადშერთული მეუღლე და მცირეწლოვანი გოგონა ჰყავ-და. თავისთან იხმო იზამ. ყოფილ ქმარს გამომცემლობის ურთულესი საქმე ჩაა-ბარა. წლები გაატარეს ერთად. მრავალი საინტერესო კრებული გამოსცეს. ბოლომ-დე უპატრონა ჯაბას. გარდაცვლილს უს-ამძიმრა, მუზეუმიდან გაასვენა. ცოლად ერთად თვითონაც ჭირისუფლები იჯდა (რაც არსად არავისთან მენახა). სამძიმარს იღებდა, თავდახრილი ტიროდა. საფლავიც თვითონ შეურჩია... რაც იშვი-ათად ხდება ცხოვრებაში. პატარა წყენებს გამოვეკიდებოდი, გავბოროტდებოდი, სამაგ-იეროს გადახდის სურვილით ვიხრჩობო. ვერც მისი ქალიშვილისთვის მიპატიებია ის გადაცდომა, რომელიც გაზეთში, მკითხველის გასართობად, დედა უპა-ტივცემულად რომ მოიხსენია. ისეთი რაღაცები გაამხილა, რომლის გახედა-საც ღირსეული ქალბატონები არ კადრუ-ლობენ, ყოველთვის ერიდებიან... დედის ღირსებას უფრთხილდებიან. დედაზე აუცი ნეტავ მას რას შესძენს?! ასეთ რამეს იზა არასდროს იკადრებდა! იგი ყველასგან განსხვავებული იყო! ამიტომაც, იზას ხე-ლით დარგული ვარდები მუზეუმის ეზოში დღესაც ყვავიან...



ნანა ეხვია

მწირი ფანტაზიით წერს
რალაც ლექსების მაგვარს
და წუხს, რად მიმატოვა
აღმაფრენამო...
შეიხედეთ ვინრო სარკმლიდან:
როგორ იხრჩობა მისი მუზა
მენიუ-გამწირებული.

თავისი წილი
მიაქვს მინას,
მიაქვს ზეცასაც;
ბედნიერია,
ვინაც შეიცნო
ამ იდუმალი
გაცვლა-გამოცვლის
ნამდვილი აზრი.

წინა გაქვს
ფიქრის მაღალი გაღავანი —
ძნელად გადასალახავი,
ნაყვავილარი სახის მსგავსად
რალაცით უსიამოვნოც;
ნუთუ, ამ ბარიერის
დაძლევა გასურს
განსაცდელეში გაცვეთილს
და თავს ვერმორეულს?!

სადღაც მესაფლავე იცდის,
ეჭვშეპარული შენს სიკვდილში;
თხრილი სტანდარტულია —
სიგრძე-სიგანე: ტრადიციული.

საკონტროლო გასროლა
გასროლილია წუთისოფლისგან,
მინაზე შენი ორეული
დაიარება
და იარებად
კინძავს შენს რთულ,
მაგრამ საიდუმლო
ბიოგრაფიას.

წუთისოფელმა დალენა,
თუკი რამ მქონდა;
ვერ მივუხურე
კარი დროულად
ქარბორბალას და თქემს.



მელიქიშვილზე ჩავიარე
სტუმრად ნამყოფმა,
თან მომყვებოდა
შთაბეჭდილება
მასპინძელთან თბილი ბაასის
და აკივლებას ჰგავდა
ვერ მოხელთება
განვლილ წელთა ნაფეხურების;
ალარსად ჩანდა
ხეების რიგთა ჩუმი ამოსუნთქვა
და ვიტრინების ზომიერი გამონაშუქი —
თბილისქალაქში არსად იყო
ახალგაზრდობის შაქარყინული.

ნუ გეგონებათ
თითქოს ვინმე ვარ,
აღმატებული სხვებსა და სხვებზე;
მეტაფორების ჩიხტიკოპს
თუ ჩამომამორებთ,
ხელში შეგრჩებით
დედაკაცი ცოდვილ-ვნებული.

ადრე კონვეირულად ვწერდი —
დღეში რამდენიმე ლექსს,
შიგადაშიგ: მოთბრობებსაც
გავურევდი სანელებლებივით;
ახლა: დადლილი მუზა
ვერ წამომიყენებია ფეხზე,
თუმცა ძალიან ველოლიავები —
ხან განმარტოებას ვწუქნი,
ხან ხალხში გარეეას
კუს იგავით,
ხან რას და ხან რას...
მაგრამ გაშვილებულ ძესავით
საძებარია მაინც.

მოლაპია ათიიზმი

რატომ გინდა
მაიმუნის შთამომავლად
სახელდება
და დარვიინის თეორიით
აღტაცება
მაშინ, როცა უფალია
ყოვლის შემომქმედი
და გარკვევით გეუბნება
ამას წიგნთა წიგნი.

როგორ გავხადო
პოეზია შემოსავლიანი,
რომ მიწიერთა
კბილის გაკერისგან
დავიცვა თავი?..
„რაში გამოგადგა,

გაჭამა ლექსმა პური?..
ვინც იცით, როგორ გახდეს
პოეზია შემოსავლიანი,
მომწერეთ მისამართზე —
ცასა და მინას შორის...
გელოდებით!!!

წესებიდან
მოძრაობის წესები
მაინც ვიცოდი
ფეხით მავალისა...
ახლა იმდენი შუქნიშანი და
ვიდეო თვალთა ირგვლივ,
რომ ადვილად ვიბნევი:
მარჯვნივ თუ მარცხნივ,
მარცხნივ თუ მარჯვნივ —
ვბუტბუტებ ჩემთვის...
მალე სულსაც გამიკონტროლებენ ალბათ!!!

ლია სტურუას

მე ნავიკითხე
თქვენი მორიგი ლექსები —
როგორც ყოველთვის,
შიშისმომგვრელად
დიდი სამყარო
გადამეშალა თვალნი —
გაჯერებული გულისა და გონების
რთული გრაფიკით
(თუმცა, გრაფიკა რა სახსენებელია,
უფრო, მოზაიკური პანო, ალბათ);
ყოველ ჯერზე ისეთ მაღალ
თამასას დებთ, რომ
შეუძლებელია
თქვენი ინტეგრალების
ადვილად ამოკითხვა.

მიუსაფარი განისვენებს
სული საფლავში —
ვერშემცნობელი
ყოფნა-არყოფნის
ფარულ მიზეზის;
ნუ იტყვივით მასზე:
დაისვენაო,
იგი ახლაა განსაცდელის
მჭიდრო ბადეში.

სუნთქვის უკმარისობა
დაემართა სმოგიან ქალაქში;
ახალგაზრდობის ლურჯ ღილილოთა
მძაფრი ფერხული
ალარ უმშვენებს
რიტმს, მეტაფორებს;
ახლა მხოლოდ

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი
რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ჟურული
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com
ISSN 2346-7940
9 772346 794004